

მასწავლებელი

იაზროვნე
კრიტიკულად

ცოდნის ეკონომიკა


სკოლიდან სამინისტროსკენ
რეფორმის ახალი ვექტორი

საქართველოს მეცნიერებათა და განათლების სამინისტრო

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი

N2, 2009

ISSN 1987-6149



ჟურნალი

მასწავლებელი

აგრძელებს კონკურსს!

გაგვიზიარეთ
თქვენი გამოცდილება!

შეარჩიეთ
თემა,

ჩაერთეთ
კონკურსში და მოგვწერეთ!

1. ჩემს კლასში რთული ბავშვია
2. როგორ გავხადოთ გაკვეთილი საინტერესო
3. ინტერნეტი – სასარგებლო რესურსი მასწავლებლისათვის

მიიღეთ საჩუქრად ჩვენი პარტნიორების მიერ დაწესებული პრიზები



ბაკურ სულაკაურის ახალი გამოცემების კომპლექტი
თანამედროვე ქართული პროზა და წიგნები სერიიდან მოსწავლის პირველი ენციკლოპედია!

საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებელი
დოკუმენტური ფილმების DVD ვერსიები სერიიდან „საუკუნის პორტრეტები“

კონკურსის დასკვნით ეტაპზე სამი საუკეთესო წერილი გამოვლინდება. გამარჯვებული მასწავლებლები ჟურნალ „მასწავლებლისა“ და პარტნიორების, ბაკურ სულაკაურის გამომცემლობისა და საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლის მიერ დაწესებული პრიზებით დაჯილდოვდებიან!

თითოეული წერილის მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს 500 სიტყვას. საუკეთესო წერილები ჟურნალ „მასწავლებლის“ მომდევნო ნომრებში გამოქვეყნდება.

წერილები გამოგვიგზავნეთ მისამართზე:

ჟურნალი „მასწავლებელი“, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი
თბილისი 0102, დიმიტრი უზნაძის 52, ტელ: (+995 32) 95 13 95 ფაქსი: (+995 32) 95 58 36 ელ. ფოსტით: info@tpdc.ge

www.tpdc.ge

რედაქტორისგან

ვერასოდეს ვიფიქრებდი, რომ პოლიტიკური კრიზისი ვინმეს სიამოვნებას ანიჭებდა. ცხრა წლის ნიკას არდადეგები აქვს. იგი თბილისის №1 საჯარო სკოლაში სწავლობს. სკოლის ეზოში, სადაც გაკვეთილების შემდეგ ბავშვები დაჭერობანას თამაშობდნენ, ახლა საკნები დგას. მისთვის ერთი სიხარული მეორეს ცვლის – რამდენიმე დღეა იმ იდეით ხალისობს, რომ დედამ მასთან ერთად სკოლაში უნდა იაროს და გაკვეთილებსაც დაესწროს. თუმცა მას შემდეგ, რაც სწავლის ზაფხულში გაგრძელების შესაძლო პერსპექტივის შესახებ შეიტყო, არდადაგები აღარ მოსწონს.

ნიკას ჩვენთან შედარებით კიდევ ერთი უპირატესობა აქვს – მას, შესაძლოა, არ აინტერესებდეს რა ხდება ქვეყანაში და პოლიტიკური პოზიციაც დღეში ორჯერ შეიცვალოს, იმისდა მიხედვით თუ რომელ არხზეა ჩართული ტელევიზორი. მისი ცნობისმოყვარეობა უსაზღვროა, სამყარო კი შეზღუდული – მეგობრები, უფროსების დიალოგები და ტელევიზია.

გარემო ხშირად ჩვენ, უფროსებსაც, მოზარდის მდგომარეობაში გვაყენებს, რადგან ჩვენს რეალობასაც იგივე შემოქმედი ჰყავს – ტელევიზია. მედიის ერთ-ერთი ცნობილი კანადელი მკვლევარი 40 წლის წინ ამბობდა, რომ მალე ტელევიზია გააკონტროლებდა ადამიანის გონებასა და გრძნობებს, პიროვნებებს დამოუკიდებელი არჩევანის უნარს შეუზღუდავდა. მაშინ ეს მოსაზრება ეპატაჟურად ჟღერდა, თუმცა მოგვიანებით ბევრმა მის წინასწარმეტყველებაში სიმართლის მარცვალი იპოვა. მანიპულაციის ეპოქას ლიბერალურმა საზოგადოებებმა ჯანსაღი სკეპტიციზმი და კრიტიკული აზროვნების უნარი დაუპირისპირეს, რადგან მხოლოდ ამ იარაღით აღჭურვილ ადამიანებს აქვთ თავსმოხვეული რეალობისაგან თავდაცვის უნარი. XXI საუკუნე წარმატებული სკეპტიკოსების დროა. ნიკა ჯერ მხოლოდ ცხრა წლისაა და სასურველია, რომ მომავალში ფაქტებისა და მოსაზრებების ერთმანეთისაგან გარჩევა შეძლოს და გადაწყვეტილებები კრიტიკული ანალიზის შედეგად მიიღოს. სწავლა რომ განახლდება, ალბათ მასწავლებლები მასში ამ უნარის განვითარებაზე იზრუნებენ. როგორ მივაღწიოთ ამ მიზანს სკოლაში? ამ თემაზე ჩვენს ჟურნალში ლელა ჩახაია წერს. „მასწავლებლის“ მრგვალი მაგიდის მონაწილეებს კი მოზარდებში ღირებულებების სისტემის ჩამოყალიბებაში სკოლის როლზე ყურადღების გამახვილება ვთხოვეთ. აქაც ხშირად ბეწვის ხიდზე გავლა გვიწევს, რათა ბავშვებს მარადიული ფასეულობების პატივისცემა ვასწავლოთ, განვუმარტოთ სამოქალაქო ღირებულებები და აღვზარდოთ თაობა, რომელიც იცავს ადამიანის უფლებებს, პატივს სცემს კანონს, ესმის პატრიოტიზმის არსი და გახსნილია მრავალფეროვანი სამყაროს მიმართ. სასურველია, სახელმწიფოსაც ჰქონდეს გააზრებული სკოლისა და მასწავლებლის მნიშვნელობა თანამედროვე ეპოქაში – ჩვენ ხომ ახალ რეალობაში, ცოდნის ეკონომიკაში ვცხოვრობთ და განთლება ყველაზე მიშვნელოვანი არამატერიალური კაპიტალია. ამიტომ განათლებაში ინვესტირება ყველაზე გონივრული ნაბიჯია.

ნიკას იძულებით არდადეგებამდე უკვე მაწუხებდა კითხვა: გრძელდება თუ არა რეფორმა განათლების სისტემაში? ამ თემაზე არაერთი განსხვავებული მოსაზრება მოვისმინე. ამბობენ, რომ რეფორმა გრძელდება, თუმცა უახლოეს წარსულში მიღწეული შედეგების ანალიზისა და მთავარი მიდგომების კორექტირების დრო დადგა – მასწავლებლებთან შეხვედრების შემდეგ განათლებისა და მეცნიერების მინისტრი ნიკა გვარამია ამბობს, რომ რეფორმის ვექტორმა მიმართულება შეიცვალა: სკოლიდან – სამინისტროსკენ.

საზოგადოებას, უბრალოდ, უკეთესი სკოლა სჭირდება. მთავარია, როგორ მივაღწიოთ მიზანს. იმედი გვაქვს, რომ „მასწავლებლის“ ეს ნომერი თქვენც დაგაფიქრებთ იმ თემებზე, რომლებსაც ჩვენ მნიშვნელოვნად ვთვლით და ავსახავთ. მოგვწერეთ, რადგან მხოლოდ თქვენი მონაწილეობით და მოსაზრებების გაცვლის გზით შეგვიძლია სწორი მიმართულებების განსაზღვრა.

ხათუნა კვესელავა
მთავარი რედაქტორი

ჩვენი მიზანია მასწავლებლის პროფესიული ზრდის ხელშეწყობა ინფორმირების, დისკუსიის წახალისებისა და გამოცდილების გაზიარების გზით. ჟურნალი ხელს უწყობს მასწავლებლის პროფესიის პოპულარიზაციას.

მასწავლებელი

N2, 2009

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრის გამოცემა

პროფესიული ჟურნალი „მასწავლებელი“ გამოდის ორ თვეში ერთხელ

რედკოლეგია:
სოფო გორგოძე
პაატა სირბილაძე
ლელა სამნიაშვილი
ნათია ნაცვლიშვილი
თამარ ონოფრიენკო

მთავარი რედაქტორი:
ხათუნა კვესელავა

რედაქტორი: ნატო ინგოროყვა

სტილისტი: ირმა ტაველიძე

დიზაინი: გესიკ დანელია

ფოტო: გელა გედიანაშვილი, ნაილი ვეძილი

მხატვარი: მამუკა ტყეშელაშვილი

ჟურნალისტები:
მანანა ხიდაშელი, თამარ კაციტაძე
ირმა კახურაშვილი, გელა ჩეკურიშვილი
ირაკლი კოპალეიშვილი, თეა თოფურია
შორენა გურდილაძე, მარინე კუპრეიშვილი
ნინო კოშაძე

ჟურნალში გამოქვეყნებულ პუბლიკაციებში გამოთქმული ზოგიერთი მოსაზრება, შესაძლოა, არ ემთხვეოდეს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრის და „მასწავლებლის“ რედკოლეგიის შეხედულებებს. ცალკეულ სტატიაში დასახელებული ფაქტების უტყუარობაზე პასუხისმგებელია სტატიის ავტორი.

საკონტაქტო ინფორმაცია:
მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი
მისამართი: თბილისი, 0102
დიმიტრი უზნაძის 52
ტელ: (+995 32) 95 13 95
ფაქსი: (+995 32) 95 58 36
ელ. ფოსტა: info@tpdc.ge

www.tpdc.ge

ISSN 1987-6149 UDC 371.1 მ-374

გამოიწერეთ პროფესიული ჟურნალი
მასწავლებელი

დარეკეთ:
შპს „წიგნის სამყარო“: 45 33 79
სს. „მაცნე“: 37 47 49, 22 64 58

შინაარსი

სტატიები



ნოვატორები

ლელა ჩახაია

7 **იაზროვნე კრიტიკულად**

როგორ შევუწყოთ ხელი მოზარდებში კრიტიკული აზროვნების უნარის განვითარებას სასწავლო პროცესში

გლობალური სკოლა

სოფო გორგოძე

11 **ცოდნის ეკონომიკა**

მსოფლიოს ახალი რეალობა და თანამედროვე გამოწვევები განათლების სისტემას

გამოცდილება

ნატო ინგოროყვა

37 **დამრიგებელი**

დამრიგებლის როლი – შუამავალი მოსწავლეს, სკოლასა და მშობელს შორის

პრობლემა

22 **მობილომანია სკოლაში**

მოსწავლე მობილურით ხელში – მასწავლებლები გაკვეთილზე ტელეფონებით სარგებლობის შესაზღუდად მკაცრი წესების ამოქმედებას ითხოვენ

პრობლემა

39 თეა თოფურია

რამდენს იწონის სარისხიანი განათლება

მძიმე ჩანთა – სკოლას ამ პრობლემის გადაჭრა შეუძლია

ინტერვიუ

მანანა ხიდაშელი

19 **სკოლიდან სამინისტროსკენ – რეფორმის ახალი ვექტორი**

განათლებისა და მეცნიერების მინისტრი ნიკა გვარამია მასწავლებლებთან შეხვედრებს აჯამებს

ინტერვიუ

თამარ კაციტაძე

ჭოლა – რეჟისორი და მასწავლებელი

41 ლევან წულაძე სკოლის, განათლების სფეროში მიმდინარე რეფორმისა და აღზრდის პროცესში თეატრის მნიშვნელობის შესახებ საუბრობს



რუბრიკები



მრგვალი მაგიდა

შორენა ბურდილაძე

14 **როგორ ვასწავლოთ ღირებულებები სკოლაში**

სკოლა მოზრდებში ღირებულებების სისტემის ჩამოყალიბებას უნდა უწყობდეს ხელს – როგორ? ამ თემაზე „მასწავლებლის“ მრგვალი მაგიდის მონაწილეები მსჯელობენ

ფოტორეპორტაჟი

ირაკლი კოპალეიშვილი
გელა გედიანაშვილი

33 **ინფორმაციული საკომუნიკაციო ტექნოლოგიები სასწავლო პროცესის ნაწილია**

როგორ გამოვიყენოთ თანამედროვე ტენოლოგიები სწავლების ხარისხის გასაუმჯობესებლად – 166-ე სკოლის გამოცდილება და მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრის ახალი პროექტი

35 **პასუხები თქვენ შეკითხვებზე**

სერტიფიკაცია – მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრის ექსპერტები ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლების მიერ დასმულ შეკითხვებს პასუხობენ

კლასი

ირაკლი კოპალეიშვილი

49 **გაკვეთილი ორმხრივი მოძრაობით**

9 წლის მძღოლები საკლასო ოთახში – საქართველოს სკოლებში საგზაო უსაფრთხოების წესებს ასწავლიან

გაკვეთილი

მარინე კუპრეიშვილი

45 **თიხაში გაცოცხლებული ფანტაზია**

ხელოვნების გაკვეთილის ხელოვნება – ბათუმის №2 საჯარო სკოლის მოსწავლეები ატესტატთან ერთად სახელობო სერტიფიკატს იღებენ

კლასი

პრაქტიკული დანართი მასწავლებლებისათვის

1. გაკვეთილის თემა: ეკატერინე გაბაშვილის „მაგდანას ლურჯა“
2. გაკვეთილის თემა: „ვექტორების პრაქტიკული გამოყენება“
3. გაკვეთილის თემა: „კლდის პირას ჭვავის ყანაში“
4. გალაკტიონოვორდი

25-32

რეგიონი

ნინო კოშაძე

47 **სკოლა, რომელსაც თეთრ სახლშიც იცნობენ**

სკოლას სასწავლო პროგრამის ადგილობრივ სპეციფიკაზე მორგება შეუძლია – გავაზის სკოლაში ბავშვები სოფლის მეურნეობას ეუფლებიან

სასკოლო ინიციატივები

51 **მოგზაურობა ოცნებიდან რეალობაში**

სვანეთი და ტაო-კლარჯეთი – ქ. თბილისის №22 საჯარო სკოლის პედაგოგები „მასწავლებელს“ დაუვიწყარი მოგზაურობის შესახებ მოუთხრობენ

რესურსები

ბელა ჩეკურიშვილი

53 **ასწავლე და... აჩვენე ისტორია**

გაკვეთილი საკლასო ოთახის მიღმა – მოსწავლეებს ძველი ქართული ხელნაწერი წიგნების ხილვა ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში შეუძლიათ

ერთი ისტორია

ბელა ჩეკურიშვილი

55 **მასწავლებელი ფერეიდანში**

ფერეიდანში ქართველები მშობლიურ ენას გოგებაშვილის „დედა ენით“ სწავლობენ – საიდ მულიანის ისტორია

ასწავლე ქართული, როგორც მეორე ენა

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი აცხადებს კონკურსს ეთნიკური უმცირესობებით დასახლებული რეგიონების არაქართულენოვან სკოლებში, ქართული ენის და ლიტერატურის მასწავლებლებისათვის. კონკურსის მიზანია მასწავლებლების შერჩევა, რომლებიც ფლობენ ადგილობრივი მოსახლეობის ენას და შეუძლიათ ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლება სკოლაში. შერჩევისას უპირატესობა ადგილობრივ სპეციალისტებს და უკვე მოქმედ პედაგოგებს მიენიჭებათ. მათთან, ვინც საკვალიფიკაციო მოთხოვნებს დააკმაყოფილებს, შესაბამისი ტრენინგის გავლის შემდეგ ხელშეკრულებები გაფორმდება. საქართველოს პრეზიდენტის ინიციატივით ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში ქართული ენის მასწავლებლებს დამატებითი ანაზღაურება დაენიშნებათ.

პროექტის კოორდინატორის, მაკო ჭილაშვილის ინფორმაციით, ახლადდანიშნული მასწავლებლების მოვალეობაში შევა არა მხოლოდ მოსწავლეების სწავლება, არამედ სკოლის მასწავლებლებისთვის ტრენინგის ჩატარებაც, სკოლაში სხვადასხვა აქტივობების დაგეგმვა და განხორციელება: ქართული ენის კლუბების შექმნა, ქართული ენის საღამოების, კონკურსების ჩატარება. ამ ღონისძიებებში ჩართულნი იქნებიან არა მხოლოდ მოსწავლეები და მასწავლებლები, არამედ მშობლებიც.

კონკურსის შედეგად 10 საუკეთესო მასწავლებელი შეირჩევა. ეს პედაგოგები შეისწავლიან მასწავლებლების საჭიროებებს და დაეხმარებიან მათ შესაბამისი აკრედიტებული სატრენინგო პროგრამების შერჩევაში, უზრუნველყოფენ ტრენინგ-კურსების გავლის მონიტორინგსა და შეფასებას. აღნიშნული 10 ტრენერი, დანარჩენი შერჩეული 40 მასწავლებლისგან განსხვავებით, შეძლებისდაგვარად თავისი რაიონის ყველა ქართულის მასწავლებელს დაეხმარება.

შერჩეული მასწავლებლების ტრენინგები ინდივიდუალური პროგრამით განხორციელდება და კურსს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრის მიერ შერჩეული ექსპერტები გაუძღვებიან.

დამატებითი ინფორმაციისათვის კონკურსის შესახებ მიმართეთ ეთნიკური უმცირესობების კოორდინატორს, მაკო ჭილაშვილს ელ.ფოსტა: mchilashvili@tpdc.ge, ტელ: 95 58 33



ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში განსაკუთრებული სიმწვავით დგას სახელმწიფო ენის სწავლების და ამ ენაზე კომუნიკაციის პრობლემა. ხშირად ასეთი რეგიონების სკოლებში ქართულის მასწავლებლებიც კი ვერ ფლობენ საკომუნიკაციო ქართულ ენას. საჭიროა, პედაგოგებმა ქართული ენის ცოდნის აუცილებლობა გაითავისონ და კვალიფიკაცია აიმაღლონ, რათა მოსწავლეებს გადასცენ ქართულ სივრცეში ცხოვრების, სწავლისა და მუშაობისათვის საკმარისი ენობრივი ცოდნა“.

მაკო ჭილაშვილი,
მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი, ეთნიკური უმცირესობების კოორდინატორი

საქართველოს სკოლებში ოკუპაციის კვირეული ჩატარდა

საქართველოს ოც სკოლას განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ პორტატული კომპიუტერები, პროექტორები და სიგელები გადასცა. აფხაზეთის, ტყიბულის, გორის, ხაშურის, ხობის, ბოლნისის, ხელვაჩაურის, ზუგდიდის, თერჯოლის, ონის, ფოთის, თბილისისა და რუსთავის სკოლებმა საჩუქრები 1921 წლის ოკუპაციის თემაზე საგანმანათლებლო კვირეულის ფარგლებში ჩატარებული მრავალფეროვანი სასკოლო ღონისძიებებისთვის მიიღეს.

წითელი არმიის მიერ საქართველოს ოკუპაციის თემას, სკოლებში გამოფენები, დისკუსიები, ლიტერატურული აქციები, ღია გაკვეთილები და სპექტაკლები მიეძღვნა. კვირეულში თითქმის ყველა საჯარო თუ კერძო სკოლა მონაწილეობდა. წარმოდგენილი ნამუშევრები ჯერ ადგილობრივმა რესურსცენტრებმა შეაფასეს, შემდეგ კი – სპეციალურმა კომისიამ, რომელშიც განათლების სამინისტროს თანამშრომლების გარდა მწერლები და ისტორიკოსებიც შედიოდნენ. მათ 200-მდე სკოლის მიერ წარმოდგენილი ოკუპაციის კვირეულის ამსახველი მასალა განიხილეს.

კომისიის თავმჯდომარე გიორგი ზედგინიძე ამბობს, რომ სკოლების შეფასება წინასწარ შემუშავებული კრიტერიუმებით მოხდა: „ყურადღება მიექცა ღონისძიებების მრავალფეროვნებას, მოსწავლეთა მონაწილეობის ხარისხს და შინაარსის ადეკვატურობას. რესურსცენტრებმა რაიონებიდან სამ-სამი საუკეთესო სკოლა წარმოგვიდგინეს, ჩვენ კი მათ შორის საუკეთესოები შევარჩიეთ“.

გორის რესურსცენტრის ხელმძღვანელი გიორგი სოსიაშვილი: „ჩვენმა ქალაქმა და რაიონმა ოკუპაციის უმძიმესი დღეები გადაიტანა. ნაჭარმაგევის სკოლამ ყველაზე მეტად იწვნია ოკუპაციის სიმძიმე, რადგან სკოლა ოკუპანტებმა გაძარცვეს“.

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრის შეხვედრები პედაგოგებთან



პედაგოგებს თითქმის ყველა შეხვედრაზე ჰქონდათ დისკუსია ქართული ენისა და ლიტერატურის ინტეგრირებულად სწავლების თემაზე. მასწავლებელთა ნაწილი მხარს უჭერს ქართული ენის ტრადიციულად სწავლებას სკოლებში, ნაწილი კი მიესალმება ახლებურ, ენისა და ლიტერატურის ინტეგრიებული სწავლების მეთოდს. ექსპერტების განმარტებით, მთავარია მასწავლებელმა მიაღწიოს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მოსწავლის მიერ მისაღწევ შედეგს. ინტეგრირებული წესით ასწავლის, თუ ტრადიციული მეთოდით, ეს თავად მასწავლებლის გადასაწყვეტია“.

ნინო ელბაქიძე
მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრის სტანდარტების კოორდინატორი

ქართულ ენასა და ლიტერატურაში პროფესიული სტანდარტის განხილვა და სასერტიფიკაციო გამოცდის შესახებ დეტალური ინფორმაციის მიწოდება იყო მასწავლებლებთან შეხვედრების მთავარი მიზანი. რვა შეხვედრა ქართული ენის პედაგოგებთან მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრის ინიციატივით თბილისსა და რეგიონებში შედგა და მასში 350 სკოლის მასწავლებელი მონაწილეობდა. შეხვედრებში ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის ექსპერტებიც იყვნენ ჩართული.

ექსპერტებმა პედაგოგებს ქართული ენისა და ლიტერატურის სტანდარტი გააცნეს და თითოეულ ნაწილზე პროფესიული განმარტებები მიაწოდეს. „შეხვედრის მონაწილეებს განვუმარტეთ, რომ მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი ის ფუნდამენტური დოკუმენტია, რომელზეც აგებულია სერტიფიცირება“, – ამბობს მასწავლებელთა პროფესიული ცენტრის სტანდარტების კოორდინატორი ნინო ელბაქიძე.

მანანა მაჭავარიანი, ქ. ზესტაფონის მეორე საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მაწავლებელი: „შეხვედრაზე დაისვა კონკრეტული კითხვები, რომელზეც დღემდე არ გვქონდა პასუხები. გავიგეთ როგორ ჩატარდება გამოცდა. შეხვედრების შედეგად მოიხსნა შიში და სერტიფიცირების გამოცდა აღარ არის ისეთი ბუნდოვანი, როგორიც აქამდე იყო“.

მასწავლებლებმა ქართული ენისა და ლიტერატურის სტანდარტთან და სასერტიფიკაციო გამოცდის ფორმატთან დაკავშირებით კონკრეტული შენიშვნები გამოთქვეს. წერილობითი გამოკითხვის საფუძველზე გამოიკვეთა დამხმარე სახელმძღვანელოს თემატიკაც, რომელზეც მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრის ექსპერტები უახლოეს მომავალში დაიწყებენ მუშაობას. მასწავლებელთა საჭიროებების დასადგენად შეხვედრების ფარგლებში ჩატარდა წერილობითი გამოკითხვა, რომლის საფუძველზეც მოხდება პედაგოგთა დამხმარე სახელმძღვანელოებისთვის თემატიკის შერჩევა და მომზადდება რეკომენდაციები მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ორგანიზაციებისათვის.

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი ამჟამად მართავს შეხვედრებს სხვა საგნების პედაგოგებთანაც. უკვე ჩატარდა რამდენიმე შეხვედრა მათემატიკისა და უცხო ენების პედაგოგებთან და შეხვედრები თბილისსა და საქართველოს რეგიონებში მომავალშიც გაგრძელდება.

შეხვედრების დროს დასმული კონკრეტული შეკითხვებისა და ექსპერტების პასუხებისათვის იხილეთ გვ. 35

დამატებითი ინფორმაციისათვის მიმართეთ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრის სტანდარტების კოორდინატორს, ნინო ელბაქიძეს
ელ.ფოსტა: nelbakidze@tpdc.ge, ტელ: 95 13 02

კომისიის წევრი, ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის დირექტორი ბუბა კუდავა რეგიონული სკოლების აქტივობას განსაკუთრებით აღნიშნავს: „ბავშვებს დიდი სიყვარულით ჰქონდათ ყველაფერი გაკეთებული. ჩანდა, რომ ვალის მოსახდელად არაფერი გაკეთებულა“.

„განსაკუთრებული კმაყოფილებით აღვნიშნავ, რომ გამარჯვებულთა შორის, ძირითადად, რეგიონების სკოლები არიან. უპრეცენდენტო აქტივობამ აჩვენა, რამდენად ღრმად იაზრებენ ჩვენი მოსწავლეები იმ საშინელ აგრესიასა და ძალადობას, რასაც ოკუპაცია ჰქვია. ეს ყველაზე უკეთ აწრთობს ეროვნულ სულს“, – აღნიშნა ნიკა გვარამიამ.

1921 წლის 25 თებერვლის ტრაგიკული დღეების აღსანიშნავად, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ინიციატივით, სკოლებში საგანმანათლებლო კვირეული 18-25 თებერვალს ჩატარდა. მინისტრის თქმით, საგანმანათლებლო კვირეული სკოლებში ტრადიციის სახეს მიიღებს.



ასწავლე საქართველოსთვის

სწავლისა და სწავლების ხარისხის გაუმჯობესების, თვეობით შეუვსებელი ვაკანსიების შევსებისა და პედაგოგთა მოტივაციის ამაღლების მიზნით, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრმა დაიწყო პროექტის „ასწავლე საქართველოსთვის“ განხორციელება.

პროექტის მიზანია, ერთი მხრივ, უზრუნველყოს ყველა ბავშვისთვის ხარისხიანი განათლების მიღება, რასაც მნიშვნელოვნად აბრკოლებს ზოგიერთ სკოლაში კონკრეტული საგნის სპეციალისტის არარსებობა, ხოლო, მეორე მხრივ, ხელი შეუწყოს ახალგაზრდა, მოტივირებული კადრების დასაქმებას სკოლაში.

მათ, ვისაც აქვთ უმაღლესი განათლება და არიან ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული რომელიმე საგნის სპეციალისტები, კონკურსში მონაწილეობა შეუძლიათ. პირველ ეტაპზე მასწავლებლები ავტობიოგრაფიის საფუძველზე შეირჩევიან, მეორე ეტაპზე კი მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრში გასაუბრებას გაივლიან.

პედაგოგებს, რომლებიც კონკურსის წესით შეირჩევიან და წარმატებით გაივლიან გასაუბრებას, ჩაუტარდებათ ტრენინგები პედაგოგიურ უნარ-ჩვევებში, რაც ხელს შეუწყობს სწავლების პროცესის ხარისხიანად წარმართვას.

პროექტის ფარგლებში, პედაგოგები მიიღებენ მათთვის განკუთვნილ შეღავათებს და სხვადასხვა მომსახურების პაკეტს კონტრაქტით გათვალისწინებულ ვადებში. მათ, ხელფასის გარდა, დაერიცხებათ სტიპენდია 250 ლარის ოდენობით, აუნაზღაურდებათ სატელეფონო ხარჯები და სხვა.

პროგრამა 2 წლიანია, თუმცა მასწავლებლებს ექნებათ შესაძლებლობა, აირჩიონ ერთწლიანი ან ორწლიანი კონტრაქტი. ვადების მიხედვით, განსხვავებული იქნება ის დამატებითი შეღავათები და მომსახურების პაკეტები, რომლებიც განსაზღვრულია პროექტში მონაწილე მასწავლებლებისთვის.

პროექტის განხორციელება 2009 წლის სექტემბრიდან დაიწყება. რეგიონებში გატარებული პერიოდი პედაგოგებს სტაჟად ჩაეთვლებათ, რის შემდეგაც, სურვილის შემთხვევაში, დაუბრკოლებლად შეძლებენ სასერტიფიკაციო გამოცდაზე გასვლას.

დამატებითი ინფორმაციისათვის მიმართეთ პროექტის კოორდინატორს, თამუნა ჭინჭარაულს ელ.ფოსტა: tchincharauli@tpdc.ge, ტელ: 95 13 95



„საქართველოს მთელ რიგ რეგიონებში მრავალი სკოლაა, სადაც კვალიფიციური კადრების მოზიდვა და მათი ადგილზე შენარჩუნება ძალიან რთულია. სტატისტიკური მონაცემებით, მასწავლებელთა დაახლოებით 13%-ს არ აქვს უმაღლესი განათლება. ხშირია შემთხვევები, როცა პედაგოგი იმ საგნის სპეციალისტი არ არის, რომელსაც ასწავლის“.

თამუნა ჭინჭარაული, *მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი, პროექტის „ასწავლე საქართველოსთვის“ კოორდინატორი*

ოლიმპიელ მოსწავლეთა საუკეთესო ათეული ცნობილია

ეროვნული სასწავლო ოლიმპიადა დასრულებულია. დასკვნითი ტური, რომელშიც პირველ ეტაპზე გამარჯვებული 1366 მოსწავლე მონაწილეობდა, 2-3 მაისს თბილისში გაიმართა. ოლიმპიადაში გამარჯვებული 10 მოსწავლე საქართველოს ეროვნული ნაკრების წევრი გახდება და მოსწავლეთა საერთაშორისო ოლიმპიადებში მიიღებს მონაწილეობას.

„მოხარული ვარ, რომ ბავშვები მთელი საქართველოდან ჩამოვიდნენ და ოლიმპიადის ფინალურ ტურში მონაწილეობენ. ყველა საგანსა და ასაკობრივ კატეგორიაში გამოვლინდება ათი საუკეთესო მოსწავლე და ამ ათს შორის პირველი სამეული დაჯილდოვდება“, – განაცხადა განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა ნიკა გვარამიამ, რომელიც დასკვნითი ტურის მიმდინარეობას პირადად აკვირდებოდა.

ეროვნული სასწავლო ოლიმპიადა ორ ეტაპად, რვა საგანში ჩატარდა: ქართული, ისტორია, გეოგრაფია, ქიმია, ბიოლოგია, ფიზიკა, მათემატიკა და ინფორმატიკა. ოლიმპიადა ქართულ, სომხურ, აზერბაიჯანულ და რუსულ ენებზე ჩატარდა და მასში საქართველოს სკოლების 95% მონაწილეობდა – საწყის ეტაპზე მონაწილეობის სურვილი 130 000-ზე მეტმა მოსწავლემ გამოთქვა. ოლიმპიადის მონაწილეებს შორის ათი უსინათლო მოსწავლეც იყო. სპეციალურად მათთვის გამოცდების ეროვნულმა ცენტრმა ბრაილის შრიფტით შესრულებული ტესტები მოამზადა. ქართული ენის ოლიმპიადაზე ეროვნული უმცირესობების 1200-ზე მეტი წარმომდგენელი მოსწავლე დარეგისტრირდა.



თამუნა ნიჟარაძე, მე-9 კლასის მოსწავლე: „ეს არის ის, რაც სტიმულს გვაძლევს. ამ გზით საკუთარი ცოდნის, შესაძლებლობების რეალიზებას ვახდენთ“. ლია ნარინდოშვილი, 42 საჯარო სკოლის ფიზიკის პედაგოგი: „ასეთი ოლიმპიადები აუცილებელია, რადგან ბავშვებში მოტივაციის ამაღლებას უწყობს ხელს – ყველას სურს მონაწილეობა, საკუთარი თავის გამომჟღავნება“.

„ჩვენ კარგად უნდა გვესმოდეს, რომ სკოლის დანიშნულება მხოლოდ მოსწავლეების წვრთნა არ არის. ოლიმპიადაში ყველას შეუძლია მონაწილეობა, მიუხედავად იმისა, თუ როგორი წარმატებები აქვს სკოლაში“, – აღნიშნა გამოცდების ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელმა მაია მიმინოშვილმა.

ნიკა გვარამია ამბობს, რომ „ოლიმპიადები ყოველწლიურად ჩატარდება და საერთაშორისო ოლიმპიადებში ჩვენი მოსწავლეების მონაწილეობას სამინისტრო მაქსიმალურად წაახალისებს“. განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა ნიკა გვარამიამ საერთაშორისო ოლიმპიადებში გამარჯვებული 8 ქართველი მოსწავლეც დააჯილდოვა და 2000-ლარიანი პრემიები პირადად გადასცა. საქართველოს ეროვნულმა ნაკრებმა 2008 წელს ვიეტნამში, ეგვიპტესა და ესპანეთში 9 ბრინჯაოს მედალი მოიპოვა.

იაზროვნე კრიტიკულად

ლიბერალურ-დემოკრატიული საზოგადოების წევრები გამოირჩევიან კრიტიკული შეფასების, არგუმენტების მოძიების, მოსაზრების დამოუკიდებლად ჩამოყალიბებისა და საჭიროების შემთხვევაში, ამ მოსაზრების შეცვლის უნარით. იყო სკეპტიკოსი, ნიშნავს, იაზროვნო კრიტიკულად და არაფერი მიიღო გაცნობიერებისა და გააზრების გარეშე. ეს კი ავტორიტარიზმისა და ტოტალიტარიზმის პრევენციის საუკეთესო საშუალებაა. სკოლა მოზარდებში ამ უნარის განვითარებას უნდა უწყობდეს ხელს.



ლელა ჩახაია

განათლების სამინისტროს პროგრამების დეპარტამენტის უფროსის მოადგილე

დასაფასებელია, როცა ადამიანს საკუთარი პოზიციის დაცვის უნარი აქვს, მაგრამ თუ საპირისპირო მტკიცებულებების და არგუმენტების წამოყენების შემთხვევაში, ის არ იცვლის პოზიციას, ეს უკვე უმიზნო პრინციპულობა, ან მარტივად რომ ვთქვათ, სიჯიუტეა, რაც კრიტიკულ აზროვნებასთან შეუთავსებელია.

რა არის კრიტიკული აზროვნება?

მიუხედავად ქართულ ენაში დამკვიდრებული ტრადიციისა, სიტყვა „კრიტიკული“ უარყოფით კონოტაციას ყოველთვის არ შეიცავს. შესაბამისად, კრიტიკული აზროვნება სულაც არ ნიშნავს ვინმეს ან რაიმეს სტანდარტული გაგებით გაკრიტიკებას, ნაკლის გამოვლენას და უარყოფითი დამოკიდებულების გამოხატვას. კრიტიკული აზროვნება ინტელექტუალური პროცესია, რომლის დროსაც ხდება დაკვირვების, გამოცდილების, ფიქრის შედეგად მიღებული ინფორმაციის შეფასება, ანალიზი და კონცეპტუალიზაცია. კრიტიკული აზროვნება არ არის პროცესი, რომელიც აუცილებლად ადგენს ჭეშმარიტებას, ან რომლის შედეგადაც მხოლოდ სწორი დასკვნები გამოგვაქვს. უმთავრესი სწორედ აზროვნების პროცესია და არა შედეგი.

კრიტიკული აზროვნების პროცესი რამდენიმე კომპონენტისაგან შედგება:

- შეკითხვების დასმა
- პრობლემის განსაზღვრა
- მტკიცებულების მოძიება
- მოსაზრებების შეფასება
- ალტერნატიული ინტერპრეტაციების და შეხედულებების განხილვა
- დასკვნების გამოტანა
- დასკვნების გადასინჯვა და გადაფასება.

კრიტიკულად მოაზროვნე ადამიანი სვამს ბევრ (ხშირად თამამ და უხერხულ) შეკითხვას, საკუთარ მოსაზრებებს კი მტკიცებულებებზე დაყრდნობით, ნათლად და გასაგებად აყალიბებს. მას აქვს უნარი და სურვილი, სათანადო არგუმენტების არსებობის შემთხვევაში, შეიცვალოს მოსაზრება, როგორი მყარიც არ უნდა იყოს იგი. კრიტიკული მოაზროვნისათვის არ არსებობს ურყევი ჭეშმარიტება სათანადო დასაბუთების გარეშე. მას შეუძლია განასხვავოს ერთმანეთისგან ფაქტი და მოსაზრება. კრიტიკულად მოაზროვნეს აქვს გამბედაობა, აღიაროს შეცდომები საკუთარ მსჯე-

ლობაში. ის ყოველთვის მზად არის, განიხილოს და მიიღოს განსხვავებული აზრი.

დასაფასებელია, როცა ადამიანს საკუთარი პოზიციის დაცვის უნარი აქვს, მაგრამ თუ საპირისპირო მტკიცებულებების და არგუმენტების წამოყენების შემთხვევაში, ის არ იცვლის პოზიციას, ეს უკვე უმიზნო პრინციპულობა, ან მარტივად რომ ვთქვათ, სიჯიუტეა, რაც კრიტიკულ აზროვნებასთან შეუთავსებელია.

კრიტიკული აზროვნების პოტენციალი თითოეულ ადამიანში დევს, ყველას აქვს სამყაროს შეცნობის, მიმდინარე ბუნებრივი და სოციალური მოვლენების ახსნის თანდაყოლილი სურვილი. ადრეულ ასაკში ბავშვები ძალიან ბევრ შეკითხვას სვამენ პირდაპირ, ყოველგვარი მორიდების გარეშე. მათ განსაკუთრებით ხშირად სურთ გაიგონ, რატომ ხდება ესა თუ ის მოვლენა: რატომ არის ვაშლი წითელი, რატომ ვერ დაფრინავენ ადამიანები, რატომ არ იყინებიან პინგვინები სამხრეთ პოლუსზე და ა.შ. ბავშვებს აინტერესებთ არა უბრალოდ ფაქტები, არამედ მათი დასაბუთება და დაჟინებით ცდილობენ არგუმენტების მოპოვებას. ასაკის მატებასთან ერთად ხშირად ცოდნის შეძენის ეს ბუნებრივი წყურვილი ქრება და როგორც ჩანს, ამას მნიშვნელოვნად უწყობს ხელს ოჯახი, სოციალური გარემო, სკოლა. მშობლები, მასწავლებლები, სხვა უფროსები ბავშვს ხშირად აჩუმებენ, უპასუხოდ ტოვებენ შეკითხვებს და აუხსნელად, უპირობოდ მოითხოვენ მისგან მითითებების შესრულებას. ასეთი მიდგომის შედეგად მცირდება შეცნობის, ძიების სურვილი, თანდაყოლილი ცნობისმოყვარეობა და შესაბამისად, გარემოს კრიტიკულად შეფასების, გადაწყვეტილებების დამოუკიდებლად მიღების უნარი. სწორედ ამიტომ ძალიან მნიშვნელოვანია, რომ მასწავლებელმა თითოეულ ბავშვში შეცნობის, ძიების, განსჯის უნარი გააღვივოს და მისგან მოაზროვნე ჩამოაყალიბოს.

რატომ უნდა ვასწავლოთ კრიტიკული აზროვნება?

ეს შეკითხვა შეიძლება ბევრს გაუჩნდეს: რატომ არის აუცილებელი, ბავშვებს ვასწავლოთ ყველაფრის ეჭვქვეშ დაყენება და გამოვუმუშავოთ უნდობლობის დამოკიდებულება? რაში სჭირდება ადამიანს კრიტიკული აზროვნება? მოკლე პასუხი ასეთია: კრიტიკული აზროვნების უნარის მქონე ადამიანს მისი გამოყენება შეუძლია ნებისმიერი სამეცნიერო თუ ცხოვრებისეული პრობლემის გადაჭრის გზების ძიებისას. სამწუხაროდ, სწავლების პროცესში მასწავლებლები ხშირად მხოლოდ შინაარსზე ამახვილებენ ყურადღებას და არა მეთოდოლოგიაზე, შესაბამისად, ერთ საგანში მიღებულ ცოდნას მოსწავლე სხვა საგანში, ან სხვა კონტექსტში ვერ იყენებს.

„სწავლა“ შეგვიძლია სხვადასხვაგვარად გავიგოთ. ერთი მხრივ, შესაძლოა, ის ინფორმაციის პასიურად მიღებას და დაგროვებას გულისხმობდეს. რა თქმა უნდა, კარგია, როცა ადამიანს ზეპირად ახსოვს მრავალი თარიღი, დასახელება, ფორმულა და ა.შ. თუმცა უდავოა, რომ თანამედროვე ტექნოლოგიების ფართოდ გავრცელების პირობებში, ბევრი ინფორმაციის დამახსოვრების უნარი სულ უფრო და უფრო ნაკლებად მომხიბლავ თვისებას წარმოადგენს.

მეორე მხრივ, სწავლა შეიძლება გულისხმობდეს არა ფაქტობრივი ინფორმაციის მიღებას, არამედ იმ მეთოდების, უნარების ათვისებას, რაც მის დამუშავებაში, დახარისხებაში, ორგანიზებაში, გაანალიზებაში, სხვა მსგავსი ტიპის ინფორმაციასთან შედარებაში დაგვეხმარება. რა თქმა უნდა, ძალიან მნიშვნელოვანია, მოსწავლემ საგნის შინაარსი ისწავლოს, მაგრამ თუ მან პასიურად მიიღო ცოდნა და თვითონ არ ჩაერთო ცოდნის წარმოქმნის პროცესში, დაგროვებული ინფორმაცია. შესაძლოა, უკვალოდ გაქრეს მისი მეხსიერებიდან.

კრიტიკული აზროვნება საზოგადოებაში ღრმად გამჯდარ ცრურწმენებთან ბრძოლის იარაღს წარმოადგენს, რადგან მისი ერთ-ერთი მთავარი თვისება, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ალტერნატიული მოსაზრებების განხილვა და გაზიარებაა. კრიტიკული აზროვნების უნარ-ჩვევის გამომუშავება კი სასარგებლოა არა მხოლოდ პიროვნებისთვის, რომელიც მას პროფესიულ საქმიანობასა თუ პირად ცხოვრებაში იყენებს, არამედ აგრეთვე იმ დისციპლინაში სიახლეების დანერგვისა და განვითარებისთვის, რომელშიც იგი მოღვაწეობს.

კრიტიკული აზროვნების უნარი ადამიანს სჭირდება ლიბერალურ-დემოკრატიულ საზოგადოებაში წარმატებული ფუნქციონირებისთვის, რადგან ამ პირობებში ინდივიდს გაცილებით მეტი პასუხისმგებლობის აღება უწევს საკუთარ თავზე, ვიდრე ავტორიტარულ საზოგადოებაში, სადაც გადაწყვეტილებებს მის ნაცვლად სხვები იღებენ.

როგორ განვუვითაროთ მოსწავლეებს კრიტიკული აზროვნება?

კრიტიკული აზროვნების განვითარება შესაძლებელია ნებისმიერი საგნის სწავლებისას განათლების ნებისმიერ ეტაპზე. არა აქვს მნიშვნელობა, რა დისციპლინას ასწავლით. არსებობს კრიტიკული აზროვნების

განვითარების ხერხები, რომლებიც ყველა საგანში ერთნაირად გამოიყენება (მაგალითად, ჯგუფური მუშაობა). ზოგიერთი ხერხი კი გარკვეულ კატეგორიას უფრო მიესადაგება (მაგალითად, ექსპერიმენტების ჩატარება ყველაზე მოსახერხებელია საბუნებისმეტყველო საგნების სწავლებისას).

კრიტიკული აზროვნების განვითარებისკენ გადადგმული პირველი ნაბიჯი შეკითხვების დასმის ჩვევის გამომუშავებაა. მასწავლებელმა უნდა წაახალისოს მოსწავლეები, რათა მათ ბევრი შეკითხვა დასვან. ეს განსაკუთრებით სასარგებლოა ახალი სასწავლო მასალის მიწოდებისას. პედაგოგს შეუძლია კლასს პირდაპირ კი არ მიაწოდოს ახალი ინფორმაცია, არამედ მოზარდებს ისეთი შეკითხვები დაასმევინოს, რომელთა პასუხადაც ისინი ამ ინფორმაციას მიიღებენ. კარგი იქნება, თუ ახალი მასალის ახსნის შემდეგ მასწავლებელი მათ სთხოვს, მომდევნო გაკვეთილისთვისაც მოამზადონ გარკვეული რაოდენობის შეკითხვები.

კრიტიკული აზროვნების განსავითარებლად ძალიან სასარგებლოა საკლასო შეფასების ტექნიკის გამოყენება. მასწავლებელს შეუძლია გაკვეთილის ბოლოს სთხოვოს მოსწავლეებს, ჩამოწერონ სამი ყველაზე მნიშვნელოვანი რამ, რაც მათ იმ დღეს გაკვეთილზე გაიგეს, სამი შეკითხვა, რომელზეც მათ პასუხი ვერ მიიღეს და როგორ უკავშირდება ეს ყველაფერი სხვა გაკვეთილების მასალას.

კარგი იქნება, თუ ბავშვები სკოლის ასაკიდან დაიწყებენ მცირე მასშტაბის კვლევების ჩატარებას. ეს შესაძლოა იყოს ინფორმაციის, მონაცემების მოძიება, გამოკითხვების ჩატარება, დაკვირვების განხორციელება და მიღებული შედეგების სტრუქტურიზებული სახით წარმოდგენა.

ასე მოსწავლეები მიეჩვევიან საჭირო ინფორმაციის მოძიებას, გაფილტვრას და ამ ინფორმაციის და მტკიცებულებების საფუძველზე მსჯელობის აგებას.

როდესაც მოასწავლეს უკვე ხელთ აქვს გარკვეული ინფორმაცია და მონაცემები, საჭიროა იცოდეს, თუ როგორ შეიძლება ამ ინფორმაციის დაჯგუფება და კატეგორიზაცია.



არსებობს ორგვარი მიდგომა: მაგალითად, თუ ენის მასწავლებელი მოსწავლეებს უხსნის განსხვავებას არსებით სახელებსა და ზმნებს შორის, მას შეუძლია ჯერ თითოეულისთვის დამახასიათებელი თვისებები ახსნას და შემდეგ სთხოვოს მოზარდებს, სიტყვები ზმნის ან არსებითი სახელის კატეგორიაში მოათავსონ. მეორე მხრივ, მასწავლებელს შეუძლია მოსწავლეებს მისცეს ორ კატეგორიაში განაწილებული სიტყვების სია და სთხოვოს, თვითონ დაადგინონ ის კრიტერიუმები, რომელთა მიხედვითაც მოხდა განაწილება.

რადგან კრიტიკული აზროვნების ერთ-ერთი უმთავრესი კომპონენტი განსხვავებული აზრის მოსმენის და გაზიარების სურვილია, ბავშვს მუდმივად უნდა ახსოვდეს, რომ ყველა სიტუაციაში არსებობს ალტერნატი-



ვა – ალტერნატიული ჰიპოთეზები, მოსაზრებები, დასკვნები, განმარტებები, გეგმები. ამ უნარის განსავითარებლად კარგი სავარჯიშოა სიტუაციის სხვა პერსპექტივიდან დანახვა.

კრიტიკულად მოაზროვნე ადამიანს უნდა შეეძლოს ახალი არგუმენტების და მტკიცებულებების მიღების შემთხვევაში, უკვე ჩამოყალიბებული შეხედულებების შეცვლა. სასურველია, მასწავლებელმა მოსწავლეებს დოზირებულად მიაწოდოს ინფორმაცია, ყოველ ჯერზე გამოათქმევინოს მათ საკუთარი აზრი და დააკვირდეს, რამდენად შეიცვლება იგი.

ბევრი ექსპერტი ფიქრობს, რომ კრიტიკული აზროვნების განვითარებისთვის კარგია, თუ მასწავლებელი მოსწავლეებს ისეთ შეკითხვას დაუსვამს, რომელზეც პასუხი თვითონ არ იცის, ან არ არის დარწმუნებული. ამ შემთხვევაში, პედაგოგს შეუძლია მოზარდებთან ერთად მოძებნოს იგი და ამით გარკვეული მაგალითი მისცეს მათ. გარდა ამისა, ეს მოსწავლეებს დაეხმარება, დაძლიონ არცოდნის კომპლექსი, აღიარონ, რომ არ იციან პასუხი ამა თუ იმ შეკითხვაზე და მიუხედავად ამისა, ლოგიკური მსჯელობის გზით მაინც შეუძლიათ მივიდნენ სავარაუდო პასუხებამდე, თუნდაც ისინი არასწორი აღმოჩნდეს.

საზოგადოების რაც უფრო მეტ წევრს აქვს დამოუკიდებლად განსჯის, ფიქრის და ამის შედეგად რაციონალური გადაწყვეტილებების მიღების უნარი, მით უფრო დიდია ალბათობა, რომ ეს საზოგადოება შედგება, როგორც ლიბერალური, დემოკრატიული ერთობა. მასწავლებლებმა კი ბოლომდე უნდა გამოიყენონ უნიკალური შესაძლებლობა, გამოაღვიძონ და განავითარონ თითოეულ მოსწავლეში ბუნებრივად არსებული ეს უნარი.

ცოდნის ეკონომიკა

თანამედროვე მსოფლიოს გამოწვევები განათლების სისტემებს



სოფო გორგოძე

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრის დირექტორი

ჩვენ ისე აღარ უნდა ვასწავლოთ, როგორც ჩვენ გვასწავლიდნენ. ეს იმას არ ნიშნავს, რომ ჩვენი მასწავლებლები არაპროფესიონალები იყვნენ. უბრალოდ, ისინი სხვა რეალობაში საცხოვრებლად გვამზადებდნენ, დღეს კი მსოფლიო სრულიად სხვა რეალობაშია. ახლა ჩვენ ცოდნის ეკონომიკაში ვცხოვრობთ.

ცოდნის ეკონომიკაზე ბოლო დროს ხშირად საუბრობენ. ეს სიტყვები ისმის განვითარებული თუ განვითარებადი სახელმწიფოების პრეზიდენტების გამოსვლებში, ეკონომიკურ ფორუმებზე და მასწავლებლების მიმართვებში. ცოდნის ეკონომიკას განსაკუთრებით ხშირად განათლების სისტემებზე საუბრისას ახსენებენ, რადგან სწორედ განათლების სისტემის მოწყობაზეა დამოკიდებული ის, თუ რამდენად შეძლებს მომავალი თაობა არსებული რეალობის ქვეყნის საკეთილდღეოდ გამოყენებას. თუ ეს შესაძლებელია, მაშინ ქვეყანას წარმატების შანსი აქვს, თუ – არა, მას ამავე ეკონომიკის მიერ გარიყვა ემუქრება. ჯერ კიდევ 2003 წელს მსოფლიო ბანკის ერთ-ერთ ანგარიშში საუბარი იყო იმაზე, რომ გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნებს, რომელთა შორის საქართველოც არის, განსაკუთრებით ემუქრება შემდგომი მარგინალიზაცია, რადგან მათი განათლების სისტემები მომავალ თაობას ვერ აძლევენ ამ ეკონომიკისთვის შესაფერის უნარ-ჩვევებს.

რას გულისხმობს ცოდნის ეკონომიკა

ცოდნის ეკონომიკაში, ეკონომიკური ზრდისთვის არამატერიალური კაპიტალი, ანუ ცოდნა და ინფორმაცია უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ხელშესახები კაპიტალი (ბუნებრივი რესურსები და ფიზიკური ინფრასტრუქტურა) და სამუშაო ძალის რიცხოვნება. ეკონომისტი პიტერ დრუკერი ერთ-ერთი პირველი წერდა ახალი ეკონომიკის შესახებ: „საზოგადოების მთავარი ეკონომიკური რესურსი უკვე აღარ არის კაპიტალი ან სამუშაო ძალა, არამედ... ცოდნა. ღირებულებას ქმნის მხოლოდ პროდუქტიულობა და ინოვაცია“.

დასავლური სახელმწიფოების მაგალითზე, ეკონომისტები ადასტურებენ, რომ მე-19 საუკუნის 50-იანი წლებისგან განსხვავებით, დღეს მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდაში გაცილებით დიდია ხელშეუხებელი კაპიტალის წვლილი, ვიდრე ხელშესახებისა. შესაბამისად, მსოფლიოს მრავალი ქვეყნის ლიდერები გამუდმებით აკეთებენ აქცენტს თავიანთი განათლების სისტემების ნაკლოვანებებზე და ცდილობენ, ფეხი აუწყონ ახალ ეკონომიკას.

„ჩვენ ოცდამეერთე საუკუნის ცოდნის ეკონომიკაში ვცხოვრობთ, ჩვენი სკოლები კი....ისევ მეოცე საუკუნეში დარჩა,“ – ეს ამერიკის ვიცე-პრეზიდენტის ჯო ბაიდენის სიტყვე-

ბია, რომლითაც მან თანამემამულეებს მიმართა, როცა ამერიკაში წიგნიერების ამაღლების საჭიროებაზე საუბრობდა. ის უკმაყოფილებას გამოთქვამდა, რადგან, მისი აზრით, ქვეყანაში წერა-კითხვის უნარები ყველა ბავშვს არ ჰქონდა სათანადოდ განვითარებული, მით უფრო, აზროვნების ისეთი უნარი, როგორსაც ცოდნის ეკონომიკა მოითხოვდა.

სავარაუდოდ, კორეის მთავრობა ასეთ მწუხარებას არ გამოთქვამს, რადგან მათ წიგნიერების დონით ბევრ ქვეყანას გაუსწრეს და ადამიანური კაპიტალის თვალსაზრისითაც საკმაოდ წინ წავიდნენ (ადამიანური კაპიტალი გულისხმობს ცოდნასა და უნარ-ჩვევებს, რაც ეკონომიკურ ღირებულებას ქმნის). ბოლო 40 წლის განმავლობაში კორეამ უპრეცენდენტო ეკონომიკური ზრდა აჩვენა, მთლიანი შიდა პროდუქტი 11-ჯერ გაიზარდა. კვლევები ადასტურებს, რომ კორეაში ეკონომიკური ზრდის მთავარი განმსაზღვრელი ფაქტორი სწორედ ცოდნის დაგროვება გახდა.

რას ნიშნავს ეს ჩვენი ქვეყნისთვის? ისეთ პირობებში, როცა ეკონომიკური ზრდა, ქვეყნის პროდუქტიულობა და წარმატება დამოკიდებულია არა იმდენად ქვეყანაში არსებულ ბუნებრივ რესურსებზე, არამედ ადამიანური კაპიტალის ხარისხზე, მნიშვნელოვანია სწორედ ადამიანურ კაპიტალში, მომავალი თაობის განათლებაში ინვესტირება. თუ ადრე ინვესტორები დაინტერესებული იყვნენ იმ ქვეყნებით, სადაც იაფი იყო ბუნებრივი რესურსები და დაბალი კვალიფიკაციის მუშახელი, ცოდნის ეკონომიკის პირობებში ისინი ეძებენ ქვეყნებს, სადაც ადამიანური კაპიტალია იაფი. განათლებაში ჩადებული ინვესტიცია მომავალში ქვეყნის წარმატების საწინდარი გახდება. მათ მოზიდვაშიც სწორედ ადამიანური კაპიტალი თამაშობს უმნიშვნელოვანეს როლს. მაგ. 1996 წელს კოსტა-რიკაში სამასმილიონიანი ინვესტიცია უზარმაზარმა კომპიუტერულმა კომპანიამ „ინტელმა“ იმიტომ განახორციელა, რომ იქ მაღალი დონის ადამიანური კაპიტალი არსებობდა. ამ ქვეყანამ განსაკუთრებით დიდი ინვესტიცია ჩადო განათლების სისტემაში, საინფორმაციო ტექნოლოგიები დაწყებით კლასებში ჯერ კიდევ 1988 წელს შეიტანეს და მოსწავლეების მომზადება მსოფლიოს ახალი ეკონომიკის მოთხოვნების შესაბამისად დაიწყეს.

როგორ მოვამზადოთ მომავალი თაობა

მე-19 საუკუნის ბოლოს და მე-20 საუკუნის დასაწყისში, როცა მსოფლიო აგრარულიდან ინდუსტრიულ ეკონომიკაზე გადადიოდა, ამ ცვლილებას განათლების სისტემებშიც დიდი გარდატეხა მოჰყვა. ქვეყნებმა დაიწყეს ზრუნვა იმაზე, რომ უფრო მეტ ადამიანს ჰქონოდა სრული სასკოლო განათლების მიღების საშუალება და უმაღლეს სასწავლებლებში სწავლის ხელმისაწვდომობა გაზრდილიყო. დღეს, როცა მსოფლიო ცოდნის ეკონომიკაზე გადადის, განათლების სისტემები ისევ ძირეულ ცვლილებებს საჭიროებს. ახლა მთავარია არა მხოლოდ ის, თუ რამდენად ხელმისაწვდომია ცოდნა ადამიანებისათვის, არამედ რამდენად შეუძლიათ მათ მისი ეფექტურად გამოყენება და მასზე სხვა ცოდნის დაშენება. დღევანდელ რეალობაში ცოდნა, როგორც კაპიტალი, არ გულისხმობს პასიური ინფორმაციის მიღებას, არამედ იგი კოგნიტური (შემეცნებითი) უნარია, რომელიც არ არის სპეციფიკური რომელიმე ტიპის საქმიანობისათვის.

ცოდნის ეკონომიკაში წარმატების მისაღწევად მოზარდთათვის იმ უნარების განვითარებაა საჭირო, რომელთა მეშვეობითაც ისინი შეძლებენ შეცვლილი რეალობისთვის ალღოს სწრაფად აღებას, არ გაუჭირდებათ გეოგრაფიულად ვრცელ არეალში მოღვაწეობა და საჭიროების შემთხვევაში, ახალი ტიპის უნარებს განივითარებენ, სრულიად ახალ პროფესიებს დაეუფლებიან. ამის საჭიროება იქიდან გამომდინარეობს, რომ ცოდნის ეკონომიკაში შეძენილი უნარების ცვეთა სწრაფად ხდება. ამიტომ ადამიანებს საკუთარი უნარების განახლება მთელი სიცოცხლის განმავლობაში სჭირდებათ. სწავლა მთელი სიცოცხლის მანძილზე – სწორედ ამას მოითხოვს ახალი ეკონომიკა.

მრავალი ქვეყნის ზოგადი განათლების რეფორმის მიზანია, თითოეულმა ბავშვმა მაღალ დონეზე განივითაროს კოგნიტური უნარები, შექმნას ცოდნა, გამოიყენოს ის უცნობი პრობლემების გადასაჭრელად და შეძლოს ამ ცოდნის სხვებისთვის ეფექტურად გაზიარება. ეს მოიცავს მეტაკოგნიციას, კონსტრუქტივისტულ სწავლებას, თანამშრომლობით სწავლებას და ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენებას. ასეთი ეკონომიკა ინოვაციურ აზროვნებას და კომუნიკაციის უაღრესად დახვეწილ უნარებს მოითხოვს.

გამოწვევა მასწავლებლებისთვის

ახალი ეკონომიკა მასწავლებლებისგან ახალი ტიპის პროფესიონალიზმს მოითხოვს – შემოქმედებითობას, მოქნილობას, პრობლემების გადაჭრას, ორიგინალურობას, რისკების მართვის, ცვლილებებთან ადაპტირების უნარებსა და მუდმივი გაუმჯობესებისაკენ სწრაფვას.

პედაგოგიური მიმართულებები უნდა გადაეწყოს ჯგუფურ მუშაობაზე, კრიტიკული აზროვნების განვითარებაზე. ინფორმაციის გადაცემა უნდა შეიცვალოს ცოდნის შექმნით, გამოყენებით, ანალიზით თუ სინთეზით. წინა პლანზე გამოდის მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლება, რაც იმას გულისხმობს, რომ მასწავლებელმა იცის, რა ცოდნა და ინფორმაცია აქვს მოსწავლეს და ამის გათვალისწინებით გეგმავს გაკვეთილს.

მასწავლებელთა პროფესიული განვითარება უფრო თანამშრომლობითი უნდა გახდეს. საჭიროა, შეიქმნას სასწავლო ქსელები, სკოლები კი მასწავლებლებისთვის სასწავლო ორგანიზაციებად გადაიქცნენ. მნიშვნელოვანია, იმის გათვალისწინებაც, რომ ყველა მასწავლებელს მუდმივად სჭირდება საკუთარი ცოდნის განახლება. დღევანდელობის მოთხოვნაა, ისინი ერკვეოდნენ ტექნოლოგიებში და მუდმივად ეცნობოდნენ ახალ პედაგოგიურ მეთოდებსა და იდეებს. ამიტომ თუ მასწავლებლები ითანამშრომლებენ, გაცილებით ადვილი იქნება შედეგის მიღწევა.

ცოდნის ეკონომიკაში განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ხდება სამოქალაქო განათლება. ცოდნის ეკონომიკა აგებულია სარგებლის მიღებაზე, მოგებაზე. შესაბამისად, თუ ყურადღება არ მიექცევა მოსწავლეთა სამოქალაქო აღზრდას და სათანადო პირობები არ შეიქმნება სოციალური ინტეგრაციისათვის, ახალმა ეკონომიკამ შესაძლოა უარყოფითი შედეგები მოუტანოს საზოგადოებას, გაიზარდოს ზღვარი მდიდრებსა და ღარიბებს შორის, გაღრმავდეს ეთნიკური ფუნდამენტალიზმი. ამიტომაა მნიშვნელოვანი, რომ თითოეული მასწავლებელი ფლობდეს სამოქალაქო განათლებისათვის საჭირო აუცილებელ კომპეტენციებს. სამოქალაქო განათლება ხელს უწყობს ქვეყანაში სამართლიან მმართველობას და კანონმორჩილებას, რაც პირდაპირ კავშირშია ეკონომიკურ და სოციალურ განვითარებასთან.

ცოდნის ეკონომიკაში ასევე უმნიშვნელოვანესია ინფორმაციული ტექნოლოგიების როლი. ისინი მხოლოდ ინფორმაციის ხელმისაწვდომობას კი არ უზრუნველყოფენ, არამედ საშუალებას იძლევიან, რომ მოსწავლეებმა სხვადასხვა ტიპის უნარების განვითარებაზე იმუშაონ. კომპიუტერული პროგრამები მათ საშუალებას აძლევს, ბევრი რამ დამოუკიდებლად ისწავლონ. ჯერ კიდევ 1997 წელს ამერიკაში ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა, რომ საბაზო საფეხურის მოსწავლეებმა, რომელთაც კომპიუტერული პროგრამის საშუალებით შეეძლოთ აჩქარების და სიჩქარის ვიზუალიზაცია, უფრო ეფექტურად გამოიყენეს ნიუტონის კანონები რეალური ცხოვრებიდან აღებული ამოცანების გადასაჭრელად, ვიდრე საშუალო საფეხურის მოსწავლეებმა, რომლებიც მსგავს პროგრამას არ იყენებდნენ. სანამ ეს ყველაფერი სკოლაში დაინერგება, საჭიროა მასწავლებლების საფუძვლიანი მომზადება. უპირველეს ყოვლისა, პედაგოგებმა ტექნოლოგიების საჭიროება უნდა გაითავისონ. ამ მიზნით ჩილეში შექმნეს ტექნოლოგიის მიკროცენტრები, სადაც მასწავლებლები ჯგუფურად მიდიან და ერთად გეგმავენ საკლასო აქტივობებს თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით.

გამოწვევა სახელმწიფოსათვის

როგორი განათლების სისტემა და შესაბამისად, როგორი ეკონომიკა გვექნება მომავალში, სახელმწიფოს არჩევანზეა დამოკიდებული. ის, თუ რა დოზით მოხდება ინვესტირება ადამიანურ კაპიტალში, მეცნიერებისა და ტექნოლოგიების განვითარებაში, უმნიშვნელოვანესი ფაქტორია განათლების სახელმწიფო პოლიტიკის განსასაზღვრად. სახელმწიფოს არჩევანს, ამ შემთხვევაში, მხოლოდ სურვილი კი არ განაპირობებს, არამედ შესაძლებლობაც და ისიც, თუ ამჟამად რა ეტაპზე ვიმყოფებით განათლებაში ინვესტიციის თვალსაზრისით. ცოდნის ეკონომიკისთვის მომზადება გაცილებით ადვილი იქნება იმ ქვეყნებისათვის, სადაც ადამიანურ კაპიტალში ინვესტირება იმთავითვე გაცილებით მაღალია.

2007 წლის მონაცემებით ყველაზე მეტ ინვესტიციას განათლებაში დებს დანია, კორეა, ამერიკის შეერთებული შტატები და ისლანდია, სადაც განათლების დაფინანსება მთლიანი შიდა პროდუქტის 7-იდან 11%-მდეა. ზოგადად, ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის წევრ 31 ქვეყანაში (ევროპის ქვეყნების უმრავლესობა, ა.შ.შ., კორეა, იაპონია და სხვა) ბოლო 10 წლის მანძილზე განათლების დაფინანსება შესამჩნევად გაიზარდა. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მონაცემებით კი, 2000 წლიდან 2008 წლამდე განათლების დაფინანსება მთლიან შიდა პროდუქტთან მიმართებაში 2.18%-დან 2.8%-მდე გაიზარდა.

მნიშვნელოვანია ისიც, თუ როგორ ახდენს სხვადასხვა ქვეყანა განათლების დაფინანსების გადანაწილებას, რათა მაქსიმალურად ეფექტურად მიაღწიოს სასურველ შედეგს. დაახლოებით ერთნაირი დაფინანსების პირობებში, ლუქსემბურგი ცდილობს, მეტი თანხა დახარჯოს მცირე ზომის კლასებზე და ჰყავდეს უფრო ბევრი მასწავლებელი, კორეაში კი მასწავლებლების ხელფასებს დიდი კლასების ხარჯზე ზრდიან, სადაც განსაკუთრებით კვალიფიციურ პედაგოგებს იწვევენ და მათ მაღალ ხელფასს უხდიან. ინგლისი და ავსტრალია დამწყებ მასწავლებლებს უზრდის ხელფასს უფრო მეტი კვალიფიციური კადრის მოსაზიდად, თუმცა გავრცელებული შეფასებით, მსგავს შემთხვევებში, უკვე მოქმედ პედაგოგს ნაკლები მოტივაცია აქვს პროფესიული განვითარების თვალსაზრისით (თუ მისი ხელფასი დამწყები მასწავლებლის ხელფასის ტოლია და არ იცვლება). საქართველოში განათლების დაფინანსების სიმწირის მიუხედავად, ეტაპობრივად დაიწყო მასწავლებლების ხელფასების გაზრდა. ეს ზრდა ნაწილობრივ განათლების სხვა სფეროების დაფინანსების შემცირების ხარჯზე ხდება, მაგრამ ზოგად პოლიტიკას მაინც ასახავს. თუმცა ჯერჯერობით მაინც არასაკმარისი ძალისხმევაა იმისათვის, რომ მაღალკვალიფიციური კადრები მოვიზიდოთ.

როგორც ვხედავთ, ცოდნის ეკონომიკისაკენ ყველა ქვეყანა თავის გზას ირჩევს, რაც მათ მომავალს განაპირობებს. ჩვენმა ქვეყანამაც საკუთარი გზა უნდა აირჩიოს, უნდა გადაწყვიტოს, როგორი იქნება ინვესტირება ადამიანურ კაპიტალში, როგორ გადანაწილდება რესურსები სხვადასხვა სფეროებზე, რამდენად შეიქმნება ისეთი ინსტიტუციური ბაზა, რომ დაგროვილი ცოდნის მაქსიმალურად ეფექტურად გამოყენება იყოს შესაძლებელი. ისიც გასარკვევია, რა დროში შეუძლია დღევანდელ ინვესტიციას მოიტანოს დადებითი ცვლილებები და რამდენად უარყოფითი შეიძლება იყოს ახლანდელი მწირი ინვესტიცია მომავალში. კარგი იქნება, თუ სახელმწიფოსთან ერთად თითოეული ჩვენგანიც დაფიქრდება ამ არჩევანზე – იმაზე, თუ როგორი გვინდა, იყოს საქართველოს მომავალი და რისი გაკეთება შეგვიძლია ამ მომავლისთვის.

როგორ ვასწავლოთ ღირებულებები სკოლაში

მოზარდი თაობის ღირებულებათა სისტემის ჩამოყალიბება საზოგადოების ყველაზე მნიშვნელოვანი საზრუნავია. რა ფუნქციის შესრულება შეუძლია სკოლას ამ მიმართულებით და რამდენად შესაძლებელია ამის განხორციელება სასწავლო პროცესში? ამ თემაზე „მასწავლებლის“ ინიციატივით გამართული მრგვალი მაგიდის მონაწილეებმა იმსჯელეს.

შორენა ბურდილაძე

შეხვედრაში მონაწილეობდნენ:
გია მურღულია
24-ე საჯარო სკოლის დირექტორი

ირაკლი კაკაბაძე
ევროპული უნივერსიტეტის სკოლა „მთიების“ საშუალო სკოლის დირექტორი

ფატი ფირუაშვილი
პირველი საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი

ნათია ნაცვლიშვილი
მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი

სოფო გორგოძე
მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრის დირექტორი

გიორგი გახელაძე
ექსპერტი სამოქალაქო განათლების საკითხებში

სოფო ბრიტანიშკი
საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის წევრი

ქეთი მსხილაძე
საზოგადოებრივი მაუწყებლის მონიტორინგის ჯგუფის უფროსი

ლევან ბრეგაძე
მწერალი, ლიტერატურის კრიტიკოსი

ანა ლაღიძე
ფსიქოლოგი

შეხვედრას უძღვებოდა „მასწავლებლის“ მთავარი რედაქტორი ხათუნა კვესელავა

რამდენად მნიშვნელოვანია სასწავლო პროცესში მოზარდთა ღირებულებების სისტემის ჩამოყალიბებაზე ზრუნვა და რა გზები და რესურსები აქვს სკოლას საამისოდ?

გია მურღულია: საყოველთაოდ აღიარებულია შეხედულება, რომ მხოლოდ ინტელექტუალურმა აღზრდამ მსოფლიოს კარგი არაფერი მოუტანა. ემოციური აღზრდისა და ღირებულებების სისტემის ჩამოყალიბების გარეშე შეუძლებელია სრულფასოვანი პიროვნების, ოჯახისა თუ საზოგადოების არსებობა. ღირებულებათა სისტემა მოსწავლეებში გადამწყვეტი თემაა. დასაწყისისთვის, კარგი იქნება, თუ შევთანხმდებით, კერძოდ რა ღირებულებებს ვგულისხმობთ ამ საკითხზე საუბრისას. თუ ვსაუბრობთ სამყაროს მიმართ დამოკიდებულებაზე, სამშობლოს განცდაზე, სიყვარულზე, მეგობრობაზე, თანადგომასა თუ გულისხმიერებაზე, მაშინ, ბუნებრივია, ამაზე მნიშვნელოვანს ვერც სკოლა და ვერც საზოგადოება ვერაფერს გააკეთებს.

ჩვენს სკოლაში, რომელიც რიგითი ნომრით 24-ა, ასეთი რამ დავამკვიდრეთ: ავირჩიეთ ცხოვრების 24 ორიენტირი, რომელიც წარმოდგენილია სხვადასხვა ცნობილი ფრაზით, მაგალითად, „იცხოვრე და აცალე სხვებს სიკვდილი“. ავირჩიეთ ასევე მთავარი სლოგანი სკოლისთვის – „თავისუფლება შედეგია და არა მიზანი“.

ირაკლი კაკაბაძე: სკოლის იდეა, ზოგადად, მხოლოდ ცოდნის მიცემას არ გულისხმობს. მას აღმზრდელობითი ფუნქციაც აქვს, თუმცა ზოგადი ღირებულებები ერთმანეთთან წინააღმდეგობაში არ უნდა მოდიოდეს. უნდა შევთანხმდეთ, სკოლა მოქალაქეობრივი ღირებულებების მქადაგებლად მოვიაზროთ თუ ზოგადსაკაცობრიო ღირებულებებისა. ხშირად ვამჩნევ, როგორ ემსგავსებიან კლასის დამრიგებელს მისი მოსწავლეები. როცა ერთი მასწავლებლის გავლენა ასეთი დიდია, წარმოიდგინეთ, რა შეუძლია სკოლას, სადაც ბავშვი თავისი ცხოვრების 12 წელს ატარებს.

როგორ ფიქრობთ, არსებობს თუ არა საზოგადოებაში თანხმობა: რას ვგულისხმობთ ღირებულებებში?

გიორგი გახელაძე: ღირებულებებსა და მათ დეფინიციაზე კამათი საზოგადოებაში განუწყვეტლივ მიმდინარეობს. მრჩება შთაბეჭდილება, რომ ჩვენი საზოგადოება სიტყვა „ღირებულების“ აღქმის საკითხში ძალიან არაერთგვაროვანია. ის კონსტრუქციები, რომელიც ყველა ჩვენგანს წარმოუდგენია ამ სიტყვათშეთანხმების ქვეშ, ძალიან განსხვავებულია. კარგი იქნებოდა, საზოგადოების დიდ ნაწილში გამოვლენილიყო რაიმე თანხმობა, თუ ღირებულებათა რა სისტემას ვაღიარებთ, როგორც ჩვენი იდენტობის საყრდენსა და მომავალი თაობების ზნეობრივ ორიენტირს. ჩვენ იმ ეტაპზე ვართ, როცა ჯერ კიდევ ვეძებთ, რას დავარქვათ სწორი სახელები და შემდეგ მოვახდინოთ მათი რეალიზება.

ეროვნული სასწავლო გეგმის შედგენისას რამდენიმე საგნობრივი ჯგუფის სწავლა-სწავლების ნაწილის შესავალში თავად ჩამოვწერეთ იმ ღირებულებათა ჩამონათვალი, რასაც სასწავლო გეგმის შემდგენელი ადამიანები ამ ცნებაში ვგულისხმობდით.

ნათია ნაცვლიშვილი: ვფიქრობ, ნებისმიერ საზოგადოებაში, განვითარების რა ეტაპზეც არ უნდა იყოს იგი, ყოველთვის იარსებებს გარკვეული აცდენები თუ დისონანსი ღირებულებების დეფინიციისას. თუმცა ამ ფონზე მაინც ბევრი საკითხია, რაც ყველასთვის ცალსახა და მისაღებია. ასევე ცალსახაა სკოლის უმნიშვნელოვანესი როლი მოზარდის ღირებულებათა სისტემის ჩამოყალიბებაში. ამ საკითხზე მუშაობა კი იწყება იმით, რომ სკოლამ უნდა გააცნობიეროს ეს როლი და შესაბამისად, პასუხისმგებლობაც აიღოს საკუთარ თავზე. მაგალითად, ამ მხრივ ჩემთვის ძალიან საინტერესო იყო უცხოური სასკოლო პროგრამების გაცნობა (საუბარია საჯარო სკოლებზე). ისინი საკმაოდ საყურადღებო გამოცდილებას გვთავაზობენ. ყოველი წლის ან სემესტრის სამუშაო გეგმაში ირჩევენ რამდენიმე ღირებულებას, როგორც ორიენტირს, მაგალითად, ცხოვრების ჯანმრთელი წესის დამკვიდრებას, თანამშრომლობითი უნარის განვითარებას, ან გარემოს დაცვაზე ზრუნვას და შემდეგ, მთელი წლისა თუ სემესტრის განმავლობაში, ამ მიმართულებით გეგმავენ სხვადასხვა აქტივობასა თუ ღონისძიებას. ეს გამოცდილება ჩვენც შეგვიძლია გავიზიაროთ. სხვა საკითხია, სკოლის პარალელურად როგორ ერთვება მოზარდის ცნობიერების ჩამოყალიბებაში ოჯახი თუ გარემო.

რამდენად უთმობს ყურადღებას სკოლა ამ პრობლემას? რჩება შთაბეჭდილება, რომ სკოლები ძირითადად სხვა საკითხებზე არიან ორიენტირებულნი და აღმზრდელობითი მუშაობა გვერდზე რჩება.

ანა ლაღიძე: ღირებულებები არ ისწავლება, ისინი ყალიბდება. საზოგადოებას თავისი ღირებულებები უკვე აქვს, არსებობს ინდივიდუალური ღირებულებები, ან ოჯახის ღირებულებები, რასაც ტრადიცია ჰქვია და ერის ღირებულებები, რასაც კულტურა ჰქვია. როცა გვინდა, რომ ბავშვს ეს ღირებულებები ჩავუნერგოთ, ის ყველა დონეს უნდა მოიცავდეს. სხვა საკითხია, უნდა ისწავლებოდეს თუ არა ის სკოლაში. სწავლების მთელი შინაარსი სწორედ ღირებულებებს ემყარება და ამას არ სჭირდება ხელოვნურად დამატებითი საგნობრივი დატვირთვა. ყველა დიდი ნაწარმოები, რაც სკოლაში ისწავლება, მხოლოდ ინტელექტის ამაღლებას არ ემსახურება.



გია მურღულია

სამოქალაქო ცნობიერებას კი მართლაც სჭირდება გაზრდა. ბუნება უნდა დავიცვათ და ეს ბავშვმა სკოლაში უნდა ისწავლოს. სამოქალაქო ცნობიერების ამაღლება და მასთან დაკავშირებული ჩვევების გამომუშავება სკოლაში შესაძლებელია. როცა საზოგადოებაში შეთანხმებულ ღირებულებებზე ვსაუბრობთ, უნდა გავითვალისწინოთ, რომ ეპოქის ცვლა ავტომატურად იწვევს განწყობებისა და ღირებულებების ცვლას. არის გარკვეული პერიოდები, როცა ჩვენც ვკარგავთ ძველ ორიენტირებს და ეპოქის შესაბამისის ძიებას ვიწყებთ. დღევანდელი ეპოქა მატერიალურ პლატფორმას ეფუძნება და მისი უმაღლესი ღირებულება ფულია.





ირაკლი კაკაბაძე

ირაკლი კაკაბაძე: უნდა აღვნიშნოთ, რომ მოზარდის პიროვნების ფორმირებაში სკოლას ის გადამწყვეტი ფუნქცია აღარ აქვს, რაც საუკუნის დასაწყისსა და შუახანებში ჰქონდა. იგი მხოლოდ ერთ-ერთ ინსტრუმენტად დარჩა. ბოლოდროინდელი კატაკლიზმების პროცესში მან, გარდა იმისა, რომ ძველი ფუნქცია დათმო, ორიენტირიც დაკარგა. ქართულმა სკოლამ ვერ უპასუხა თანამედროვე გამოწვევებსა და XXI საუკუნის საგანმანათლებლო სივრცის გარეთ აღმოჩნდა. რაც შეეხება ღირებულებებს, რომლებიც ეროვნულ სასწავლო გეგმაში შევიდა, ეს ღირებულებებიც ბეწვის ხიდზე გადის და უნდა ვეცადოთ, ისინი ჩვენი და მომავალი თაობის ცხოვრების განმსაზღვრელ ფასეულობად დარჩეს და იდეოლოგიურ იარაღად არ იქცეს.

აშკარად თვალშისაცემია ის პრობლემები, რომლებიც მოზარდების ქცევაში ვლინდება: მომატებული აგრესია, დამახინჯებული მეტყველება, ერთმანეთთან დამოკიდებულება... მშობლებსაც აწუხებთ ეს ყველაფერი და ამას მაინც სკოლას უკავშირებენ.

ანა ლაღიძე: მოზარდისთვის მთავარი საკუთარი მეს გამორკვევაა, შესაბამისად, მას ის ღირებულებები უყალიბდება, რაც თვითიდენტიფიკაციის გამყარებაში უწყობს ხელს. პრობლემაც ესაა. თვითიდენტიფიკაციას ბავშვი ახდენს მისი თანამედროვე ცნობადი სახეების მაგალითზე. მას დღეს არ ჰყავს ხატი, ვისაც სურს, რომ მიბაძოს, ან ჰგავდეს. ძველი კუმირები დაიმსხვრა, ახლები ჯერ არ ჩანს. დარჩენენ მხოლოდ მარადიულები. აქ პრობლემა არ გვაქვს, რადგან ის შინაარსი, რომელზეც ბავშვებს ვზრდით, ვერასოდეს შეუშლის ხელს მათში მაღალი ღირებულებების ჩამოყალიბებას. ერთი და იმავე ტელევიზიის, მეტყველების, სკოლის სივრცეში იზრდებიან ზნეკეთილებიც და გზაარეულებიც. ასე რომ, ძაღლის თავი სკოლაში არ არის.

სოფო გორგოძე: სკოლებში შეიძლება იმავეს ვასწავლით, რასაც წლების წინ, მაგრამ გარემო შეცვლილია. ოჯახში ბავშვები გაცილებით დიდ დროს ატარებენ ტელევიზორთან და კომპიუტერთან. ვინ არიან მათი ტელეკუმირები? უამრავი შოუს მონაწილე გმირები, რომლებიც ხშირად ბილწსიტყვაობენ, თუმცა მაყურებელს ახალისებენ. ისინი მაღალი ღირებულებების ჩამოყალიბებას ნამდვილად არ უწყობენ ხელს. როცა ტელევიზორში ვიღაც ხუმრობს, თუნდაც ძალიან არაკორექტულად, ირგვლივ კი ყველა იცინის, ბავშვსაც ავტომატურად უყალიბდება განწყობა, რომ ეს ცუდი არ არის და თვითონაც იმეორებს იმავეს.

სოფო ბრიტანჩუკი: საზოგადოებრივი მაუწყებლის შექმნის მიზანი სწორედ ის იყო, რომ მაყურებლის გემოვნების დახვეწისა და მოზარდების აღზრდის საკითხში გარკვეული წვლილი შეეტანა. გადაცემებს, რომლებიც მაღალ ღირებულებებს არ ქადაგებს, რეიტინგი აქვს და კარგი შემოსავალიც მოაქვს. ამის გამო ხშირად მქონია კამათი დამფუძნებლებთან. მპასუხობენ, რომ მათი მოვალეობა ფინანსების მოზიდვა და თანამშრობლებთან ნაკისრი ფინანსური ვალდებულებების შესრულებაა. პირველი ნაბიჯი გადადგმულია, საზოგადოებრივი მაუწყებელი არსებობს და ალბათ, დროთა განმავლობაში კიდევ უფრო დაიხვეწება. ამასთან დაკავშირებით, მივიღეთ მაუწყებლების ქცევის კოდექსი. ის თვითრეგულირების მექანიზმია და სავალდებულო დოკუმენტს არ წარმოადგენს. არასრულწლოვნების მავნე ზეგავლენისაგან დაცვა ამ



სოფო გორგოძე

კოდექსში ერთ-ერთ თავად შევიდა. პრინციპების და წესების დონეზე გაწერილია, რა უნდა გაუშვას მაუწყებელმა ეთერში.

მოზარდის ღირებულებათა სისტემის ჩამოყალიბებაში რომ სკოლა დიდ როლს ასრულებს, ვფიქრობ, ამაზე შევთანხმდით. როგორ უნდა შეასრულოს მან ეს ფუნქცია? რა კონკრეტული გზები შევთავაზოთ სკოლებს?

გია მურღულია: მოსწავლეები კაცობრიობის კულტურის მემკვიდრეებად უნდა აღვზარდოთ, რადგან ისინი კაცობრიობის ნაწილი არიან. მათ უნდა ჰქონდეთ თავისი მიმარ-

თება საზოგადოებასთან, ოჯახთან და საკუთარ თავთან, სამშობლოსთან, სახელმწიფოსთან, რაც სამოქალაქო ცნობიერებას და კანონმორჩილებას გულისხმობს. სკოლას გააზრებული აქვს, რა უნდა გავაკეთოთ, რომ ეს მიმართებები სწორად ჩამოვაყალიბოთ. დიდი სევდით მინდა აღვნიშნო, რომ ამ ყველაფრის რეალიზების კულტურა დაბალია, რის გამოც ეს მიზანი ჯერჯერობით მიუღწეველია. სხვათაშორის, უმაღლესი სასწავლებლები საერთოდ არ ფიქრობენ, როგორ ასწავლონ მომავალ პედაგოგებს აღმზრდელობითი ფუნქციის შესრულება.

აღინიშნა, რომ სკოლაში ღირებულებების ჩამოყალიბებას მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს ლიტერატურა, ხელოვნება. რამდენად არის წიგნიერება გზა ამ ფასეულობების ჩამოყალიბებისკენ?

ლევან ბრეგაძე: სწავლა და წიგნი ყველა ღირებულების საფუძველია. ვერაფერი ისე ვერ აყალიბებს აზროვნებასა და ღირებულებებს, როგორც ტექსტზე მუშაობა. ამას ის მასალა განაპირობებს, რითიც ლიტერატურა იქმნება – სიტყვას აქვს ეს ძალა.

რაც შეეხება ღირებულებების სკოლებში სწავლებას, არცერთი დიდი ნაწარმოები ზნეობის შესასწავლად არ გამოდგება, თუ მას შესაბამისი ინტერპრეტაცია არ მიეცა. ლიტერატურა მასწავლებლების მიერ სწორად ინტერპრეტირებული უნდა იყოს.

ფატი ფირუაშვილი: ყველა ადამიანი, ვისაც სიტყვის გემოს შეგრძნება აქვს, უკვე გარკვეული ღირებულებების მატარებელია. ვცდილობ ეს ბავშვებსაც გავუნაწილო და ჩემი მისია ამ სახით შევასრულო.

სოფო გორგოძე: ჩვენც გვაქვს ინიციატივა, რომელსაც თანხა არ სჭირდება. ეს საპილოტე პროექტია – სტუდენტ და უფროსკლასელ მოხალისეებს ვიწვევთ. ისინი დაწყებითი კლასის მოსწავლეებს გაკვეთილების შემდეგ მოთხრობებს და ზღაპრებს წაუკითხავენ. სხვათაშორის, მსურველები პირველივე დღეებში გამოჩნდნენ.



ლევან გახელაძე, ნათია ნაცვლიშვილი



სოფო გრიტანაჩუკი

ქეთი მსხილაძე: მოზარდებში კითხვისადმი ინტერესი ტელევიზიამაც შეიძლება გააღვივოს. „ბი-ბი-სი“-ს რამდენიმე წლის წინ ჰქონდა გადაცემა, რომელიც საზოგადოებაში დაფასებული ადამიანების გამოკითხვას გულისხმობდა. საუბრობდნენ საყვარელ ნაწარმოებებსა და ავტორებზე. საუბრობდნენ პერსონაჟებზე, მათ განცდებზე, რა მოსწონდათ, რატომ და ამის საფუძველზე რეიტინგები დგებოდა. მზადდებოდა გადაცემები, დოკუმენტური ფილმები... საზოგადოებრივ მაუწყებელსაც შეუძლია მოამზადოს ამგვარი გადაცემები, მაგრამ ამაზე დაკვეთა უნდა არსებობდეს. საზოგადოებას კი დღეს მხოლოდ პოლიტიკური ფიგურების გადაყენების საკითხი აღელვებს. საზოგადოებრივ მაუწყებელში ისინი უნდა მუშაობდნენ, ვისაც ეს ღირებულებები გააზრებული აქვს.

მარტივი გამოსავალი იქნება, თუ ვიტყვით, რომ სკოლას მინიმალური როლი ენიჭება მოზარდის ღირებულებათა სისტემის შექმნაში. მართალია, ბევრი გარე ფაქტორი არსებობს, მაგრამ სკოლაც ხომ გარემოს მნიშვნელოვანი ნაწილია. როგორ ფიქრობთ, კიდევ რისი შეთავაზება შეუძლია მას?



ლევან გრეგაძე

გიორგი გახელაძე: შეიძლება წავახალისოთ სკოლები, რათა მათ ღიაობის კულტურა დაამკვიდრონ. სკოლას თავად უნდა ჰქონდეს ღირებულებების სისტემა ჩამოყალიბებული და შესთავაზოს მშობელს, რომელიც გაიზიარებს ან არ გაიზიარებს მას. ამ ურთიერთობის დამკვიდრებას დიდი ძალისხმევა არ სჭირდება. შესაძლებელია წავახალისოთ შემდეგი სამასწავლებლო პრაქტიკა – როცა მასწავლებელი ანდობს მოსწავლეს რაიმე საკითხზე საკუთარი ემოციების და შთაბეჭდილებების სტრუქტურირებულ აღწერას. მაგალითად, ისინი ავსებენ დღიურებს, რომელსაც შემდეგ ერთმანეთს აჩვენებენ. ასეთი გზებით და საშუალებებით ყალიბდება ღირებულებათა სისტემა.

გარდა ამისა, უნდა გაქრეს მკაფიო ზღვარი სასწავლო და აღმზრდელობით პროცესს შორის. რიტორიკის დონეზეც კი არ უნდა იყოს გამიჯნული სასწავლო და აღმზრდელობითი პროცესი.

გია მურღულია: სკოლამ ხშირად უნდა დააფიქროს ბავშვები ღირებულებებზე, ხშირად ალაპარაკოს და ამსჯელოს ამ თემაზე სხვადასხვა ფორმით – ინდივიდუალურად, პრეზენტაციის ან დებატების სახით. კარგია, თუ საუბარს ცხოვრებისულ სიბრტყეზეც გადაიტანენ. როცა რაღაც ღირებულებებს ვუნერგავთ, ხელი უნდა შევუწყოთ, რომ მათ თვითონვე გამოავლინონ ეს თვისებები. ჩვენს უბანში მარტოხელა მოხუცები აღვნუსხეთ, ბავშვებმა შეაგროვეს სხვადასხვა ნივთები და თავადვე მიუტანეს მათ. ძნელი აღსაწერია ის აღფრთოვანება, რაც ბავშვებმა განიცადეს ამ სიკეთის ჩადენით.

სოფო გორგოძე: სასექტემბროდ სკოლებს მივაწვდით ძალიან საინტერესო დოკუმენტს. ეს არის სახელმძღვანელო, რომელიც აღწერს ყველა მასწავლებლისთვის აუცილებელ სამოქალაქო განათლების კომპეტენციებს. იმედი მაქვს, მათ ეს მასალა გარკვეულ დახმარებას გაუწევს.

ნათია ნაცვლიშვილი: როცა სკოლის მნიშვნელობაზე ვსაუბრობთ, უნდა აღვნიშნოთ, რომ არანაკლებ მნიშვნელოვანია კონკრეტული მასწავლებლის სისტემური ხედვა. მგონია, რომ ყველა მასწავლებელს შეუძლია, ამა თუ იმ ღირებულების ჩამოყალიბების კუთხით, რაღაც დადებითი ინიციატივა მოძებნოს და წლის ან ტრიმესტრის სამუშაო გეგმა კონკრეტულ ღირებულებასა თუ ინიციატივაზე ააგოს. იყოს თუნდაც ისევ ჯანსაღი ცხოვრების წესი ან გარემოს დაცვაზე ზრუნვა. ყველა სკოლამ რომ ყოველ წელს ერთი ღირებულების გარშემო იტრიალოს, ერთი საფეხურით მაინც წავიწევთ წინ.

სკოლიდან სამინისტროსკენ – რეფორმის ახალი ვექტორი

განათლებისა და მეცნიერების მინისტრი ნიკა გვარამია მასწავლებლებთან შეხვედრებს აჯამებს

მანანა ხიდაშელი

უკვე რამდენიმე თვეა, მასწავლებლებს ხვდებით დედაქალაქსა და რეგიონებში. რა შედეგი გამოიღო ამ შეხვედრებმა?

განათლების სისტემაში ახალი ადამიანი ვარ და ამ სფეროს ბევრ პრობლემას არ ვიცნობდი. გარკვეული პრობლემების იდენტიფიცირება სამინისტროშივე შევძელი, თუმცა, ამ თვალსაზრისით, პირველწყაროს მასწავლებლები წარმოადგენენ. განათლების რეფორმის პირველი ნაწილი, რომელიც ძალიან მნიშვნელოვანი იყო, წარმატებით განხორციელდა, მაგრამ – ხარვეზებით. ეს პროცესი ვექტორულად რომ წარმოვიდგინოთ, რეფორმა მიმართული იყო სამინისტროდან სკოლისკენ. მეორე ეტაპი, რომლითაც მიღწევები უნდა გავამყაროთ და რეფორმა წინ წავწიოთ, ვექტორულად პირიქით გამოისახება, ანუ სკოლიდან სამინისტროსკენ. ზუსტად ამ ვექტორის გააქტიურებას ემსახურება ასეთი შეხვედრები. ჩვენი მიზანია, სკოლებიდან მაქსიმალური ინფორმაცია მივიღოთ და ყველა რესურსცენტრი მოვიცვათ. თითო შეხვედრაში 200-დან 500-მდე მასწავლებელი მონაწილეობდა. ვიყავით რეგიონებშიც, თუმცა ყველგან არა. ეს შეხვედრები აუცილებლად გაგრძელდება.

რა პრობლემები გამოიკვეთა შეხვედრებისას?

პრობლემები განსხვავებულია, დაწყებული ინფრასტრუქტურით, ეროვნული სასწავლო გეგმის შინაარსით და დამთავრებული მასწავლებელთა სერტიფიცირებასთან დაკავშირებული საკითხებით. ინფრასტრუქტურის პრობლემა, რომელსაც ძირითადად დირექტორები აღნიშნავენ, სკოლების რემონტს, გათბობას, შემოღობვას და სასკოლო ქონების რეგისტრირებას ეხება. პრობლემათა ყველაზე მწვავე სეგმენტი კი სოციალური ხასიათისაა. მიუხედავად იმისა, რომ მასწავლებელთა სოციალური მდგომარეობა მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა, ის მაინც ძალიან შორსაა სასურველისგან. ვცდილობთ, პედაგოგების ხელფასი ნაბიჯ-ნაბიჯ გავზარდოთ და 2012-2013 წლისთვის ისეთ ნიშნულამდე ავიყვანოთ, რომელიც მეტნაკლებად შეესაბამება ამ პროფესიის მნიშვნელობასა და სირთულეს.

სახელმწიფო თუ გეგმავს მასწავლებლების ანაზღაურების გაზრდას ახლო მომავალში?

განვითარებულ ქვეყნებში განათლების სფეროსთვის ერთიანი შიდა პროდუქტის 5%-ია გამოყოფილი. ჩვენც სახელმწიფოებრიობის განვითარების რომელიღაც ეტაპზე განათლების სფეროსთვის ერთიანი შიდა პროდუქტიდან ოპტიმალურ პროცენტზე უნდა გავიდეთ. მაშინ სრუ-

> **მთავარია, ადგილობრივმა თვითმმართველობებმა, თუნდაც რეგიონულმა მმართველობებმა, გააცნობიერონ, რომ სკოლა არ არის მხოლოდ ცენტრალური ხელისუფლების პრობლემა. ეს ძალიან მნიშვნელოვანი ადგილობრივი პრობლემაც არის.**

ლიად რეალური იქნება ასეთი ხელფასები. იმედი მაქვს, საქართველოს ეკონომიკა დაუბრუნდება განვითარების იმ ტემპს, რომელიც შარშან და შარშანწინ იყო. რომ არა ეკონომიკური კრიზისი, საომარი მოქმედებები და ცალკეული პოლიტიკური პროცესები, რომლებიც საკმაოდ მნიშვნელოვან ზარალს აყენებს ეკონომიკას, შესაძლებელი იქნებოდა ხელფასების გაზრდა უფრო მოკლევადიან პერსპექტივაში. ახლა ეს სეგმენტი ჩვენი შესაძლებლობების კვალდაკვალ უნდა განვავითაროთ. მასწავლებელთა კონტინგენტი იმდენად დიდია, რომ 5-ლარიანი მატებაც კი ძალიან მნიშვნელოვან საბიუჯეტო ცვლილებას იწვევს. მესმის მასწავლებელთა პრეტენზიები, მაგრამ ხელფასების ერთიანად გაზრდა სახელმწიფოს ამ ეტაპზე არ შეუძლია.

მასწავლებელთა სერტიფიცირება ახსენეთ. ცნობილია, რომ სავალდებულო სერტიფიცირება რამდენიმე წლით გადაიდო. როდის დაიწყება ეს პროცესი და რას აკეთებს სამინისტრო, რათა მასწავლებლებს სერტიფიცირებისთვის მომზადების საშუალება ჰქონდეთ?

ჩემი აზრით, სჯობდა, სერტიფიცირება, რაც შეიძლება, სწრაფად მომხდარიყო. თუმცა სუბიექტური ფაქტორებიდან გამომდინარე, ახლა ამის მოთხოვნა უსამართლო იქნებოდა. სახელმწიფომ მასწავლებელი სერტიფიცირებისთვის ერთხელ მაინც უნდა გადაამზადოს უფასოდ. ჩვენ არ შეგვიძლია, მასწავლებლები იმ უნარებში შევამოწმოთ, რისი მიღების ადეკვატური საშუალებაც მათ არ ჰქონიათ. ეს პროფესია დინამიური და განვითარებადია. ჩვენი ამოცანაა, მასწავლებელთა კორპუსი, ცოდნის თვალსაზრისით, მუდმივად განახლებადი იყოს. ამას კი სახელმწიფოს მხრიდან ორგანიზაციული უზრუნველყოფა სჭირდება. შეიძლება კერძო სექტორმაც უზრუნველყოს ეს, მაგრამ ამ პროცესში სახელმწიფო მთავარი კოორდინატორი უნდა იყოს. მასწავლებლებს, მიუხედავად იმისა, რომ ცოდნის გაღრმავების სურვილი აქვთ, ამის ადეკვატური საშუალება არ გააჩნიათ. აქედან გამომდინარე, დიდი რისკია, ბევრ მასწავლებელს შეექმნას პრობლემები, რაც მათ დეფიციტს გამოიწვევს. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ნებაყოფლობითი სერტიფიცირება არ გაუქმებულა. 2010 წელს ნებაყოფლობითი სერტიფიცირება პირველად მოხდება.

რა უპირატესობა ექნებათ სერტიფიცირებაგავლილ მასწავლებლებს? აისახება ეს მათ ანაზღაურებაზე?

– ჯერჯერობით ამაზე პირდაპირი პასუხის გაცემა არ შემიძლია, რადგან ეს საბიუჯეტო სახსრებს ეხება და სხვადასხვა დონეებზე შეთანხმება სჭირდება. ვმუშაობთ იმაზე, რომ ასეთი მასწავლებელი რაღაც ფორმით მაინც წახალისდეს.

მასწავლებელთა კვალიფიკაციის საკითხზეც გკითხავთ. კანონი საბაზო საფეხურის მასწავლებლებისგან მაგისტრის ხარისხს ითხოვს. ამ შემთხვევაში, ხომ არ გაჩნდება მასწავლებელთა დეფიციტის პრობლემა?

მაგისტრის ხარისხის მოთხოვნა საერთაშორისო სტანდარტებს შეესაბამება, მაგრამ ჩვენი რეალობიდან გამომდინარე, არათანაზომადი მოთხოვნაა. ეს მოთხოვნა მასწავლებელთა კორპუსში ახალი კადრების შემოდინების სიმცირეს განაპირობებს. მითუმეტეს, ეს პროფესია მაინცდამაინც მიმზიდველი ხელფასით არ გამოირჩევა.

გამოსავალი რა არის?

ამ მოთხოვნის, საკანონმდებლო თვალსაზრისით, მოხსნა და ბაკალავრიატში პედაგოგიკის კურსის ინტეგრირება გარკვეული კრედიტების ოდენობით. ასევე შესაძლებელი უნდა იყოს ბაკალავრიატის შემდგომ ეტაპზე პედაგოგიკაში კრედიტების დაგროვება, რათა მსურველს შეეძლოს მასწავლებლად მუშაობა მაგისტრატურის დამთავრების გარეშეც. წელს პირველად ვაფინანსებთ მაგისტრატურას და პედაგოგიკის მიმართულებითაც ვაპირებთ მნიშვნელოვანი თანხების მიმართვას.

ადგილობრივ თვითმმართველობას დიდ პასუხისმგებლობას აკისრებთ. როგორ უნდა ჩაერთოს მუნიციპალიტეტი სკოლის ცხოვრების პროცესში?

მუნიციპალიტეტის ვალდებულებაა სათემო სამუშაოების გაწევა, რომლის განუყოფელი ნაწილია სკოლა. სხვათაშორის, ზოგიერთი მუნიციპალიტეტი თავისი ინიციატივით



ვცდილობთ, 2012-2013 წლისთვის პედაგოგების ხელფასი ისეთ ნიშნულამდე ავიყვანოთ, რომელიც მეტ-ნაკლებად შეესაბამება ამ პროფესიის მნიშვნელობასა და სირთულეს.

საკმაოდ მნიშვნელოვან საქმეს აკეთებს. მთავარია, ადგილობრივმა თვითმმართველობებმა, თუნდაც რეგიონულმა მმართველობებმა, გააცნობიერონ, რომ სკოლა არ არის მხოლოდ ცენტრალური ხელისუფლების პრობლემა. ის ძალიან მნიშვნელოვანი ადგილობრივი პრობლემაც არის. სასკოლო პროცესებში მონაწილეობა მათ არაერთი მიმართულებით შეუძლიათ.

სკოლების სამეურვეო საბჭოებში რესურსცენტრის წარმომადგენლის ჩართვას აპირებთ. რატომ მიიღეთ ეს გადაწყვეტილება?

მიუხედავად იმისა, რომ სამეურვეო საბჭოები ინსტიტუციურად კარგი წამოწყებაა, მოწოდების სიმაღლეზე ჯერ ვერ დგას. ერთი ისეთი ადამიანის დამატება, რომელსაც სამეურვეო საბჭოს უფლება-მოვალეობები კარგად ეცოდინება, გააცოცხლებს საბჭოს მუშაობას, რომელიც უფრო მეტად მოახერხებს სკოლაში მიმდინარე პროცესების გაკონტროლებასა და საკუთარი უფლებამოსილების განხორციელებას. გარდა ამისა, ეს იქნება ადამიანი, რომელიც რესურსცენტრამდე ადეკვატური ინფორმაციის მიტანას შეძლებს. ასეთი ხალხისთვის ტრენინგების ჩატარებას ვაპირებთ. მომავალში კი ისინი თავად ჩაუტარებენ ტრენინგს ახლადარჩეულ სამეურვეო საბჭოებს. მათ დავურიგებთ სახელმძღვანელოებს, რათა მეტი ინფორმაცია ჰქონდეთ საკუთარ უფლებამოსილებებსა და ვალდებულებებზე. ჩვენი ინიციატივა სამეურვეო საბჭოების, როგორც ინსტიტუციის, გამყარებისკენ არის მიმართული.

საბუნებისმეტყველო საგნებში ტრიმესტრული სწავლების გაუქმება რატომ გახდა აუცილებელი?

ამასთან დაკავშირებით მასწავლებელთა მხრიდან საფუძვლიანი შენიშვნები გამოითქვა. პროექტს გარკვეული პოზიტიური მხარეები ჰქონდა, მაგრამ მნიშვნელოვანია, როგორ ინერგება ესა თუ ის იდეა. ეროვნული სასწავლო გეგმების ცენტრთან ერთად შევცვალეთ აღნიშნული მიმართება, რადგან ვაღიარეთ, რომ პრობლემას ქმნიდა. შესაბამისად, დაახლოებით ორჯერ გაიზრდება საბუნებისმეტყველო საგნების საათობრივი ბადე.



აღარც ინტეგრირებული სწავლება იქნება?

ამ იდეასაც აქვს თავისი პოზიტივი, თუმცა ვფიქრობთ, რომ ამ ეტაპზე ინტეგრირებული სწავლება – ისტორია, გეოგრაფია, საზოგადოებათმცოდნეობა – ამოვიღოთ. ეს გადაწყვეტილებაც მასწავლებლების რჩევის საფუძველზე მივიღეთ.

თქვენი მოსწავლეობის დროს თუ გაგჩენიათ სკოლაში რაიმეს შეცვლის სურვილი?

მოსწავლე რომ ვიყავი, მინდოდა ხელოვნებათმცოდნეობა და კულტურის ისტორია მესწავლა. დღეს ეს ელემენტები სკოლაში არის. მიფიქრია იმაზეც, რომ უფროს კლასებში მსოფლიოს ისტორია მაღალი დატვირთვით ესწავლებინათ. ჩემი აზრით, ზოგადი განათლების მხრივ, ეს ერთ-ერთი საბაზისო საგანია. მე საკმაოდ წარმატებულ და კარგ სკოლაში ვსწავლობდი სოხუმში. ბოლო ერთი წელი კი თბილისში, 57-ე სკოლაში ვისწავლე. სასიამოვნო მოგონებები მაქვს – დევნილი ვიყავი და საკმაოდ მარტივად მოვახერხე ინტეგრირება ახალ კლასში. ეს რა თქმა უნდა, მათი დამსახურება იყო, ვინც აქ დამხვდა. კარგი მასწავლებლები მყავდა. ბუნებრივია, უფრო ხშირად სოხუმის მე-11 საშუალო სკოლა მახსენდება, რომელმაც ძალიან მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ჩემს ჩამოყალიბებაში, როგორც ცოდნის, ასევე პიროვნული თვისებების თვალსაზრისით.

მობილომანია სკოლაში

არანაირი მობილური გაკვეთილზე! მასწავლებლები სკოლაში ბავშვებისთვის მობილური ტელეფონებით სარგებლობის უფლების შეზღუდვას ითხოვენ

ირმა კახურაშვილი

გორის ერთ-ერთი საჯარო სკოლის მეათეკლასელის, ლევან ხეჩიკაშვილის გვამი ერთი თვის წინ მტკვარში იპოვეს. თანასკოლელებს შორის კონფლიქტი მობილური ტელეფონის გამო მოხდა – ლევანმა გიორგი გ. დანით დაჭრა, რადგან ის კუთვნილ ტელეფონს არ უბრუნებდა, შემდეგ კი თავი მოიკლა. სკოლაში ამ ნივთის გამოყენებას შინაგანაწესი არეგულირებს, მაგრამ აკრძალვა ხშირად უფრო ფორმალურია, ვიდრე რეალური.

მშობლები ბავშვებისთვის მობილურ ტელეფონს ძირითადად ორი მიზნით იძენენ – როგორც შვილის გასაკონტროლებელ საშუალებას ან როგორც ძვირფას სათამაშოს. „მასწავლებელთან“ საუბრისას რამდენიმე უმცროსკლასელის მშობელმა აღიარა, რომ ეს ნივთი შვილის დაჟინებული მოთხოვნის შედეგად შეიძინა, რათა „ბავშვს ტელეფონიანი თანაკლასელების ფონზე თავი დაჩაგრულად არ ეგრძნო“.

რუსუდან მურჯიკნელი, *თბილისის მე-11 საჯარო სკოლის მოსწავლის მშობელი:*
„ჩემს ორივე ქალიშვილს მობილურ ტელეფონს სკოლაში იმიტომ ვატან, რომ ნებისმიერ მომენტში მათთან დაკავშირება შევძლო. თუმცა ვიცი, რომ მეცადინეობის დროს ბავშვები ხშირად „ემესიჯებიან“ მეგობრებს, თავს ირთობენ თამაშებითა და ფოტო-ვიდეოს გადაღებით. იძულებული ვარ, ყოველთვიურად ბალანსი შევუვსო და ბევრ ცელქობაზე თვალიც დავხუჭო“.

მასწავლებლები მობილური ტელეფონის, როგორც კონტროლისა და კომუნიკაციის საშუალების აუცილებლობას ვერ ხედავენ, განსაკუთრებით დაწყებით კლასებში, სადაც ბავშვები ძირითადად მშობლებს მიჰყავთ გაკვეთილებზე, მეცადინეობის დასრულების შემდეგ კი სახლში წასაყვანად აკითხავენ. „უმცროსკლასელს მშობლები უტელეფონოდაც აკონტროლებენ“, – აცხადებენ ისინი. პედაგოგები ბოლო თაობის მობილურებით „შეიარაღებულ“ ბავშვებში უფრო თვითდამკვიდრებისა და სოციალური მოთხოვნების დაკმაყოფილების სურვილს ხედავენ, ვიდრე გარდაუვალ აუცილებლობას.

„უნდა ნახოთ, როგორ იწონებენ თავს ბოლო თაობის ტელეფონებით 8-9 წლის მოსწავლეები! მათთვის ის ჩვეულებრივი სათამაშოა. ვფიქრობ, ამ შემთხვევაში, მშობელს თავად მართებს მეტი ყურადღება. სწორედ მან უნდა გადაწყვიტოს, რამდენად საჭიროა ბავშვისთვის ამ ასაკში ფუფუნების ნივთი“, – ამბობს მანანა ნადირაძე, თბილისის მე-11 საჯარო სკოლის დაწყებითი კლასების პედაგოგი.

საქართველოში ფიჭური კავშირით 800 ათასამდე მომხმარებელი სარ-

გებლობს, პირველკლასელებით დაწყებული და ხანდაზმულებით დამთავრებული. ფიჭური კავშირგაბმულობის პოპულარობის ზრდას ქართველი ფსიქოლოგები იმით ხსნიან, რომ ძვირადღირებული მობილური ტელეფონი ადამიანის, მათ შორის ბავშვების, თვითშეფასებას ამაღლებს. მშობლების ნაწილი აცხადებს, რომ შვილთან მუდმივი კონტაქტი საზოგადოებრივი ტრანსპორტით სარგებლობისას აუცილებელია და ბავშვებს, საჭიროების შემთხვევაში, მშობელთან დაკავშირება შეუფერხებლად უნდა შეეძლოთ. მეორე მხრივ, ბოლო თაობის ტელეფონები მოზარდებში შურისა და ჩხუბის მიზეზიც ხშირად ხდება – ფსიქოლოგები მშობლებს ძვირადღირებული მოდელების შეძენისგან თავის შეკავებას ურჩევენ. ასეთი ნივთი სამართალდამრღვევთა ყურადღებას იქცევს, რის გამოც ბავშვის უსაფრთხოებასაც საფრთხე ექმნება.

საჯარო სკოლების წარმომადგენლები ამბობენ, რომ მობილური ტელეფონის თემა სკოლასა და მშობლებს შორის განხეთქილების ვაშლად იქცა – ორივე მხარეს საკუთარი არგუმენტები აქვს. სკოლა მშობლებს შვილებისთვის მობილური ტელეფონის შეძენას ვერ აუკრძალავს, რადგან კანონი მომხმარებელთა ასაკს არ ზღუდავს. თუმცა მასწავლებლებიცა და ადმინისტრაციის წარმომადგენლებიც აღიარებენ, რომ ამ საკითხს მეტი ყურადღება უნდა დაეთმოს და მობილური ტელეფონების გამოყენება უნდა შეიზღუდოს. პედაგოგების აზრით, ეს ნივთი სასწავლო პროცესს სერიოზულ ზიანს აყენებს. სკოლების დიდ ნაწილში მისი გამოყენება შინაგანაწესით იკრძალება, მაგრამ მიუხედავად ამისა, ამ წესის დაცვა დღემდე ვერ ხერხდება, რისი მიზეზიც, ერთი მხრივ, სკოლების ინერტულობა, მეორე მხრივ კი, მშობლების ნაკლები დაინტერესებაა.

გია მურღულია, *თბილისის 24-ე საჯარო სკოლის დირექტორი:* „ჩვენი შინაგანაწესით მობილური ტე-



ლეფონი სკოლაში აკრძალულია. მასწავლებელს უფლება აქვს, მოსწავლეს მობილური ჩამოართვას და მშობელს დაუბრუნოს, ან დირექტორის კაბინეტში შეინახოს სემესტრის ბოლომდე. თუმცა, როგორც წესი, აღელვებული მშობლები აცხადებენ, რომ ეს ბავშვის უფლებების დარღვევაა, ტელეფონი პირადი ნივთია და მისი ჩამორთმევა სკოლის ადმინისტრაციას არ შეუძლია. მობილური ტელეფონების



თემა თვალსაჩინოდ გამოხატავს დამოკიდებულებას სკოლის მიმართ, როგორც მოსწავლეთა ერთი ნაწილის, ისე მშობლების მხრიდან. გამოდის, რომ ისინი ბოლომდე ვერ აცნობიერებენ საწავლო დაწესებულების საზოგადოებრივ მნიშვნელობის, არ ცნობენ იმას, რომ ინდივიდის უფლებების მიღმა სხვა ღირებულებებიც არსებობს, რომლებსაც პირადი ინტერესები არ უნდა დაუპირისპირდეს. არსებობს სკოლის კანონი და ამ კანონს მოსწავლე უნდა ემორჩილებოდეს“.

მასწავლებლები ამბობენ, რომ მობილური ბავშვს მუდმივად უფანტავს ყურადღებას და მუსიკის მოსმენის, თამაშის და „მესიჯობის“ ცდუნებას უქმნის. ეს კი არაერთი კონფლიქტის მიზეზი ხდება. სკოლაში მობილურის აკრძალვის მომხრეები ამბობენ, რომ უფროსებშიც კი არ არსებობს საჯარო ადგილას, თუნდაც კულტურულ ღონისძიებებზე ტელეფონის გამორთვის კულტურა და მხოლოდ სკოლის შინაგანაწესი ამ პრობლემას ვერ გადაჭრის.

„ცხადია, ბევრი რამ მშობელზეა დამოკიდებული. მან კარგად უნდა აუხსნას შვილს, თუ რატომ ყიდულობს ტელეფონს. ბავშვმა კი მხოლოდ აუცილებლობის შემთხვევაში უნდა ისარგებლოს და არა როცა გართობა მოესურვება. გაკვეთილზე მობილურების მოტანა უდისციპლინობის გამოვლენად მიგვაჩნია,“ – ამბობენ ერთხმად მასწავლებლები.

ირმა გ., *თბილისის ერთ-ერთი საჯარო სკოლის მე-8 კლასის მოსწავლე:* „32 მოსწავლიდან ჩემს კლასში მხოლოდ ოთხს არ აქვს მობილური ტელეფონი. თუ მასწავლებელი ნაკლებად მკაცრია, მის გაკვეთილზე ყველა თამაშობს ან „მესიჯობს“. მე მშობლებმა დაბადების დღეზე მაჩუქეს. ძალიან მინდოდა, ბოლო თაობის მობილური მქონოდა, რომ სხვებს არ დაეცინათ“.

მრავალ ქვეყნაში სკოლაში ბავშვის მიერ მობილური ტელეფონის გამოყენება კანონით არის აკრძალული. პირველი ევროპული ქვეყანა, რომელმაც მოსწავლეებს მობილური ტელეფონებით სარგებლობა კანონმდებლობით აუკრძალა, იტალია იყო. ამის მიზეზი მოსწავლეების მიერ გადაღებული და ინტერნეტით გავრცელებული ვიდეოჩანაწერი გახდა, რომელიც მათი მხრიდან შეზღუდული შესაძლებლობების მქონე თანაკლასელის უმოწყალო ჩაგვრას ასახავდა. კანონმდებლობის დარღვევის შემთხვევაში, იტალიელ მოსწავლეებს ტელეფონის კონფისკაცია ან სკოლიდან გარიცხვა ემუქრებათ. ამ ქვეყნის გამოცდილება შეერთებული შტატების სახელმწიფო სკოლებმაც გაიზიარეს – სკოლაში მისული ამერიკელი მოსწავლე ვალდებულია, ტელეფონი პირად კარადაში დატოვოს. სასწავლო დაწესებულებებში ფიჭური კავშირით სარგებლობა ტაჯიკეთის პარლამენტმაც აკრძალა. მიზეზად მობილური ტელეფონების ზუზუნის გამო ჩაშლილი სასწავლო პროცესი დასახელდა.

საჯარო სკოლებში ფიქრობენ, რომ მკაცრი წესები უნდა ამოქმედდეს, რომლებიც მოზარდთა მიერ მობილური ტელეფონების გამოყენებას დაარეგულირებს. ყველა მასწავლებელს უნდა ჰქონდეს უფლება, ეს ნივთი გაკვეთილზევე ჩამოართვას მოსწავლეს და იგი მშობელს დაუბრუნოს, ან დირექტორის კაბინეტში შეინახოს. პედაგოგთა დიდი ნაწილის აზრით, მობილური ტელეფონებით სარგებლობა სკოლაში მაქსიმალურად უნდა შეიზღუდოს.

კლასი

პრაქტიკული დანართი მასწავლებლებისათვის


გაკვეთილის თემა:

ეკატერინე გაბაშვილის „მაგდანას ლურჯა“

„ქართულ ენასა და ლიტერატურაში ეკატერინე გაბაშვილის „მაგდანას ლურჯა“, მე-4 კლასში ისწავლება. ნაწარმოების გაცნობა და შესწავლა საინტერესო რომ გამეხადა, პარალელურად მოსწავლეებს ვაჩვენე თენგიზ აბულაძის ამავე სახელწოდების ფილმი. შემაჯამებელი გაკვეთილი საკმაოდ საინტერესო და მრავალფეროვანი გამოვიდა“, – გამოცდილებას გვიზიარებს თბილისის 144-ე საჯარო სკოლის დაწყებითი კლასების მასწავლებელი მარინე გამცემლიძე.

მიზნები:

- გაიმდიდრებენ ლექსიკურ მარაგს, ტექსტში მოცემულ სიტყვებსა და ფრაზებს გამოიყენებენ თხრობისა და დისკუსიის, ფაქტებისა და მოვლენების აღწერის დროს;
- ნახავენ ამავე სახელწოდების ქართულ მხატვრულ ფილმს (წინასწარი გამოკითხვით დადგინდა, რომ ფილმი ნანახი ჰქონდა მხოლოდ ორ მოსწავლეს) და გამოხატავენ საკუთარ ემოციებსა და შთაბეჭდილებებს, მონაწილეობას მიიღებენ გამართულ დისკუსიაში და გამოხატავენ საკუთარ დამოკიდებულებას ამა თუ იმ პერსონაჟთან დაკავშირებით;
- წერისას მიეჩვევიან აზრის სწორად და ლაკონურად ჩამოყალიბებას, გამოიყენებენ საკუთარი დამოკიდებულების გამომხატველ შეფასებებს, გრამატიკული თვალსაზრისით სწორ ფორმებს და დაიცავენ პუნქტუაციის ძირითად წესებს.
- მოსწავლეებს განუვითარდებათ ინფორმაციის შეგროვებისა და დახარისხების, საკუთარი აზრის გამოთქმის და არგუმენტაციის, მონაცემების ანალიზის საფუძველზე ლოგიკური დასკვნების გაკე-



თებისა და გადაწყვეტილების მიღების უნარები.

- როლური თამაში ხელს შეუწყობს საკითხის გააზრების, შემოქმედებითი აზროვნების და როლური ქცევისა და საკომუნიკაციო უნარ-ჩვევების განვითარებას.

აქტივობები:

- საშინაო დავალების შემოწმება – 2 წთ
- ნაწარმოების გეგმის შედგენა და კითხვა-პასუხით განვლილი მასალის გამოკითხვა – 10 წთ.
- გაკვეთილის თხრობა – 3 წთ.
- წერითი სამუშაო, „ჩემი აზრით“ – 3 წთ.
- მხატვრული ფილმის ფინალის ჩვენება – 4 წთ.
- დისკუსია, „სასამართლოს სხდომა“ – 7 წთ.
- ვენის დიაგრამა – ფილმისა და ნაწარმოების შედარება-ანალიზი – 8 წთ.
- რეფლექსია – 3 წთ.
- საშინაო დავალების მიცემა – 2 წთ.
- გაკვეთილისა და მოსწავლეთა შეფასება – 3 წთ.

მოსწავლეთა ორგანიზება: ინდივიდუალური, მთელი კლასი

დრო: ერთი გაკვეთილი – 45 წთ

საჭირო რესურსები: სახელმძღვანელო, კალამი, ფერადი ბარათები, დაფა, ცარცი, ტელევიზორი, ვიდეომაგნიტოფონი, ვიდეომასალა, სტიკერები.

გაკვეთილის გეგმა

გაკვეთილის თანმიმდევრობა

1. **საშინაო დავალების შემოწმება** მოსწავლეებს დავალებული ჰქონდათ ნახატები „მაგდანას ლურჯას“ ბოლო თავის მიხედვით. ნამუშევრები შეფასდა ზეპირი კომენტარებით დასვენებაზე თემატურ გამოფენას შეემატა.

2. **განვლილი მასალის გამეორება** მოსწავლეებს ვთხოვე თანმიმდევრობით დაესათაურებინათ ნაწარმოების ცალკეული ეპიზოდები, ამ ეპიზოდების შესაბამისად კი კითხვა-პასუხით გავიმეორეთ განვლილი მასალა.

გეგმა მოსწავლემ დაწერა დაფაზე:

- **მაგდანას დაქვრივება**
  - როდის დაქვრივდა მაგდანა?
  - რამდენი შვილი დარჩა მას?
- **ოჯახის გაჭირვება**
  - რატომ ცხოვრობდნენ გაჭირვებულად?
  - რატომ ვერ ეხმარებოდა სოფელი გაჭირვებულ ოჯახს?
- **მაგდანას გადაწყვეტილება**
  - რა გამოსავალი ნახა მან?
  - ვინ უვლიდა ამ დროს ოჯახს?
- **მაგდანას იმედი**
  - რა გახდა ოჯახის იმედი?
  - ვინ იპოვა სახედარი?
  - როგორ მოუარეს მას?
- **შემთხვევა ქალაქში**
  - აღწერეთ დილის ქალაქი.
  - რა მოხდა ქალაქში?
  - როგორ დასრულდა დავა?
- **დამწუხრებული ოჯახი**
  - აღწერეთ მაგდანას და მისი შვილების განცდები.

3. **გაკვეთილის თხრობა** – 2 ან 3 მოსწავლე გადმოსცემს ბოლო თავის შინაარსს.

4. **წერითი სამუშაო** – მოსწავლეებს დავურიგე წინასწარ მომზადებული პატარა ბარათები, ვთხოვე, საკუთარი თავი წარმოედგინათ მაგდანას ან მენახშირეს დამცველად და დაესაბუთებინათ საკუთარი თვალსაზრისი. დროის ამოწურვისთანავე შევკრიბე ბარათები. ამ ბარათებით მე უკვე წინასწარ გავარკვიე, სავარაუდოდ, ვინ რას ფიქრობდა.

მე ვარ _____
ვთვლი, რომ სახედარი ეკუთვნის _____, რადგან _____
_____



5. ფილმის ფინალი – მხატვრული ფილმი წინა დღეს ვნახეთ, თუმცა არ დავასრულეთ და შევჩერდით იმ კადრზე, სადაც მოსამართლემ უნდა გამოიტანოს განაჩენი. გაკვეთილზე გავაგრძელეთ ფილმი ადგილიდან, სადაც ირკვევა, რომ სახედარს მენახშირეს უბრუნებენ.

მოსწავლეებში ამან უარყოფითი რეაქცია გამოიწვია, ამიტომ, ჩემი თხოვნით, გადავინაცვლეთ „სასამართლო სხდომაზე“, ავირჩიეთ მოსამართლე, დამცველები, გავიხსენეთ დისკუსიის წესები და წარვმართეთ პროცესი. (ამ დროს მე უკვე ვიცოდი წერის შედეგები, ვინ დაიცავდა მენახშირეს (1) და მაგდანას (25). იმ შემთხვევაში, თუ მენახშირეს არ გამოუჩნდებოდა დამცველი, მე შევითავსებდი ამ ფუნქციას).

დისკუსიის მშვიდად წარმართვისათვის მოსწავლეებს შევთავაზე სადისკუსიო წესი – ანუ ლაპარაკის უფლება ეძლეოდა იმ მოსწავლეს, რომელსაც მიკროფონს გადასცემდნენ.

დისკუსიის დროს მოსწავლეები ცდილობდნენ, თავიანთი მოსაზრება არგუმენტირებულად დაესაბუთებინათ და ემსჯელათ ფაქტების მიხედვით. მე თვალყურს ვადევნებდი მის მსვლელობას, რათა კამათი სხვა კუთხით არ წარმართულიყო. საბოლოო სიტყვა მოსამართლეს მივანდეთ, რომელმაც გადაწყვეტილება მაგდანას სასარგებლოდ გააკეთა (რა თქმა უნდა, აქაც დასაბუთებული მსჯელობა მოვისმინეთ), რასაც მოსწავლეთა დადებითი ემოციები მოჰყვა.

6. ვენის დიაგრამა – მოსწავლეებმა მოახდინეს ნაწარმოებისა და ფილმის შედარება-ანალიზი, ჩამოთვალეს მსგავსება-განსხვავება, დაასახელეს მწერალი, რეჟისორი, სცენარის ავტორი, კომპოზიტორი, მხატვარი.

7. აქტივობის დასრულების შემდეგ მოსწავლეებს ვთხოვე, ფერად სტიკერებზე დაეწერათ საკუთარი სახელი და დაფაზე იმ მხარეს მიეკრათ, რომელსაც ანიჭებდნენ უპირატესობას, ანუ თუ წიგნი მოეწონათ – მარცხენა მხარეს რგოლში მოეთავსებინათ, თუ ფილმი – მარჯვენა მხარეს. რამდენიმე მოსწავლემ ზეპირადაც გამოთქვა საკუთარი აზრი.

ამის შემდეგ მივეცი დავალება: მომდევნო გაკვეთილისთვის მოიფიქრონ, რას ანიჭებენ უპირატესობას ყოველდღიურად – წიგნის კითხვას თუ ფილმების ყურებას და რატომ (ამ საკითხზე შეიძლება საკლასო საათის ჩატარებაც).

8. შეფასება:

გაკვეთილის ბოლოს მოსწავლეებმა შეაფასეს გაკვეთილი და თანაკლასელებისა და საკუთარი მონაწილეობა საგაკვეთილო პროცესში. შეფასების ამ ტიპის ეფექტიანი გამოყენების მიზნით მოსწავლეებს დავუსვი წინასწარ მომზადებული კითხვები:

- მოგეწონათ თუ არა გაკვეთილი?
- რა იყო ყველაზე საინტერესო?
- ვის გამოარჩევდით აქტიურობით თანაკლასელებიდან?
- როგორ შეაფასებ შენს მონაწილეობას გაკვეთილში?
- რას მოიმოქმედებ იმისათვის, რომ შემდგომში შეძლო გაკვეთილში უკეთ მონაწილეობა?

გარდა ზეპირი კომენტარებისა, წინასწარ მქონდა გამზადებული შეფასების ფურცელი რამდენიმე მოსწავლისთვის, რომლებიც გაკვეთილის შემდეგ შევავსე.

მოსწავლის შეფასების ფურცელი

მოსწავლის გვარი, სახელი ----------

აქტივობა	წარმატებულად	კარგად	დამაკმაყოფილებლად	შენიშვნა
საშინაო დავალება ■ გაკვეთილის თხრობა ■ ნახატი				
განვლილი მასალის ცოდნა				
აქტიური მონაწილეობა გაკვეთილზე				
ჩართულობა მსჯელობის დროს				
ლოგიკურობა და არგუმენტაცია				
ქცევა გაკვეთილის მსვლელობის დროს				

გაკვეთილის თემა:
ვექტორების პრაქტიკული გამოყენება

ჩხოროწყუს რაიონის ჩიხის საჯარო სკოლა;
გაკვეთილის გეგმა მოგვაწოდა საჩხერის რესურსცენტრის დირექტორმა

სწავლების საფეხური და კლასი – საშუალო საფეხური XI^ბ კლასი
ინტეგრირებული საგნები: მათემატიკა – ნონა აბრამიშვილი; ფიზიკა – ზეინაბ იაკობაშვილი;
სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება – გია ჭიღლაძე;
ინფორმაციულ საკომუნიკაციო ტექნოლოგიები (ისტ) – ალექსანდრე დოლიძე

გაკვეთილის სასწავლო მიზნები

1. ვექტორების თვისებებისა და ვექტორებზე მოქმედებათა გამოყენების უნარ-ჩვევების გამომუშავება.
2. ვექტორების გამოყენებით დახრილ სიბრტყეზე სხეულის მოძრაობის შესწავლა დაკვირვების, აღწერის, მონაცემთა ინტერპრეტაციის უნარ-ჩვევების განვითარების მიზნით.
3. უმარტივესი გეომეტრიული აგებანი სიბრტყეში და მათი გამოყენება ბრტყელი ფიგურების ხაზვისას.
4. ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების, ძირითადი სასწავლო დისციპლინების ერთმანეთთან ეფექტური ინტეგრაცია მიზნად ისახავს მოსწავლეთათვის იმ საშუალებების გაცნობას, რომლის საშუალებითაც ისინი გამოავლენენ და განახორციელებენ საკუთარ შესაძლებლობებსა და ინტერესებს.

ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული მისაღწევი შედეგი – ინდიკატორები

მათემატიკა: XI^ბ მოსწავლე ასრულებს ოპერაციებს ვექტორებზე და იყენებს ვექტორებს გეომეტრიული და საბუნებისმეტყველო პრობლემების გადაჭრისას.

ფიზიკა: ექსპერიმენტების საშუალებით, ვექტორული სიდიდეების გამოყენებით მოსწავლე იკვლევს სხეულთა წონასწორობის პირობებს დახრილ სიბრტყეზე, ადარებს მათ ერთმანეთს და აანალიზებს, აკეთებს საკუთარი მოსაზრებების პრეზენტაციას.

სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება: მოსწავლე ფლობს გრაფიკული აგების გეომეტრიულ საფუძვლებს და ნახაზის შესრულების სტანდარტულ პირობებს.

ინფორმაციულ-საკომუნიკაციო საშუალებები: მოსწავლე შეარჩევს და იყენებს ისტ-ის საშუალებებს სასწავლო დისციპლინებში კვლევის, ინფორმაციის ანალიზის, პრობლემების გადაჭრის მიზნით.


თანმიმდევრობა – (აქტივობა და დრო)

აქტივობა 1. – კითხვა-პასუხი

აქტივობის მიზანი: კითხვის დასმის, კითხვაზე პასუხის გაცემისა და დასაბუთების, დასკვნის გამოტანის უნარ-ჩვევების განვითარება.


აქტივობის აღწერა: მასწავლებელი სვამს კითხვებს. 5 წთ.

1. რა არის ვექტორი?.
   მოსწავლე პასუხობს კითხვას. ამ დროს ეკრანზე ჩანს ვექტორი, რომელსაც მეორე მოსწავლე აჩვენებს.
2. თუ შეგიძლიათ დაასახელოთ ისეთი სიდიდეები, რომელთაც აქვთ მხოლოდ რიცხვითი მნიშვნელობა?
   პასუხობს ერთ-ერთი მოსწავლე.
3. რა ეწოდებათ ასეთ სიდიდეებს?
   პასუხობს სხვა მოსწავლე.
4. რა მოქმედებებს ვიცნობთ ვექტორებზე?
   მოსწავლე პასუხობს. ამ დროს ეკრანზე გამოდის ნახაზები და შემდეგი კითხვა ისმის.
5. ვექტორების შეკრების რომელ წესს ვიცნობთ?



ასახელებენ წესებს და ერთ-ერთ მოსაწვლეს ეძლევა დავალება ვექტორების შეკრების გრაფიკული გამოსახულების საფუძველზე, ჩამოაყალიბოს ვექტორების შეკრების სამკუთხედის წესი, აგრეთვე აჩვენოს, რომელ სურათზეა გამოსახული ვექტორების სხვაობა და ვექტორების შეკრების პარალელოგრამის წესი.

6. რას ეწოდება ვექტორის დაშლა საკოორდინაციო ღერძების მიმართ?




მოსწავლე პასუხობს ზეპირად და შემდეგ დაფაზე წარმოადგინს პასუხს.

აქტივობა 2. – საშინაო დავალების პრეზენტაცია

აქტივობის მიზანი: ვექტორებზე მოქმედებების ანალიზის, პასუხის შერჩევის, დასაბუთების, პრეზენტაციის უნარ-ჩვევების განვითარება.

აქტივობის აღწერა: 7 წთ.

საშინაო დავალებად მიცემულ ტესტები და ამოცანა მოწმდება წაკითხვით. პირველი ტესტის წაკითხვის დროს ეკრანზე ჩანს ტესტი თავის სავარაუდო პასუხებით.



მოსწავლე ასახელებს პასუხის ნომერს, მასწავლებელი ეკითხება მოსწავლეებს: ხომ არ აქვთ განსხვავებული პასუხი? შემდეგ ამბობს: „აბა, ვნახოთ ეკრანზე სწორი პასუხი და შევასწოროთ რვეულებში, თუ ეს საჭიროა. ასევე შევამოწმოთ დანარჩენი ტესტები“.

აქტივობა 3. – აქტიური ლექცია

აქტივობის მიზანი: ვექტორული ანალიზის თეორიის შექმნისა და გამოყენების მოკლე ისტორიული ექსკურსი.

აქტივობის აღწერა: 3 წთ.

მასწავლებელი მოკლედ აცნობს მოსწავლეებს ვექტორული და სკალარული სიდიდეების შექმნის ისტორიას, აღნიშნავს რომ ტერმინის „ვექტორი“ დამკვიდრება დაკავშირებულია ირლანდიელი მეცნიერის ჰამილტონის სახელთან. ასევე აცნობს მოსწავლეებს, რომ ვექტორული ანალიზის თეორიის განვითარებაში წვლილი მიუძღვის ქართველ მათემატიკოსს ილია ვეკუას.

ფიზიკის მასწავლებელი ასაბუთებს, რომ ვექტორული ანალიზის განვითარება მექანიკისა და ფიზიკის კანონებმა განაპირობა და მას თანამედროვე სახე მისცა ამერიკელმა ფიზიკოსმა ჯოზაი გიბზმა.

აქტივობა 4. – გონებრივი იერიში

აქტივობის მიზანი: დაკვირვების, აღწერის, მიღებული ცოდნის შეჯამების, კლასიფიკაციის უნარ-ჩვევების განვითარება.

აქტივობის აღწერა: 8 წთ.

ეკრანზე წარმოდგენილია ფიზიკური სიდიდეები, თითოეული ჯგუფისათვის. მასწავლებელი სთხოვს მათ დააჯგუფონ ცალკე ვექტორული და ცალკე სკალარული სიდიდეები. თვალსაჩინოებისათვის იყენებენ ორი თეორიული ამოცანის გაანალიზებას, რომლის შედეგიც იქნება სხეულის მოძრაობის დახასიათება ვექტორული და სკალარული ფიზიკური სიდიდეებით. ამოცანები წარმოდგენილია ეკრანზე და პასუხს ასაბუთებენ მოსწავლეები ინდივიდუალურად, ზეპირი პრეზენტაციით.


ამოცანის პირობიდან გამომდინარე, მოსწავლე იყენებს ვექტორების შეკრების წესს გავლილი მანძილის გამოსათვლელად და პითაგორას თეორემას, გადაადგილების საპოვნელად. კლასი წარმოადგენს დასრულებული ამოცანის პასუხებს.

აქტივობა 5. – დამოუკიდებელი მუშაობა

აქტივობის მიზანი: შეძენილი ცოდნის კონკრეტულ საკითხებთან დაკავშირების, კვლევის, ანალიზისა და დასკვნის გამოტანის, დროის ლიმიტის დაცვის, პრეზენტაციის უნარ-ჩვევების განვითარება.

აქტივობის აღწერა: 9 წთ.

თითოეულ ჯგუფს ეძლევა დამოუკიდებელი სამუშაო. ეკრანზე წარმოდგენილია დახრილ სიბრტყეზე სხეულის მოძრაობის სხვადასხვა შემთხვევები სხეულზე მოქმედი ძალებით. მოსწავლეებმა უნდა შეძლონ წარმოადგინონ თავიანთი მოსაზრება და დასკვნები, რის შედეგად თითოეული ჯგუფის ლიდერი აკეთებს ჩატარებული სამუშაოს პრეზენტაციას, ადარებს სხეულზე მოქმედი ძალების ვექტორულ მნიშვნელობებს, გამოთქვამს ჯგუფის აზრს მათი მოქმედების პრინციპის შესახებ, მსჯელობს მათი დადებითი და უარყოფითი მხარეების შესახებ.



აქტივობა 6. – დისკუსია, ვარაუდის გამოთქმა

აქტივობის მიზანი: მოძიებული ინფორმაციის წარმოდგენის, საკუთარი აზრის გამოთქმის და არგუმენტაციის, სხვისი მოსმენისა და აზრის გათვალისწინების, დასკვნის გამოტანის, პრეზენტაციის უნარ-ჩვევების განვითარება.

აქტივობის აღწერა: 8 წთ.

მოსწავლეები წარმოადგენენ ვექტორების პრაქტიკული გამოყენების მაგალითებს თავიანთი ხედვით. (ისტ.-ის საშუალებით).



აქტივობა 7. – „სახალისო წუთი“

აქტივობის მიზანი: შეძენილი ცოდნის გამოყენებით დროის ლიმიტის ზუსტი დაცვა.

აქტივობა 8. – საშინაო დავალება

1 წთ.

შეფასება – 2 წთ.

ვიყენებთ შეფასების ტიპებს: განმსაზღვრელი, განმავითარებელი, ინდივიდუალური.

მოსწავლეთა შეფასება მოხდება გაკვეთილზე ჩართულობის ხარისხით: საშინაო დავალების შესრულების ხარისხი, გაკვეთილზე აქტიურობა, შემოქმედებითობა, შეძენილი უნარ-ჩვევების, აზროვნების, პრეზენტაციის, თვითშეფასებისა და თანაშეფასების აქტივობის მიხედვით.

მასწავლებელი წარუდგენს წინასწარ გამზადებული შეფასების რუბრიკას: თვითშეფასების კითხვარი ჯგუფის თითეული წევრისათვის

1. რა გააკეთეთ ან თქვით ისეთი, რაც თქვენ ჯგუფს დაეხმარება სამუშაოს შესრულებაში?
2. რა იყო ყველაზე მნიშვნელოვანი ერთობლივი მუშაობისას?
3. რას გააკეთებდით მომავალში, რომ გუნდის გუნდის ეფექტურობა უფრო ამაღლებულიყო.

გუნდის თვითშეფასების კითხვარი

1. რა იყო ერთობლივი მუშაობის ნაკლი?
2. რა იყო გუნდის ყველაზე დიდი მიღწევა?

საკლასო მენეჯმენტი – საგანმანათლებლო რესურსები: სახელმძღვანელო, სამუშაო რვეული, ფურცლები, ავტოკალამი, ცარცი, დაფა, კომპიუტერი, პროექტორი.

გაკვეთილის თემა:
„კლდის პირას ჭვავის ყანაში“

(ნაწყვეტი რომანიდან)

გაკვეთილის გეგმა ქართულ ენასა და ლიტერატურაში, VIII კლასი. გაკვეთილის ხანგძლივობა: 45 წთ.

გამოცდილებას გვიზიარებს მარინე სეხნიაშვილი, თელავის მე-9 საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი

სასწავლო მიზნები: გააზრებული კითხვის, მსჯელობისა და მოსმენის უნარის განვითარება.

მოსწავლეები შეძლებენ ტექსტის გააზრებულ კითხვას, პერსონაჟის მეტყველებაზე დაკვირვებას, მისი სულიერი მდგომარეობის გაგებასა და საკუთარი დამოკიდებულების გამოხატვას.

საჭირო რესურსები: სახელმძღვანელო – ქართული ენა და ლიტერატურა VIII კლასი (ლ. თუშური, მ. ინასარიძე, ნ. შარაშენიძე); ლ. ბრეგაძე „ქართული ჟარგონის ლექსიკონი“, 2005 წ. რვეულები, მარკერები, დაფა.

გაკვეთილის მსვლელობა:

აქტივობა I. მასწავლებელი მოსწავლეებს სთხოვს, გაიხსენონ ჯერომ დეივიდ სელინჯერზე ყველაფერი, რაც იციან და გაუგიათ.

მოსწავლეები შეძლებისდაგვარად იხსენებენ. ძირითადად იციან, რომ ამერიკელი მწერალია, დაწერილი აქვს რომანი „თამაში ჭვავის ყანაში“, წერს ახალგაზრდებზე, რომანი ქართულად არის თარგმნილი და ა.შ.

ორგანიზება: მუშაობა მთელ კლასთან. დრო 5 წთ.

აქტივობა II. მინილექცია. ატარებს მოსწავლე. მას წინასწარ დავალებად ჰქონდა მიცემული ინფორმაციის მოძიება (ძირითადად ბიოგრაფიული ხასიათის) ინტერნეტში. ინფომენეჯერის მეშვეობით შემდეგი საიტებიდან: http://en.wikipedia.org/wiki/J.D.Salinger, http://www.kirjasto.sci.fi/salinger.htm, http://www.salinger.su/ მოიძია ინფორმაცია, გაეცნო მას და დაამუშავა.

ორგანიზება: ინდივიდუალური. დრო: 5 წთ.

შეფასება. მოსწავლე შეფასდა ზეპირი გამოსვლის შეფასების კრიტერიუმებით, რომლებიც წინასწარ არის შემუშავებული და კლასის ერთ კედელზე გამოფენილი. ეს კრიტერიუმებია:

- საინტერესო დასაწყისი და დასასრული;
- კარგად ორგანიზებული გამოსვლა;
- აუდიტორიის გათვალისწინება;
- აუდიტორიასთან კონტაქტი;
- მეტყველება (გამართული, მკაფიო)

აქტივობა III. კითხვა-პასუხი. მოსწავლეები შეკითხვებს უსვამენ გამომსვლელს, აზუსტებენ ზოგიერთ დეტალს მწერლის ბიოგრაფიიდან.

ორგანიზება. მუშაობა მთელ კლასთან. დრო 5 წთ.

აქტივობა IV. მასწავლებელი მოსწავლეებს აცნობს გაკვეთილის თემას, მიზნებს და აძლევს დავალებას: წაიკითხონ სახელმძღვანელოში მოცემული რომანის ნაწყვეტი შემდეგი კონკრეტული მითითებების გათვალისწინებით:

- მონიშნონ ადგილები, რომლებიც პერსონას – ჯეინ გელეხერს – ახასიათებს და მის წარმოჩენას ემსახურება;
- დაუკვირდნენ მთავარი გმირის – ჰოლდენ კოლფილდის – მეტყველებასა და განცდებს;
- რვეულებში ამოწერონ მათთვის უცნობი ჟარგონები და „ქართული ჟარგონების ლექსიკონის“ მეშვეობით განმარტონ.
- განსაზღვრონ ჰოლდენის განწყობილება, მისი განცდები ჯეინის მიმართ და საკუთარი დამოკიდებულება ამ პერსონაჟის მიმართ.

ორგანიზება. ინდივიდუალური, მუშაობა წყვილებში. დრო 15 წთ.


აქტივობა V. საკლასო დავალების პრეზენტაცია. რამდენიმე წყვილი წარმოადგენს საკუთარ მოსაზრებებს, შეხედულებებს.

შეფასება. პრეზენტაცია ფასდება წინასწარ შემუშავებული კრიტერიუმების მიხედვით. ეს კრიტერიუმებია:

- ტექსტის ადეკვატური გაგება;
- არგუმენტირება;
- პასუხების ორიგინალურობა;
- მეტყველება;
- აუდიტორიასთან კონტაქტი;
- კითხვებზე პასუხის გაცემა;
- დროის ლიმიტი. დრო 10 წთ.

საშინაო დავალება:

1. ტექსტის ხელახლა გადახედვის შემდეგ პერსონაჟის დახასიათების სქემის მიხედვით დაწერონ მთავარი გმირის დახასიათება.



2. შეადგინონ მცირე ლექსიკონი იმ სიტყვებისაგან, რომლებსაც ხშირად იყენებენ მათი თანატოლები.


შენიშვნა:

1. მოსწავლეები პერიოდულ ინდივიდუალურ დავალებებს სურვილით თავად ირჩევენ;
2. შეფასების რუბრიკები წინასწარ არის შემუშავებული და კლასის ერთ კუთხეში გამოკრული;
3. ლექსიკონები: ქართული ენის განმარტებითი, ორთოგრაფიული, სულხან – საბას „სიტყვის კონა“, უცხო სიტყვათა, ქართული ჟარგონებისა და ა.შ. კლასში თაროზეა განთავსებული;
4. პერსონაჟთა დახასიათებისა და ნაწარმოების ანალიზის სქემებიც თაროზეა განთავსებული.

სახალისო დავალებები მოსწავლეებისათვის

მოგვაწოდა ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელმა, მარინე უკლებამ (ქუთაისი)

გალაკტიონვორდი



თარაზულად 1. ავტორი ლექსისა „ჭარხალი“. 6. შეშლილი კომპოზიტორი, რომელსაც გალაკტიონი ხშირად ედარებოდა. 9. ვინ ამბობს, რომ „ქვეყანაზე ვინც კი კვდება, იმ წუთშივე მისი ჩრდილი ყველა ჩვენგანს ავიწყდება?“ 11. „ატმის... დაღალულო...“ 12. ვინმე მოგზაური მელექსე. 14. სარკმლის წინ მოცეკვავე ყვავილი. 16. სოფელი, სადაც დაიბადა გალაკტიონი. 18. როგორი იყო ცა? (მე და ღამე) 19. რომელი ქართველი პოეტით იწყება ქართული პოეზიის შვიდეული? 21. ღამენათევი და ნამთვრალევი გალაკტიონის სულის შესაფერი. 23. ვინ არის ის, ვისი მკვლელობითაც დამთავრდა „ეპოქა დიდი“? 24. რას შლიდა თმაგაწენილი ქარი? 28. და... ოცნების ლურჯი იალქნები. 29. რომელი ეპითეტით მოიხსენიებს გალაკტიონი ცხენებს? 30. როგორი ფერისაა ყინვის თასები? 32. სიმფონია, რომელშიც გალაკტიონმა ქართული მოტივი აღმოაჩინა. 33. რას ევედრება ლოცვად მუხლმოყრილი პოეტი? 34. რის გარეშე არ არსებობს თვით უკვდავებაც?

შვეულად 2. პოეტი, რომლის საპატივცემულოდაც ატარებდა გალაკტიონი წვერს. 3. რომელი ხის რტოა ქარიშხალში დაღალული? 4. გალაკტიონის ბიძაშვილი, ცნობილი პოეტი. 5. გალაკტიონის საყვარელი თოვლის ფერი. 6. ვინ ამბობს: „თორობის საათია, ღვინის საათია?“ 7. ბაღში შეშლილივით მომაკვდავი თვე. 8. მკვიდრად ნაგები ტაძარი. 10. შოთა, ილია, ..., ვაჟა და გალაკტიონი. 12. რომელ ლექსში ატირდა პოეტი, „ვით მეფე ლირი?“ 13. სად მოხვდა ვარდი, რომელსაც გალაკტიონმა თავისი ცხოვრება შეადარა? 15. „მდუმარების გარეშე და ... თარეშში. 17. რომელი ადგილია ჯერ არ შობილი მთვარის მშობელი?“ 20. მკერდზე დაუდევრად მიდებული საკრავი. 22. ხევის ბეთჰოვენი 24. ვერხვის როგორ ფოთლებს აშრიალებდა ქარი? 25. შოთა, ილია, აკაკი,... და გალაკტიონი. 26. როგორ ბალახზე უნდა გაიარო, რომ მამულის სიყვარული იგრძნო? 27. ბნელ ხვეულებში მძინარე გამოუცნობები. 31. რომელი თვის მზის წინ ლოცულობდა გალაკტიონი?

ჯვარედინი: 1. გალაკტიონი 6. ბეთჰოვენი 9. ბეთანიელი 11. ოცნება 12. ბეთანიელი 14. ნახატები 16. ქუთაისი 18. ბნელი 19. ოთარ 21. სითეთრე 23. ილია 24. ლილი 28. ცისფერი ცხენები **ზევით:** 2. აკაკი 3. ფიქრი 4. მიწიერი 5. თისტისფერი 6. პოეტი 7. თებერვალი 8. ნისლიანი 10. აკაკი 12. ბედი 13. სიღრმე 15. სიტყვის, 17. დილის 20. ქუდი 22. ყაზბეგი 24. ბეთანიელი 25. ვაჟი 26. ცვივი 27. ქიმერიული 31. თებერვალს.



ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები

სასწავლო პროცესის ნაწილია

სამი წელია, 166-ე საჯარო სკოლაში თანამედროვე ტექნოლოგიებს აქტიურად იყენებენ. ინტერნეტის დახმარებით მოსწავლეები კვლევებს ატარებენ და აქტიურად ეკონტაქტებიან უცხოელ თანატოლებს. კომპიუტერი, პროექტორი, Power-Point-ში დამუშავებული პრეზენტაციები პედაგოგებისთვისაც ყოველდღიური საგაკვეთილო პროცესის ნაწილია. აქ მოსწავლეებს და მასწავლებლებს ოთხი კომპიუტერული ლაბორატორია და ასამდე კომპიუტერი ემსახურება.

გელა გედიანაშვილი
ირაკლი კოპალეიშვილი

„სკოლაში თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენება მნიშვნელოვანია, რადგან ბავშვის მოტივაცია, ასეთ შემთხვევაში, უფრო მაღალია, ვიდრე მხოლოდ ცარცისა და დაფის გამოყენებისას“, – ამბობს 166-ე საჯარო სკოლის დირექტორი ირმა ომანაძე.

ამ სკოლაში ბრიტანეთის საბჭოს დახმარებით განხორციელდა პროექტი სახელწოდებით: „კულტურული განსხვავებები“. აგრეთვე ერთ-ერთ ბრიტანულ სკოლასთან პარტნიორობით მომზადდა გეგმა ორივე სკოლის მასწავლებლებისათვის. „პროექტი მოსწავლეების დახმარებით განვახორციელეთ და შევქმენით ბლოგი, რომელზეც ჩვენს მიერ შესრულებული ნამუშევრები განვათავსეთ. ბავშვებმა ბლოგების მომზადება და ინტერ-






ნეტ-სივრცეში ინფორმაციის განთავსება ისწავლეს. ახლა მოსწავლეები თავის ნამუშევრებსა და მასალას ინტერნეტში ტვირთავენ, მე კი ვამოწმებ“, – მოგვითხრობს 166-ე სკოლის მასწავლებელი ანანო ბაღდავაძე.

მე-7 კლასის მოსწავლე მარიამ ცომაია ამბობს, რომ კომპიუტერულ ტექნოლოგიებს, პირველ რიგში, ინფორმაციის მოსაძიებლად იყენებენ. ის პროექტში მონაწილეობასაც იხსენებს: „ბლოგების შექმნაზე მთელი კლასი ვმუშაობდით. მოვიძიეთ ინფორმაცია ქართულ კულტურაზე: კულინარიაზე, ქუდებზე... ჩავწერეთ და ინტერნეტში განვათავსეთ ინტერვიუები. გვინდოდა, სხვა ქვეყნების მოსწავლეებს ჩვენი კულტურის შესახებ გაეგოთ“.







მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი მასწავლებელთა ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებში (ისტ) ტრენინგების პროგრამას ახორციელებს. პროგრამის ფარგლებში პედაგოგები აიმაღლებენ კვალიფიკაციას აღნიშნული ტექნოლოგიების სასწავლო პროცესში გამოყენების კუთხით და მონაწილეობას მიიღებენ ქართული საგანმანათლებლო ელექტრონული რესურსების გამდიდრებაში.

მასწავლებელთა ტრენინგების პროგრამა – კომპიუტერთან მუშაობის საბაზო კურსი – სამი წლის წინ დაიწყო ფონდ „ირმის ნახტომის“ მხარდაჭერით. მასწავლებლეთა პროფესიული განვითარების ცენტრი, საბაზო კურსთან ერთად, მეორე დონის ტრენინგებსაც იწყებს. პედაგოგები კომპიუტერული ტექნოლოგიების გამოყენებას სრულფასოვნად ისწავლიან. მეორე დონის ტრენინგ-კურსის განხორციელება სექტემბრიდან დაიწყება და მასში იმ სკოლების მასწავლებლები მიიღებენ მონაწილეობას, რომლებიც ინტერნეტ-კავშირით არიან უზრუნველყოფილი.

„ტრენინგ-კურსი მასწავლებლებს დაეხმარება, უფრო მრავალფეროვანი და ეფექტური გახადონ სასწავლო პროცესი ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებით; ხელს შეუწყობს მათ, ტექნოლოგიების მიმართ მოსწავლეთა ინტერესი საგანმანათლებლო მნიშვნელობით გამოიყენონ, გაზარდონ მოზარდების მოტივაცია და დაინტერესება. გრძელვადიან პერსპექტივაში, პროგრამა თანამედროვე, გლობალური სამუშაო ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი მომავალი თაობის აღზრდას ემსახურება“.



ეკა ჯელაძე
პროექტის კოორდინატორი



პასუხები თქვენ მიერ დასმულ შეკითხვებზე

ქართული ენისა და ლიტერატურის პედაგოგებმა მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრის ინიციატივით გამართულ შეხვედრებზე, არაერთი შეკითხვა დასვეს პროფესიულ სტანდარტთან, სასერტიფიკაციო გამოცდასა და დამხმარე ლიტერატურასთან დაკავშირებით. ყველაზე ხშირად დასმულ და საინტერესო შეკითხვებს ჩვენი ცენტრის, გამოცდების ეროვნული ცენტრისა და ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრის ექსპერტები პასუხობენ. გაქვთ შეკითხვა? – მოგვწერეთ: info@tpdc.ge



ქართული ენისა და ლიტერატურის საბაზო და საშუალო საფეხურის მასწავლებელთა პროფესიულ სტანდარტში, „პროფესიული ცოდნის“ ნაწილში წარმოდგენილია ქართველ მწერალთა საკმაოდ ვრცელი ჩამონათვალი. გთხოვთ, უფრო კონკრეტულად განგვიმარტოთ, რა დონეზე და როგორი ფორმით მოეთხოვებათ მასწავლებლებს ამ ავტორთა შემოქმედების ცოდნა სასერტიფიკაციო გამოცდისათვის?

მაყვალა გოგუაძე
ბათუმის №16 საშუალო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი

ავტორთა ვრცელი სიის გაცნობამ, შესაძლოა, მასწავლებლებში დაბნეულობა და შიშიც კი გამოიწვიოს. ბუნებრივია, რომ მათ აქვთ სურვილი, უფრო ამომწურავი ინფორმაცია ჰქონდეთ იმის შესახებ, თუ რომელი ავტორების და ნაწარმოებების ცოდნას მოსთხოვენ მათ სასერტიფიკაციო გამოცდაზე და რა ფორმით. სასერტიფიკაციო გამოცდის ჩაბარებისას მასწავლებელს არ მოეთხოვება ჩამონათვალში წარმოდგენილი ყველა ავტორის მთლიანი შემოქმედების (მაგალითად, ალექსანდრე ყაზბეგის, კონსტანტინე განსახურდიას, გალაკტიონ ტაბიძის, აკაკი ბაქრაძისა და სხვათა მრავალტომეულების, ან კიდევ თანამედროვე ქართველ მწერალთა ნაწარმოებების) წაკითხვა და, მითუმეტეს, ზედმიწევნით ცოდნა. უთუოდ შეამჩნევდით, რომ მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი იმავე პრინციპითაა აგებული, როგორითაც მოსწავლის სტანდარტი, გარდა მეთოდიკის ნაწილისა. ეს იმას ნიშნავს, რომ მასწავლებელს უნდა ჰქონდეს სათანადო კომპეტენცია, ანუ უნარ-ჩვევები და ცოდნა იმისათვის, რომ უზრუნველყოს მოსწავლეთა იმ შედეგების მიღწევა, რომელთაც ეროვნული სასწავლო გეგმა ითვალისწინებს. ავტორთა ეს ჩამონათვალი სრულად ემთხვევა მოსწავლის სტანდარტში წარმოდგენილ რეკომენდებულ მწერალთა ჩამონათვალს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ამ ჩამონათვალში შესული ნებისმიერი ავტორის ნებისმიერი ნაწარმოები, როგორც მხატვრული, ისე არამხატვრული, შეიძლება იქნას შეტანილი საბაზო და საშუალო საფეხურისთვის განკუთვნილ გრიფირებულ სასკოლო სახელმძღვანელოებში. შესაბამისად, სასწავლო პროცესში მასწავლებელს მოუწევს ჯერ თავად წაიკითხოს, გაიაზროს და დაამუშავოს სხვადასხვა სახისა და სირთულის ტექსტები და მხოლოდ ამის შემდეგ მიაწოდოს იგი მოსწავლეებს. ცხადია, მასწავლებელი მხოლოდ იმ შემთხვევაში გაართმევს თავს ამ ამოცანას, თუ მას ექნება ნებისმიერი ტექსტის, თუნდაც მისთვის უცნობის, როგორც შინაარსის, ისე ფორმისა და სტრუქტურის, ენობრივი საშუალებების სიღრმისეულად გააზრებისა და გაანალიზების უნარი. ცხადია ისიც, რომ ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელმა მაღალ დონეზე უნდა იცოდეს ის განსაკუთრებული მხატვრულ-ესთეტიკური და იდეური ღირებულების მქონე ნაწარმოებები, რომელთაც უმნიშვნელოვანესი ადგილი უკავია ქართულ ლიტერატურაში და რომლებიც ტრადიციულად ისწავლებოდა კიდეც სკოლებში.



მასწავლებლის პროფესიულ სტანდარტში არის ქვეთავი „ენისა და ტექსტის ურთიერთმიმართება“. მასწავლებლები ამ საკითხზე განსაკუთრებით განვიცდით სათანადო ლიტერატურის ნაკლებობას. იქნებ მიგვითითოთ, რომელი ლიტერატურით ვისარგებლოთ?

მანანა მაჭავარიანი,
ზესტაფონის №2 საშუალო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრის ინიციატივით იქმნება დამხმარე სახელმძღვანელო ქართული ენისა და ლიტერატურის პედაგოგებისათვის, რომელშიც ეს ქვეთავი და მასში წარმოდგენილი საკითხები დეტალურად იქნება განხილული. სახელმძღვანელო მიეწოდება საქართველოს ყველა სკოლის ბიბლიოთეკას უფასოდ და სურვილის შემთხვევაში პედაგოგები დამატებით მის შეძენსაც შეძლებენ.



მასწავლებლის პროფესიულ სტანდარტში, ქართულ ენასა და ლიტერატურაში შესულია ქართულის, როგორც მეორე ენის სწავლების სპეციფიკა. მოგვეთხოვება თუ არა გამოცდაზე ამ საკითხის ჩაბარება?

მანანა კაპანაძე
გორის რაიონის სოფელ საქაშეთის სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი

გარდამავალ ეტაპზე, ანუ 2010-2014 წლების ჩათვლით ქართული ენისა და ლიტერატურის პედაგოგებს ქართულის, როგორც მეორე ენის სწავლების სპეციფიკის ჩაბარება არ მოუწევთ.



მასწავლებლის პროფესიული სტანდარტის ძირითადი ნაწილი საერთოა ყველა საგნისა და საგნობრივი ჯგუფისათვის. რა სახით ჩატარდება სასერტიფიკაციო გამოცდა მასწავლებლის პროფესიულ უნარ-ჩვევებსა და ქართულ ენასა და ლიტერატურაში?

ნინო ბერაძე
თბილისის №126 სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი

მასწავლებელი აბარებს ერთ გამოცდას პროფესიულ უნარ-ჩვევებში და მეორე გამოცდას – ქართულ ენასა და ლიტერატურაში. მასწავლებელი ითვლება სერტიფიცირებულად, თუ მან ორივე გამოცდა წარმატებით ჩააბარა.

მასწავლებელები ყველა შეხვედრაზე გვთხოვდნენ მიგვეწოდებინა მათთვის იმ დამხმარე ლიტერატურის სია, რომელიც მათ სასერტიფიკაციო გამოცდის ჩაბარებისას გამოადგებათ. გამოსაცემად უკვე მზადაა და მალე გამოვა გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ მომზადებული ხუთტომეული „მასწავლებლის ბიბლიოთეკა“. გამოცემა მასწავლებლებს ქართულ ენასა და ლეტერატურაში სასერტიფიკაციო გამოცდისათვის მომზადებისას მნიშვნელოვან დახმარებას გაუწევს. ხუთტომეული ქრონოლოგიური პრინციპით არის შედგენილი და მოიცავს ქართველი ავტორების როგორც ენათმეცნიერულ ნაშრომებს, ასევე წერილებს, სტატიებსა და ესსეებს ქართული ლიტერატურის შესახებ. გარდა ამისა, გამოცდისათვის მოსამზადებლად შემდეგი დამხმარე ლიტერატურა დაგჭირდებათ:

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრის გამოცემა

მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი (ძირითადი ნაწილი და მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი ქართულ ენასა და ლიტერატურაში *(საბაზო-საშუალო საფეხური)*

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრის მიერ გამოცემული სამტომეული

ა) განვითარებისა და სწავლის თეორიები
ბ) სასწავლო და პროფესიული გარემო
გ) სწავლება და შეფასება

გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ გამოცემული საინფორმაციო ბროშურები

ა) როგორ მოვემზადოთ სასერტიფიკაციო გამოცდისათვის, ქართული ენა და ლიტერატურა
ბ) როგორ მოვემზადოთ სასერტიფიკაციო გამოცდისათვის, პროფესიული უნარ-ჩვევები

დამატებითი სარეკომენდაციო ლიტერატურია ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლებისათვის

1. ავთანდილ არაბული, ქართული მეტყველების კულტურა, თბ., 2004.
2. შუქია აფრიდონიძე, ჩვენი ენა ქართული, თბ., 2002.
3. გიორგი ახვლედიანი, ზოგადი ფონეტიკის საფუძვლები, თბ., 1999.
4. ელენე ბაბუნაშვილი, თედო უთურგაიძე, ანტონ პირველის „ქართული ღრამმატიკა“ და მისი ეროვნულ-ისტორიული მნიშვნელობა, თბ., 1989.
5. კორნელი დანელია, ზურაბ სარჯველაძე, ქართული პალეოგრაფია, თბ., 1997.
6. მარიამ თალაკვაძე, ქართული ენის გრამატიკის სწავლების მეთოდიკა, თბ., 1959.
7. თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმები, I, თბ., 1989.
8. ვარლამ თოფურია, ქართული ენა და მართლწერის ზოგიერთი საკითხი, თბ., 1965; თბ., 2005.
9. ლეო კვაჭაძე, თანამედროვე ქართული ენის სინტაქსი, თბ., 1977.
10. ჟუჟუნა ფეიქრიშვილი, ქართული ენის მორფოლოგია, ქუთაისი, 1992.
11. ჟუჟუნა ფეიქრიშვილი, ქართული ენის სინტაქსი, ქუთაისი, 1996.
12. ბიძინა ფოჩხუა, ქართული ენის ლექსიკოლოგია, თბ., 1974.
13. ქართული სიტყვის კულტურის საკითხები, VII, თბ., 1985.
14. აკაკი შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, თბ., 1980.
15. აკაკი შანიძე, ძველი ქართული ენის გრამატიკა, თბ., 1976.
16. არნოლდ ჩიქობავა, ენათმეცნიერების შესავალი, თბ., 1952.
17. არნოლდ ჩიქობავა, ქართული ენის ზოგადი დახასიათება, ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, I, თბ., 1950 (ცალკე გამოცემა, თბ., 1998).
18. შოთა ძიძიგური, ქართული ენის თავგადასავალი, თბ., 1969; ან მისივე: საენათმეცნიერო საუბრები, თბ., 1975.
19. ზურაბ ჭუმბურიძე, ქართული სალიტერატურო ენისა და სტილის საკითხები, თბ., 1956.
20. ბესარიონ ჯორბენაძე, ბალავარი მწერლობისა, თბ., 1987.

ლექსიკონები

1. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, I-VIII, თბ., 1950-1954.
2. ვარლამ თოფურია, ივანე გიგინეიშვილი, ქართული ენის ორთოგრაფიული ლექსიკონი, თბ., 1998.
3. ილია აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი (მასალები), თბ., 1973.
4. ზურაბ სარჯველაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი (მასალები), თბ., 1995.
5. სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, I, თბ., 1991; II, თბ., 1993.
6. თამარ ბეროზაშვილი, ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, თბ., 2007.
7. ჟურნალისტის სტილისტიკური ცნობარი, თბ., 2002.
8. ენციკლოპედია „ქართული ენა“, თბ., 2008.

დამრიგებელი

ჩემს დამრიგებელს ირა ერქვა, ფიზიკას მასწავლიდა. მე არ მიყვარდა ფიზიკა, მაგრამ მიყვარდა ირა დამრიგებელი, რომელიც მიუხედავად იმისა, რომ პასუხი ყოველთვის იცოდა, ხშირად მეკითხებოდა: „ფიზიკა თუ ლირიკა?“

მან ჩემს სხვა მრავალ კითხვაზეც იცოდა პასუხი. მაშინ ასე მეჩვენებოდა, დღეს კი მჯერა, რომ იცოდა.

იგი იყო მომსმენი, მომთმენი და მომრიგებელი ჩვენსა და დირექციას, ჩვენსა და მასწავლებლებს, ჩვენსა და მშობლებს შორის. მასთან ვაღიარე, რომ სასკოლო დღიურს მშობლის ნაცვლად ხელს მე ვაწერდი. როცა უკან ვიხედები და ბავშვობას ვიბრუნებ, იქ ირა დამრიგებელიცაა.



ნატო ინგოროყვა

ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ სკოლაში გერმანულ ენასა და ლიტერატურას ვასწავლიდი და მეც ვიყავი დამრიგებელი. მეც გავიარე გზა დამრიგებლობიდან მომრიგებლობამდე. „ვადვოკატობდი“ ჩემს ბავშვებს დირექტორთან, სხვა საგნის მასწავლებლებთან, ერთმანეთთან, მშობლებთან და ზოგჯერ სამართალდამცავებთანაც.

„ეს ლუკა ბაზაძეა – ლექსებს წერს, ჩვენთან სხვა სკოლიდან გადმოვიდა. ეს ავთანდილ ადეიშვილია – ფრიადოსანი, ეს კი ნინო ოქროპირიძეა – მღერის“, – ასე საუბრობს თითოეულ მოსწავლეზე თბილისის 67-ე საჯარო სკოლის მე-5ˢ კლასის დამრიგებელი ირმა ქენქაძე.

სკოლისკენ მიმავალს უამრავი კითხვა მიმქონდა თანამედროვე სკოლის დამრიგებელთან. მინდოდა მეკითხა: ახსოვდა თუ არა თავისი დამრიგებელი, რამდენად უძნელდებოდა ამ მისიის შესრულება, სად იწყებოდა და როდის მთავრდებოდა მისი დამრიგებლობა, მიჰყვებოდა თუ არა სახლში თავისი სადამრიგებლო კლასის ბავშვებზე ფიქრი და როგორ უმკლავდებოდა საქმეს, რომელიც ასე რთულია და საპასუხისმგებლო...

„ძნელია, იყო მისაბაძი ადამიანი“, – ამბობს ირმა, მაგრამ ცდილობს, გახდეს ბავშვებისთვის სამაგალითო და არცთუ იშვიათად – თანატოლიც. მისი აზრით, მოზარდებათან ღია და გახსნილი ურთიერთობები, დამრიგებლისთვის და ბავშვისთვის მნიშვნელოვანიცაა და საჭიროც.

ირმას დამრიგებლობის 12 წლიანი გამოცდილება აქვს. მან იცის, რომ უნდა დაეხმაროს მოსწავლეს აკადემიური თუ სხვა პრობლემის გადაჭრაში, უნდა იყოს შუამავალი მოსწავლეს, მშობლებსა და მასწავლებლებს შორის პრობლემების წარმოქმნის შემთხვევაში; მშობლებს შვილის მიღწევებს უნდა აცნობდეს დროულად, ინდივიდუალური შეხვედრებისას, რადგან, ერთი მოსწავლის ყოფაქცევისა და აკადემიური მოსწრების შესახებ მეორის მშობელთან ან მისი თანდასწრებით საუბარი არ არის მიზანშეწონილი. კლასის საათის გარდა, რომელსაც თვეში ორჯერ მაინც ატარებენ, ერთმანეთთან დაახლოებასა და კეთილგანწყობის მოპოვებაში ძალიან ეხმარებათ ექსკურსიები, ლაშქრობები და სხვადასხვა სასკოლო ღონისძიებები.

თუ გვინდა, კარგი დამრიგებელი ვიყოთ, საქმისა და ბავშვების სიყვარულთან ერთად არასოდეს უნდა დავკარგოთ სამართლიანობის გრძნობა და არ უნდა გაგვიჭირდეს, გავხდეთ მათი თანატოლი. ვეცადოთ, ბავშვებს ერთმანეთი უყვარდეთ და სხვა ღირსებებს, შრომის და ურთიერთპატივისცემის შედეგად აუცილებლად ჩამოვუყალიბებთ.

ირმა და მისი კლასი მორიგი ლაშქრობისთვის ემზადება. 67-ე სკოლა თბილისის ძველ, ისტორიულ უბანშია. ისინი მოგზაურობას სწორედ ამ უბნიდან დაიწყებენ, მარშრუტით: მეტეხის ტაძარი-აბანოები-ნარიყალა. აქ გიდობას მათივე სკოლის უფროსკლასელები გაუწევენ, რომლებიც ფაკულტატური წრის ხარჯზე ცდილობენ, კარგად შეისწავლონ კულტურული ტურიზმი.

„თუ გვინდა, კარგი დამრიგებელი ვიყოთ, საქმისა და ბავშვების სიყვარულთან ერთად არასოდეს უნდა დავკარგოთ სამართლიანობის გრძნობა და არ უნდა გაგვიჭირდეს, გავხდეთ მათი თანატოლი. ვეცადოთ, ბავშვებს ერთმანეთი უყვარდეთ და სხვა ღირსებებს, შრომის და ურთიერთპატივისცემის შედეგად აუცილებლად ჩამოვუყალიბებთ. ჩემს კლასში სხვადასხვა აღმსარებლობის ბავშვები სწავლობენ. ეს ხელს არ უშლით მათ, კარგი მეგობრები იყვნენ. ისინი ერთად დადიან კინოსა და თეატრში. ერთმანეთს სიყვარულით და პატივისცემით ეპყრობიან.

ჩემთვის მათზე ზრუნვა დილიდან იწყება და გვიან ღამემდე გრძელდება. დღეს რამდენიმეს კონცერტი აქვს და ვფიქრობ, რას იზამს, როგორ შეასრულებს? ზოგს – სპორტული შეჯიბრი და ვდარდობ, რა შედეგით დამთავრდება? ზოგსაც რთული სოციალური გარემო აქვს ოჯახში და... მოკლედ, საზრუნავს რა გამოლევს“, – გვიამბობს ირმა დამრიგებელი.

თუ მოსწავლე სკოლას აცდენს, დამრიგებელი ვალდებულია, ყოველი ასეთი შემთხვევისას გაარკვიოს გაცდენის მიზეზი. ის უნდა ეკითხებოდეს საგნების მასწავლებლებს მისი სადამრიგებლო კლასის მოსწავლეების აკადემიური მოსწრების, ქცევითი პრობლემებისა თუ ზოგადი წარმატებების შესახებ.

დამრიგებელი მოიაზრება მოსწავლის მრჩევლად, რომელიც ხელს უწყობს მისი მიდრეკილებებისა თუ ინტერესების განვითარებას კლუბებისა და წრეების მეშვეობით, ეხმარება მას მომავალი პროფესიის არჩევაში, კონფლიქტების მშვიდობიანად მოგვარებაში და სხვა.

„რთულია, საკუთარი შვილის სულიერი სამყაროს დახვეწა, მისი ღირებულებების ჩამოყალიბება, მშობელმა სხვა ადამიანს მიანდოს. ამიტომ, მშობელი ყოველთვის მღელვარებით ეკიდება იმას, თუ ვინ იქნება მისი შვილის დამრიგებელი. მშობელს სურს, მის შვილს დამრიგებლის სახით უფროსი მეგობარი ჰყავდეს. ბავშვების ნდობას კი მოპოვება სჭირდება“, – ამბობს 5ა კლასის მოსწავლის ავთანდილ ბასილაშვილის დედა, ქალბატონი მზია.

თითოეულ დამრიგებელს თავისი სადამრიგებლო პროგრამა აქვს, რომელიც განმარტავს იმას, თუ რა ღონისძიებებს ატარებს იგი სადამრიგებლო კლასის მოსწავლეების დასახმარებლად (მაგალითად, აქვს თუ არა გამოყოფილი დრო მოსწავლეებთან შესახვედრად, ხვდება თუ არა ის მშობლებს რეგულარულად, პრობლემებზე ან მიღწევებზე სასაუბროდ, აგროვებს თუ არა საგნის მასწავლებლებისგან ინფორმაციას მისი სადამრიგებლო ჯგუფის მოსწრებისა თუ ქცევის შესახებ და სხვ.).

და მაინც, „დამრიგებლობა პასუხისმგებლობაა და მას, დიდი ძალისხმევა და თავისებური ალღოც სჭირდება. ის მშობელს ანაცვლებს სკოლაში. მე კი მიადვილებს, დავუახლოვდე ბავშვებს, უკეთ გავეცნო მათ სოციალურ გარემოს, მარტივად გამოვნახო მათთან სასაუბრო ენა. თითოეულ დამრიგებელს თავისი ხელწერა აქვს. მთავარია, უსმენდნენ მას და ენდობოდნენ“, – განაცხადა 67-ე სკოლის დირექტორმა გიორგი ანჯაფარიძემ.

„ვეცდები, მისი ამაგი გადავიხადო“, – ღიმილით მეუბნება დევი გიორგაძე. „სამართლიანად გვებუტება“, – ამბობს ნინო ოქროპირიძე. „მინდა, ვიყო მისი მსგავსი“,– ეს ავთანდილ ადეიშვილის სურვილია. „ადვილად შემოდის კონტაქტში და ჩვენი ესმის“, – გამიმხილა თორნიკე გუმერიძემ. „მე მასზე მოთხრობას დავწერ“, – ეს კი ლუკა ბაზაძის სამომავლო ჩანაფიქრია. საკლასო ოთახიდან გამოსულს მეხუთეკლასელთა სურვილები მოგყვება და გიხარია: დამრიგებელი სჭირდებათ და უყვართ.







რამდენს იწონის სარისხიანი განათლება?

სახელმძღვანელო – კარგი და მძიმე თუ მსუბუქი და უხარისხო?

ახალი სასკოლო სახელმძღვანელოები, რომლებსაც ბავშვები ყოველდღიურად ატარებენ გაკვეთილებზე, საკმაოდ მძიმეა. ერთი მხრივ, ილუსტრირებული, ხარისხიანი სახელმძღვანელო კარგი განათლებისთვის აუცილებელი ფაქტორია. მეორე მხრივ, მძიმე ჩანთა ბავშვების ჯანმრთელობას საფრთხეს უქმნის. შეუძლია თუ არა სკოლას ამ პრობლემის გადაჭრა? სპეციალისტები ამბობენ, რომ გამოსავალი არსებობს, რაც სასწავლო პროცესის, გაკვეთილების სწორ მართვასა და დაგეგმვას გულისხმობს.

თეა თოფურია

მათემატიკა – 1კგ, ისტორია – 800 გრ, უცხო ენა – 400 გრ... კიდევ რვეულები, ფანქრები და სახაზავები – მეექვსეკლასელი გოგონა, რომელიც 39 კილოგრამს იწონის, ოთხკილოგრამიანი ჩანთით მიდის სკოლაში. ამბობს, რომ ხანდახან წელი სტკივა. „მძიმეა, მასწ!“ – ზარიდან ზარამდე ამ ფრაზის მოსმენა მასწავლებლებს ხშირად უწევთ. როგორც წესი, ასე პასუხობენ ბავშვები კითხვებს: „დღეს წიგნი რატომ არ მოიტანე?“, „რვეული რატომ არ გაქვს?“...

წიგნები, რომლებიც ბავშვებს სკოლაში დააქვთ, მძიმე, მაგრამ ხარისხიანი და საჭიროა.

ელენე გ., *თბილისის მე-11 საჯარო სკოლა, მე-6 კლასი (მისი ჩანთა ოთხ კილოგრამს იწონის):* „წიგნი რომ არ მივიტანო, გვეჩხუბებიან. შეიძლება ნიშანიც დაგვაკლონ. ძალიან მძიმეა ამდენი წიგნი. თუ ფიზკულტურა ან ხატვა გვაქვს და წიგნი არ მიმაქვს, მაშინ ფიზკულტურის ფორმა და სახატავი რვეულები უნდა წავიღო და მაინც იგივე გამოდის“.

სპეციალისტები ამბობენ, რომ მხოლოდ მძიმე ჩანთა ბავშვის ჯანმთელობას საფრთხეს ვერ შეუქმნის. თუმცა თუ გავითვალისწინებთ, რომ ხშირად მოსწავლეები მერხთან წელში მოხრილები სხედან და უმეტესო-



ბა სპორტს არ მისდევს, ამ ყველაფერმა შეიძლება მოგვიანებით ხერხემლის გამრუდების ან სხვა დაავადების სახით იჩინოს თავი.

თამარ ბერულავა, *სკოლა-ლიცეუმ „აიას“ დირექტორის მოადგილე:* „სახელმძღვანელოები მართლაც მძიმეა და ბავშვებიც სულ წუწუნებენ. ბევრს წიგნები დაშლილი აქვს და ნაწილ-ნაწილ დააქვს. ან ორ მოსწავლეს ერთი წიგნი მოაქვს და მერხზე ერთად უდევთ. შედარებით პატარებს ბორბლებიანი ჩანთებიც აქვთ და მოაგორებენ ხოლმე. ადრე ამხელა წიგნები არ იყო, თუმცა ახლანდელი სახელმძღვანელოები ბევრად უკეთესია“.

კარგი და მძიმე თუ ცუდი და მსუბუქი? გამომცემელმა ბაკურ სულაკაურმა თავის დროზე არჩევანი პირველზე შეაჩერა და ახლა სახელმძღვანელოებს სწორედ ამ პრინციპით ბეჭდავს. მისი აზრით, მეორე ვარიანტი რომ აერჩია, წიგნს განათლების სამინისტრო სახელმძღვანელოს გრიფს არ მიანიჭებდა. როგორც ამბობს, სასკოლო წიგნების წონა მთელი მსოფლიოს პრობლემაა.

ძველი სახელმძღვანელოები დაბალი ხარისხის ქაღალდზე იბეჭდებოდა. ამგვარი ფურცლებით წიგნის აკინძვა დღესაც შეიძლება, მაგრამ მასზე ფერადი ილუსტრაციების დატანა შეუძლებელია. სახელმძღვანელოს გრიფირების ერთ-ერთი კრიტერიუმი კი ასეთია: „სახელმძღვანელოში ინფორმაციის მიწოდების მრავალი საშუალებაა გამოყენებული (ტექსტი, ილუსტრაცია, სქემა, ცხრილი, გრაფიკი და სხვ.) სახელმძღვანელოს შინაარსი (ტექსტი, ილუსტრაცია) თანამედროვეა და გემოვნებითაა შერჩეული“.

ბაკურ სულაკაური, *გამომცემელი:* „თუ გაზეთის ქაღალდზე წვრილი შრიფტით შავ-თეთრად დაბეჭდავ, წიგნი მართლაც მსუბუქი იქნება, მაგრამ გვინდა ასეთი წიგნი? რა გვირჩევნია, უხარისხო განათლება თუ მძიმე ჩანთა? არსებობს გამოსავალი: მაგალითად, მერხზე ერთად მსხდომი ბავშვები შეიძლება შეთანხმდნენ და სამი წიგნი ერთმა ატაროს, სამი – მეორემ. შესაძლებელია ასევე სახელმძღვანელოების ნაწილებად დაბეჭდვა, თუმცა ეს მშობლებს უფრო ძვირი დაუჯდებათ. ერთხელ დავბეჭდეთ ასე, მაგრამ ყველამ მხოლოდ პირველი ნაწილი იყიდა, მეორე კი – არა. ვისაც საშუალება აქვს, შეუძლია, ბავშვს ორი წიგნი უყიდოს. ერთით სახლში იმეცადინებდა, მეორეთი – სკოლაში“.

ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრის წარმომადგენელი დოდო სალაყაია ამბობს, რომ არასრულწლოვანს საკუთარი წონის 15%-ის სიმძიმის ტვირთის ტარება შეუძლია. გარდა ამისა, ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს იმასაც, თუ როგორ მართავს მასწავლებელი გაკვეთილს. მისი აზრით, ჯგუფური მუშაობის დროს წიგნი ყველას არ სჭირდება. არის ისეთი შემთხვევებიც, როცა პედაგოგები გაკვეთილზე წიგნის უქონლობის გამო მოსწავლეებს ნიშნის დაკლებით ემუქრებიან. დოდო სალაყაიას თქმით, ამის გამო ბავშვს ნიშანი არ უნდა დააკლდეს: „მასწავლებლები ხშირად არ ითვალისწინებენ ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნას: საგნის ნიშანი გამოხატავს მოსწავლის აკადემიურ მოსწრებას. ამიტომ არასათანადო საქციელისათვის მოსწავლე საგნის ნიშნით არ უნდა დაისაჯოს“.

მასწავლებლებს წიგნების წონასთან დაკავშირებული პრობლემების მოგვარება განათლების ხარისხისთვის საფრთხის შექმნის გარეშეც შეუძლიათ. სპეციალისტები სკოლებს კონკრეტულ რეკომენდაციებს სთავაზობენ:

- კლასში და/ან სკოლაში წიგნების ფონდის შექმნა, სადაც გარკვეული რაოდენობის სახელმძღვანელოები იქნება თავმოყრილი – ფონდის წიგნებით მოსწავლეები გაკვეთილებზე ისარგებლებენ;
- თუ სკოლას საშუალება აქვს, მასწავლებელს შეუძლია იმ მასალის ქსეროასლი გადაიღოს, რომელიც უშუალოდ გაკვეთილზე სჭირდებათ მოსწავლეებს;
- მასწავლებელმა გვერდიგვერდ მსხდომ მოსწავლეებს ერთი წიგნით სარგებლობის ნება უნდა დართოს;
- სასურველია წყვილებსა და მცირე ჯგუფებში მუშაობა, რომელიც შეიძლება ისე დაიგეგმოს, რომ თითო ჯგუფისთვის ერთი ან ორი წიგნის მოტანა იყოს საკმარისი. მოსწავლეები მასწავლებელთა დახმარებით თანხმდებიან, რომელმა რომელი საგნის სახელმძღვანელო უნდა ატაროს;
- თუ სასწავლო პროცესის დაგეგმვისას მასწავლებლები სისტემატურად ითანამშრომლებენ, ისინი ამ პრობლემის გადაჭრას შეძლებენ – თუნდაც გაკვეთილების დაწყვილებით, რაც სატარებელი სახელმძღვანელოების რიცხვს შეამცირებს.
- მშობლებმა უნდა ეცადონ, ბავშვს მისი სიმაღლისა და წონის შესაფერისი, ხარისხიანი ზურგჩანთა შეურჩიონ. ჩანთა მაქსიმალურად მოხერხებული უნდა იყოს წიგნების სატარებლად.
- მშობლებიც და მასწავლებლებიც უნდა ეცადონ, ბავშვს მერხთან გამართულად ჯდომის ჩვევა განუვითარონ.



ჭოლა
– რეჟისორი და მასწავლებელი

„ტანსაცმლისა და საჭმლის გარდა, ბავშვებს სულიერი საკვებიც სჭირდებათ“ – ლევან წულაძე

თამარ კაციტაძე

„პლეხანოვზე, 24-ე სკოლაში ვსწავლობდი. ფრიადოსანი არა, მაგრამ მთლიანობაში ოთხნახევრიანი შეფასება მქონდა. მიუხედავად იმისა, რომ ცუდი მოსწავლე არ ვიყავი, ასეთი „სპორტი“ მქონდა – ბევრს დავდიოდი „შატალოზე“, მარტოც კი. სხვა დიდი დანაშაულები არ მქონდა. ვსწავლობდი გაცილებით მეტს, ვიდრე დღევანდელი ბავშვები“. – მოსწავლეობის ხანას კოტე მარჯანიშვილის სახელობის თეატრის მთავარი რეჟისორი ლევან წულაძე (ჭოლა) იხსენებს. დღეს იგი თავადაც მასწავლებელია, ამ სიტყვის პირდაპირი და გადატანითი მნიშვნელობით: თეატრალურ ინსტიტუტში ასწავლის და ქმნის სპექტაკლებს – ჭოლა ის რეჟისორია, რომელმაც ახალგაზრდა მაყურებელი თეატრში დააბრუნა.

> მჯერა, რომ მასწავლებლობა დედამიწის ზურგზე ყველაზე კეთილშობილური საქმიანობაა.

როგორი იყო სკოლა, მაშინ, როცა თქვენ სწავლობდით?

დღეს მგონია, რომ მეთოდი, რომლითაც გვასწავლიდნენ, კარგი იყო. ჩვენს დროს გაცილებით რთული იყო სწავლა. შეიძლება მშურს ჩემი შვილის, იმიტომ რომ ცოტას სწავლობს, მე კი მის ასაკში ძალიან დატვირთული ვიყავი და თავისუფალი დრო, ფაქტობრივად, არ მქონდა. მეორეა ის უარყოფითი მხარე, რაც მაშინდელ სკოლას ჰქონდა. იმ პერიოდში სკოლაზე იმაზე მეტ ცუდ რაღაცეებს ვიგებდით, ვიდრე საჭირო იყო. იმის გამო, რომ უმაღლესში ჩაბარებისას ყურადღება ექცეოდა ატესტატს, მოსწავლეები დამოკიდებული ვიყავით მასწავლებლებზე, რომ ნიშანი არ გაეფუჭებინათ. იყო ამაზე ნერვიულობა, ზედმეტი ღიმილები და საჩუქრები. მაგალითად, ქრთამები, რომელსაც პირდაპირ, ღიად იღებდნენ პედაგოგები. მშობლები მაშინაც ზედმეტად ზრუნავდნენ შვილებზე და ნიშნებში ფულს იხდიდნენ. ჩემს მშობლებს ამ ყველაფრის ძალიან რცხვენოდათ, სულ მიხსნიდნენ, რომ ასეთი მოსწავლეები უცოდინრები რჩებოდნენ. ბებიაჩემს გიმნაზია ჰქონდა დამთავრებული და ქართულის გარდა, სამი ენა იცოდა: ლათინური, ფრანგული და რუსული. კარგად იცოდა ფილოსოფია, მათემატიკა. ვისაც გიმნაზია ჰქონდა დამთავრებული, განათლებულ ადამიანად ითვლებოდა და არა უბრალოდ წერა-კითხვის მცოდნედ – ჩემთვის იდეალური სკოლა ასეთია.

ადამიანს, რომელიც სკოლას ამთავრებს, აუცილებლად უნდა ჰქონდეს განათლების საფუძვლები, რომ განათლებულ კაცად ჩათვალოს თავი და არა უბრალოდ ადამიანად, რომელმაც სკოლაში მერხთან ჯდომა ისწავლა, ასოებს არჩევს და საკუთარ ჯიბეში ფულის დათვლა შეუძლია.

რამდენად გაკმაყოფილებდათ მაშინ თქვენი მასწავლებლების დონე?

გააჩნია საგანს. ზოგიერთი მასწავლებელი ძალიან მომწონდა და მიყვარდა, ზოგი – არა. ინგლისურის მასწავლებელი ლია ბურჭულაძე არაჩვეულებრივი ქალბატონი იყო და მიყვარდა, არა მხოლოდ როგორც მასწავლებელი, არამედ როგორც ადამიანი. ეს ძალიან მნიშვნელოვანია. კარგი მასწავლებლები მყავდნენ ფიზიკაში, ქიმიაში, ასტრონომიაში და ასე შემდეგ. რუსულის მასწავლებელი უფრო სუსტი იყო, შეიძლება იმიტომ, რომ მე თვითონ ბევრს ვკითხულობდი და მიყვარდა ლიტერატურა. ერთხელ მახსოვს, კლასიდანაც კი გამაგდო. ჩვენს დროს ლიტერატურისადმი ძალიან არასასიამოვნო იდეოლოგიური მიდგომა იყო. გვასწავლიდნენ, თითქოს ლევ ტოლსტოიმ „ომი და მშვიდობა“ იმიტომ დაწერა, რომ ხაზი გაესვა სამამულო ომში ხალხის როლისათვის. არადა, ამ ნაწარმოებში ხალხის არანაირ როლზე არ არის აქცენტი. იქ ყველა ოფიცერია, მხოლოდ ერთი ფატალისტი გლეხია, რომელიც სწორედ იმიტომ კვდება, რომ ხელს არ ანძრევს – ეს ჩემი მოსაზრება ვუთხარი მასწავლებელს და მეჩხუბა. მერე პირდაპირ ვუთხარი, როგორც ჩანს, თქვენ არ გაქვთ წაკითხული „ომი და მშვიდობა“-მეთქი. ალბათ, მართალი აღმოვჩნდი და კლასიდან გამაგდო. ეს იყო ჩემი პირველი დაპირისპირება მასწავლებელთან.

ბავშვისთვის თეატრში წასვლა განსაკუთრებული მოვლენა, ამაღლებული განცდა უნდა იყოს და არა უბრალოდ გაკვეთილების გაცდენის სიხარული.

თქვენი შვილის მაგალითზე, როგორ აფასებთ დღევანდელ სკოლას? ისიც გეთანხმებათ, რომ სწავლა ახლა ადვილია?

ჩემმა შვილმა რომ მითხრას, სწავლა ადვილიაო, ალბათ გავგიჟდები. იგი მეშვიდე კლასშია და ჩვეულებრივად სწავლობს, ხან ზარმაცობს, ხან არა. ჯერ პატარაა და მისთვის უფრო მნიშვნელოვანია მეგობრები, გოგოების ამბები. ახლა გადმოვიყვანე 24-ე, ანუ ჩემს სკოლაში და ძალიან მომწონს. სხვა სკოლაზე ცუდს არაფერს ვიტყვი, თუმცა ამაზე ბევრი კარგის თქმა შემიძლია. მაგალითად, ბავშვმა ორი დღე გააცდინა სკოლა, მასწავლებელმა მაშინვე დაგვირეკა და გვისაყვედურა, სკოლას ნუ აცდენინებთო. მოკლედ, მშობლები გაგვლანძღეს. ძალიან გამიხარდა.

დედათქვენი სკოლაში არ ასწავლიდა, მაგრამ უმაღლეს სასწავლებელში ლექტორი იყო. რას ნიშნავს, იყო პედაგოგის შვილი?

დედაჩემი უხუცესი პედაგოგია, იგი 80 წლამდე უცხო ენების ინსტიტუტში კითხულობდა ლექციებს. მისთვის ძალიან მნიშვნელოვანია პედაგოგიკა და მეც მჯერა, რომ მასწავლებლობა დედამიწის ზურგზე ყველაზე კეთილშობილური საქმიანობაა.

დედაჩემი დღემდე ნერვიულობს, თუ ინსტიტუტში ლექციებს არ ვკითხულობ. თეატრალურ ინსტიტუტში არ ხდება ისე, ლექცია წაიკითხო და წახვიდე. დღე და ღამე სულ სტუდენტებთან უნდა იყო. სტუდენტების ღალატი არ შეიძლება. ახლა ვკითხულობ ლექციებს, რეჟისორებთან გავბედე. პირველ კურსზე კიდევ არა უშავს, თეორიული საუბრები გვაქვს და თან სულ აქ, მარჯანიშვილის თეატრში არიან რეპეტიციებზე.

სტუდენტები უმაღლესში მეტწილად სკოლის დამთავრებისთანავე ხვდებიან. თქვენ მათთან უშუალო შეხება გაქვთ. როგორია მათი განათლების დონე, არიან მზად დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის?

შეიძლება ძალიან ძველმოდური გამოვჩნდე, მაგრამ არ ვიქნები პირველი, ვინც ამას ამბობს – განათლების თვალსაზრისით არანაირი შედარება არ შეიძლება ჩვენი და ახალი თაობის. ძალიან დაბალი დონეა. განსაკუთრებით იმ თაობებში, რომელთა ბავშვობის ზურგზეც გადაიარა ომებმა, არეულობებმა და ქვეყნის პოლიტიკურმა კატაკლიზმებმა. ამ პერიოდში, ფაქტობრივად, ყველაფერი მოიშალა. გარდა იმისა, რომ მათ აშკარად ნაკლები ცოდნა და განთლება აქვთ, მე ვხედავ და უფრო მეტად განვიცდი იმას, რაც ყველაზე საშიშია. მათ არ სჯერათ, რომ განათლება საჭიროა. ყველაზე ცუდია, როდესაც ადამიანი არ გრძნობს ცოდნის აუცილებლობას. რეფორმირებული სკოლის მოსწავლეებზე ამ ეტაპზე ვერაფერს ვიტყვი, რადგან ეს თაობა ჯერ არ მოსულა ინსტიტუტში, ყოველ შემთხვევაში – ჩემთან. ისინი ჯერ კიდევ სკოლაში სწავლობენ. ამ თაობაზე ალბათ სამ-ოთხ წელიწადში შეგვეძლება ლაპარაკი. განათლების რეფორმას ვუყურებ მხოლოდ ჩემი შვილიდან გამომდინარე. მიხარია, რომ სკოლაში იგი საქართველოს ისტორიას სწავლობს. ჩვენს დროს ეს საგანი კვირაში ერთხელ ისწავლებოდა, დამატების სახით და ატესტატშიც კი არ იყო შეტანილი.

თეატრს გარკვეული საგანმანათლებლო როლი აქვს. კომუნისტების პერიოდში არსებობდა მოზარდმაყურებელთა თეატრი, თუმცა მან მაყურებელი ვერ შეინარჩუნა. თქვენ საქართველოში ახალი ტიპის „სარდაფის თეატრის“ შექმნა და ამ თაობის სპექტაკლებისკენ შემობრუნება შეძელით.

„სარდაფში“ უფრო თინეიჯერობასა და მოზრდილებს შორის თაობა დადიოდა – დაახლოებით ხუთი წლის წინ ჩვენი თეატრის მაყურებელი ახალგაზრდობა იყო. ქვეყანაში მომხდარი კატაკლიზმების დროს თეატრს აშკარად გაუწყდა კავშირი თავის მაყურებელთან. ჩემი ბავშვობის დროს ბევრ ოჯახში ტრადიცია იყო, რომ თვეში სამჯერ, ოთხჯერ მაინც უნდა წავსულიყავით თეატრში. ჩემი მშობლები, მეზობლები და საერთოდ, თითქმის მთელი თბილისი თვლიდა, რომ პრემიერაზე დასწრება აუცილებელი იყო. ნებისმიერი ფენის თუ სოციალური მდგომარეობის მშობელი შვილს უშვებდა თეატრში და ბავშვიც სიხარულით მიდიოდა. მაშინ კარგად ესმოდათ, რომ ბავშვებს მარტო საჭმელი და ტანსაცმელი არ სჭირდებათ. მათთვის აუცილებელია სულიერი საკვები. ყველამ კარგად იცის და ყველა ქვეყანაში ასეა. თეატრში არისტოკრატია და ელიტა მხოლოდ პრემიერაზე დადის, ეს ფენა არ არის თეატრის მაყურებლის ბირთვი. თეატრის მარილი არის ჩვეულებრივი განათლებული ხალხი, ხოლო ელიტაში განათლებულ ადამიანს იშვიათად ნახავთ, რა თქმა უნდა, ინტელექტუალურ ელიტას არ ვგულისხმობ.

დღევანდელი თეატრის საგანმანათლებლო მისია რაში მდგომარეობს?

დღევანდელ თეატრს იგივე მისია აქვს, რაც ილია ჭავჭავაძის დროს. ქართულ თეატრში არაფერი შეცვლილა, ეს არის ადგილი, სადაც „ქართველ კაცს ქართული სიტყვა ქართულად ესმის“, – როგორც ილია ამბობდა. თუმცა ახლა მხოლოდ ენის შენარჩუნებაზე აღარ არის საუბარი. დღეს სულიერების შენარჩუნებაზე, გემოვნების, აზროვნების აუცილებლობაზე ვსაუბრობთ. ამ



ქართულ თეატრში არაფერი შეცვლილა, ეს არის ადგილი, სადაც „ქართველ კაცს ქართული სიტყვა ქართულად ესმის“, – როგორც ილია ამბობდა.

დროში მშობლებს ურჩევნიათ, შვილი კალათბურთზე შეიყვანონ, მაღალი გაიზრდებაო, ან ცურვაზე, მხრები განუვითარდებაო და ამ შედეგს ისინი, სავარაუდოდ, ორ თვეში ხედავენ. თეატრიდან ბავშვი მაშინვე სულიერად გაზრდილი და გალამაზებული არ მოდის. არანაკლებ მნიშვნელოვანია მისი კულტურული აღზრდა, რაც იოლად შესამჩნევი არ არის. ადამიანი თუ წყდება ქვეყნის სულიერ მაჯისცემას, ის წყვეტს კავშირს თავის ქვეყანასთან და ხდება მხოლოდ და მხოლოდ ამომრჩეველი ან მომხმარებელი. ანუ მისი ფუნქციაა შეასრულოს ის, რასაც კარნახობს ტელეეთერი ან რეკლამა. ამის

მიღმა რაც არის ადამიანის ფუნქცია სამყაროში, ველარ აცნობიერებს. სამწუხაროდ, დღეს თეატრიც ველარ ბედავს იმის თქმას, რასაც ადრე ბედავდა. თეატრი ახლა უფრო ეპრანჭება მაყურებელს, რომ მოიზიდოს იგი. რა ქნას, ეს ისეთი ორგანიზმია, რომელიც მაყურებლის გარეშე ვერ იარსებებს.

საბჭოთა პერიოდში არსებობდა სკოლის მოსწავლეების გეგმიური სვლები თეატრში. ამას, რასაკვირველია, სხვა მიზანი ჰქონდა და არა ახალგაზრდების სულიერი აღზრდა. როგორ ფიქრობთ, დღეს რა როლი შეუძლია ითამაშოს თეატრმა ბავშვების აღზრდისა და განათლების კუთხით? სკოლისა და თეატრალური სამყაროს თანამშრომლობას აქვს პერსპექტივა?

თეატრისადმი გეგმიური მიდგომაა ის, რომ აბონემენტები არსებობდა. აბონემენტის სისტემა არის გაჭირვების სისტემა, ეს არ არის კულტურული ქვეყნის ნიშანი. კარგია, მოზარდს თუნდაც ამ გზით რომ მიიყვან თეატრში, მაგრამ ეს არ უნდა იყოს იძულება. სასურველია, ინიციატივა პირდაპირ სკოლებიდან წამოვიდეს. სხვათაშორის, გვაქვს პრაქტიკა, როდესაც სკოლა წინასწარ გვითანხმდება და სპექტაკლზე ბავშვები მოჰყავთ. ფასდაკლებაც გვაქვს. ასეთი შემთხვევა განსაკუთრებით ხშირია „ქაქუცა ჩოლოყაშვილზე“. ბავშვისთვის თეატრში წასვლა განსაკუთრებული მოვლენა, ამაღლებული განცდა უნდა იყოს და არა უბრალოდ გაკვეთილების გაცდენის სიხარული.

სპექტაკლი „ქაქუცა ჩოლოყაშვილი“ მართლაც იყო მოვლენა საგანმანათლებლო კუთხით. მომავალში თუ გაქვთ მსგავსი პროექტები გეგმაში?

ამჟამად გიორგი მაზნიაშვილზე ვმუშაობთ, რაც სწორედ ჩოლოყაშვილის გზის გაგრძელებაა. ეს ჩემთვისაც საინტერესოა, რადგან საქართველოს ისტორია არც მე ვიცი კარგად. სამწუხაროდ, პარტისტორია უკეთესად მასწავლეს.

რას ურჩევდით მასწავლებლებს? თქვენი აზრით, როგორ უნდა მივიღოთ უკეთესი, უფრო ხარისხიანი სასკოლო განათლება?

მე განათლების სპეციალისტი არ ვარ. ერთადერთი რჩევაა, იქნებ უფრო მეტად დატვირთონ მოსწავლეები, რადგან ბავშვობაში თუ არა, მერე აღარაფერს ისწავლიან. მოსწავლეებს კი ცოდნისადმი მეტ სიყვარულს



ყველაზე ცუდია ის, როდესაც ადამიანი არ გრძნობს ცოდნის აუცილებლობას.

ვურჩევ. მხოლოდ ამ ასაკში და მერე რამდენიმე წელი ინსტიტუტში იძენ ცოდნას და შემდეგ ხდები ადამიანი. განათლებული ადამიანი ყოველთვის სჯობს გაუნათლებელს. ეს დრომ მოიტანა, რომ გაუნათლებელი, ცუდი ადამიანი ხანდახან ხდება წარმატებული. მაგრამ რაც დრომ მოიტანა, დროვე წაიღებს. ცოტა შორს გაიხედეთ – „ცოდნა სიკვდიმდე შენია, მუდამ შენთანა მყოფელი, მას გეცილების ვერავინ, არ არის გასაყოფელი“. ბიჭებმა განსაკუთრებულად უნდა შეისმინონ, რადგან უცოდინარი მამაკაცი საშინელებაა. ჩვენთან სკოლას „ბავშვები“ ამთავრებენ. სწორედ ეს განგვასხვავებს დასავლური სკოლისაგან. უცხოეთში აბიტურიენტი უკვე პიროვნებაა, რომელიც თავის მომავალზე ფიქრობს და იცის, რა უნდა. ჩვენი სკოლადამთავრებული კი „ჯერ ბავშვია“ და ბავშვობაშიც სწორედ უცოდინრობის გამო რჩება.



თიხაში გაცოცხლებული ფანტაზია

ხელოვნების გაკვეთილის ხელოვნება –
როცა შემოქმედება სასწავლო პროცესის ნაწილია

როგორ ვასწავლოთ ხელოვნება ისე, რომ გაკვეთილი საინტერესო გახდეს, მიღებული ცოდნა კი პრაქტიკულად გამოყენებადი იყოს? ბათუმის №2 საჯარო სკოლაში ამ მიმართულებით საინტერესო გამოცდილება აქვთ. სკოლის კურსდამთავრებულები ატესტატთან ერთად სახელობო სერტიფიკატსაც იღებენ. აქ გაკვეთილი არა მხოლოდ სასწავლო, არამედ შემოქმედებითი პროცესია.

მარინე კუპრეიშვილი

სკოლის ეზოში პატარა სახელოსნოა. მწვანედ შეღებილი კარის მიღმა მოსწავლეები საკუთარ ფანტაზიას თიხაში, ხესა და ქსოვილში აცოცხლებენ. ბათუმის №2 საჯარო სკოლის მასწავლებელმა, ლია კასპელაშვილმა ხელოვნების გაკვეთილების საკლასო ოთახში ჩატარებაზე უარი თქვა, მოსწავლეები შემოქმედებით პროცესში ჩართო და ამ გარემოში მათ მოქმედების თავისუფლება მისცა. მის გაკვეთილებზე ბავშვები არა მხოლოდ სწავლობენ, არამედ ქმნიან.

ხელოვნება, როგორც საგანი ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში უკვე სამი წელია, მე-7 კლასიდან ისწავლება. ლია მასწავლებლის თქმით, თუ ბავშვი თეორიასთან ერთად პრაქტიკითაც არის დაკავებული, მისთვის სწავლა უფრო საინტერესო

ხდება. ლია მასწავლებელმა სამი წლის წინ სკოლის ადმინისტრაციას შრომის გაკვეთილების გამოყენებითი ხელოვნებით ჩანაცვლების წინადადებით მიმართა.

ლია კასპელაშილი, *ბათუმის №2 საჯარო სკოლის მასწავლებელი:* „შევეცადე, შრომა ხელოვნების დონეზე ამეყვანა. რა თქმა უნდა, ბავშვების ნამუშევრები შორს არის ხელოვნების ნიმუშებისაგან, მაგრამ ისინი ნამდვილად საავტორო და ექსკლუზიურია. ვაჟებმა უპირატესობა კერამიკას მიანიჭეს, თუმცა ამ მხრივ დაინტერესებას გოგონებიც იჩენენ. მათი დიდი ნაწილი საკუთარი ძალების მოსინჯვას ხალხური რეწვის ისეთ დარგებში ცდილობს, როგორიცაა: ქსოვა, მცირე ქარგვის ელემენტები, ქსოვილზე მუშაობა – თექა, ბატიკა და გობელენი. როდესაც პროფესიად ხელოვნებათმცოდნეობა ავირჩიე, გადავწყვიტე, ამ საკითხს სერიოზულად მივდგომოდი. ბევრს ვკითხულობდი და ვეძებდი, ინტერნეტში ვიქექებოდი, ვცდილობდი, გავრკვეულიყავი, როგორ მემოქმედა. დღემდე ვსწავლობ და ვიღრმავებ ცოდნას. ჩემთვის საინტერესოს ხშირად ვუბრუნდები, რადგან ბევრი ახალი – კარგად დავიწყებული ძველია“.

სწავლების მეთოდი ლია კასპელაშვილმა პირად გამოცდილებასა და პრაქტიკაზე დაყრდნობით, სათანადო ლიტერატურის გამოყენებით და ადგილობრივი სპეციფიკის გათვალისწინებით, თავად შეიმუშავა. იმის გამო, რომ მე-12 კლასისათვის სპეციალური ლიტერატურა არ არსებობს, ცდილობს ბავშვებს ტექნოლოგიის საკითხებზე მის მიერვე შედგენილი კონსპექტები მიაწოდოს. აქ უკვე კარგად იციან, რამდენ გრადუსზე იწვება თიხა, როგორ ხდება მისი გამოშრობა და ა.შ.

ქალბატონი ლია თავის დროზე განათლების სამინისტროს ვებ-გვერდზე განთავსებულ საკონკურსო განცხადებას გადააწყდა: „სახელობო სწავლების ინტეგრირება სასკოლო სწავლებისთვის მე-11-12 კლასებში“. მან პროექტი მოამზადა და სახელოსნოს უკეთ მოსაწყობად ორი სასწავლო გრანტი მოიპოვა. სკოლამ დამატებითი მასალები შეიძინა, ტექნიკური ღუმელიც დაამონტაჟა. მოიწვიეს ქსოვილების სპეციალისტიც – ხელოვნების ინსტიტუტის კურსდამთავრებული ნესტან ნიჟარაძე.

მე-12 კლასის მოსწავლეები გამოყენებით ხელოვნებას, მოპოვებული გრანტის წყალობით, უფრო საფუძვლიანად სწავლობენ. ეს არის ექსპერიმენტი – საპილოტე სწავლება უფროსკლასელთათვის, რომლებმაც გამოყენებითი ხელოვნების დაწყებითი კურსი გაიარეს. ისინი ხალხური რეწვის დარგებს კარგად იცნობენ და მე-11-12 კლასში უკვე თავისი ნებით ირჩევენ ამ საგანს. პროექტის მიხედვით, ორი წლის შემდეგ, კერამიკისა და ქსოვილების განყოფილების შესწავლის დასრულებისას, ეს ახალგაზრდები ატესტატთან ერთად სერტიფიკატსაც მიიღებენ.


ლია კასპელაშვილი ამბობს, რომ მოზარდები იმ ხელობას სწავლობენ, რაც შესაძლოა, მათთვის დამატებითი შემოსავალისა და დამოუკიდებლად არსებობის წყაროდ იქცეს. „ბავშვებისთვის დიდი სტიმულია, როცა საკუთარი ნამუშევრები გამოფენა-გაყიდვებზე გააქვთ და ისინი მოწონებით სარგებლობენ. მათ შემოსავლის საკუთარი წყარო უჩნდებათ და დაინტერესებაც იზრდება“, – ამბობს ლია მასწავლებელი.

ლევან ჯიბლაძე, *ბათუმის №2 საჯარო სკოლის მოსწავლე:* „ბავშვობაში კარგად ვხატავდი. როცა საგნების არჩევის დრო დადგა, შემთხვევით მოვხვდი ხელოვნების გაკვეთილზე. პირველად რომ შევეხე თიხას და ძერწვა დავიწყე, მეტის გაკეთება მომინდა. უკვე რამდენიმე ნაკეთობა დავამზადე. ამჟამად საკანფეტე ლარნაკზე ვმუშაობ. დღეს „გავლაქავ“. მალე ყველა სამუშაოს დავასრულებ და მინდა სახლში წავიღო, ოჯახის წევრებს ვაჩვენო ჩემი ნახელავი. აქ მთელი კლასი ინტერესით მოვდივართ. გარდა იმისა, რომ კარგი გარემოა, ხელოვნების ისტორიაზე ბევრ საინტერესო და სასარგებლო ამბავსაც ვიგებთ“.









სკოლა, რომელსაც თეთრ სახლშიც იცნობენ

გავაზის სკოლის მოსწავლეები სხვა საგნებთან ერთად სოფლის მეურნეობასაც ეუფლებიან

სკოლას სასწავლო პროგრამის ადგილობრივ სპეციფიკაზე მორგება შეუძლია – ყვარლის რაიონის გავაზის საჯარო სკოლაში სოფლის მეურნეობა სასწავლო პროგრამის ერთ-ერთი მთავარი ელემენტია. აქ დონორ ორგანიზაციებთან თანამშრომლობისა და საერთაშორისო პროექტების წარმატებით განხორციელების გამოცდილებაც აქვთ. მომავალ სასწავლო წელს კი გავაზელები ამერიკული სტანდარტებით აშენებულ ახალ სკოლაში შეხვდებიან.

ნინო კოშაძე

სპეციალურად „მასწავლებლისათვის“, კახეთიდან

დღე გავაზის სკოლაში საქმიანი ფუსფუსით იწყება: სკოლის ეზოში არსებული სასათბურე მეურნეობა, სადაც მოსწავლეები სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოყვანას ეუფლებიან, უნდა მოირწყას და გაიმარგლოს. კიტრის და პომიდვრის მაღალპროდუქტიულ ჯიშებთან ერთად მოზარდები ყვავილოვანი და ჩინური კომბოსტოს ჩითილებსაც უვლიან და მწვანილიც მოჰყავთ.

მიზანი ერთია – სოფლის მეურნეობისათვის საჭირო გამოცდილების შეძენა და სხვა პროექტებისთვის საჭირო თანხების მოძიება საკუთარი პროდუქციის რეალიზების გზით.

პაატა ბერიაშვილი, *გავაზის სკოლის დირექტორი:* „გვინდოდა, მომავალი თაობა აქტიურად ჩაგვერთო სოფლის მეურნეობის შესწავლის პროცესში და პარალელურად მოს-

წავლეთათვის ბიზნეს-საქმიანობის, ლიდერობის ელემენტარული უნარ-ჩვევები გაგვევითარებინა. ამერიკის შეერთებული შტატების სოფლის მეურნეობის სახელმწიფო დეპარტამენტის ხელმძღვანელი რობერტ პერსიკო ჩვენი პროექტით დაინტერესდა, რომლის მიზანიც ამ დარგის სკოლაში შეტანა იყო. ათკაციანი ჯგუფი აშშ-ში, კალიფორნიის შტატის სოფელ ესპატოში გავემგზავრეთ, სადაც ახალგაზრდა ამერიკელ ფერმერთა ორგანიზაციის საქმიანობას გავეცანით. მსგავსი ტიპის ორგანიზაციის ჩვენთან, გავაზში დაფუძნების იდეაც გაგვიჩნდა“.


გავაზელების მიერ შექმნილი FFG-ს, ანუ „საქართველოს მომავალ ფერმერთა ორგანიზაციის“ პროექტი რაიონის ფარგლებს უკვე გასცდა – ამერიკულმა მხარემ მისი განხორციელება მთელი საქართველოს მასშტაბით გადაწყვიტა. შეირჩა შვიდი საპილოტე სკოლა, რომლებშიც მომავალ ფერმერთა ორგანიზაციები ჩამოყალიბდა. ამერიკის სოფლის მეურნეობის წარმომადგენლობამ, ამ ორგანიზაციის ხელშეწყობის მიზნით, საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტთან (GIPA) ხელშეკრულება გააფორმა. მუშაობა ამ სასწავლებლის სოფლის მეურნეობის განვითარების განყოფილების ხელმძღვანელობით გაგრძელდა. განხორციელდა პროექტები პარტნიორ სკოლებშიც – აშენდა სასათბურე მეურნეობები, შეიძინეს ფუტკარი და გაიყვანეს თანამედროვე სარწყავი სისტემები.



ლაშა გიორგაშვილი, *გავაზის სკოლის მე- 11 კლასის მოსწავლე:* „FFG-მ საშუალება მომცა ძალიან ბევრი გამეგო სოფლის მეურნეობის თანამედროვე ტექნოლოგიებისა და მიღწევების შესახებ და შრომის ფასიც მესწავლა. ახლახანს ვიმყოფებოდით სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში ტრენინგზე, სადაც ახალი ტექნიკა გაგვაცნეს და საჭირო რჩევებიც მოგვცეს“.

განხორციელებულმა პროექტებმა გავაზის სკოლას სხვა მნიშვნელოვანი კონტაქტების დამყარების საშუალება მისცა. 2003 წელს კახეთში სტუმრობის შემდეგ მარკ პერკინსმა საკუთარ დას, ქეთი პერკინსს შთაბეჭდილებები გაუზიარა. კაიროს უნივერსიტეტის თანამშრომელმა, ქეთი პერკინსმა გავაზის სკოლის გამოცდილებით ეგვიპტელები დააინტერესა და გაცვლითი პროგრამაც დაიგეგმა: 2008 წლის გაზაფხულზე 17 ეგვიპტელმა სტუდენტმა და ორმა პროფესორმა ორი კვირა გავაზში გაატარა, შემოდგომაზე კი ქართული სოფლიდან შვიდკაციანი ჯგუფი ერთი კვირით კაიროში გაემგზავრა.

ნინო ხუციშვილი, *გავაზის სკოლის 11-ე კლასის მოსწავლე:* „ეგვიპტეში მოგზაურობა ჩემთვის დიდი ცხოვრებისეული გამოცდილება იყო. თითოეულ მათგანთან, ვინც ეგვიპტეში გავიცანი, დღემდე მაქვს ურთიერთობა და მომავალში არაერთი პროექტის განხორციელებას ვაპირებთ“.



შემოდგომაზე ახალ სასწავლო წელს გავაზელები 600 მოსწავლეზე გათვლილ, ამერიკული სტანდარტებით აგებულ ახალ სკოლაში შეხვდებიან, რომლის მშენებლობაც 2006 წელს, პროექტ „იაკობ გოგებაშვილის“ ფარგლებში, მსოფლიო ბანკის ფინანსური მხარდაჭერით დაიწყო. სკოლა დღემდე ორცვლიან რეჟიმში მუშაობს. დირექტორი აცხადებს, რომ ფართი მცირეა და პირობებიც საკმაოდ არასახარბიელოა. „გავაზის საშუალო სკოლა 1968 წლიდან არსებობს. სოფელი დიდია, მოსწავლეთა რაოდენობა კი – მზარდი. ახალ შენობაზე არც მიოცნებია. 2005 წელს ვაუჩერული სისტემა შემოვიდა და სკოლას შემოსავალი გაუჩნდა. განათლების სამინისტროს 8 ახალი საკლასო ოთახის მიშენების ნებართვა ვთხოვე, თუმცა მინისტრის მოადგილემ, თემურ სამადაშვილმა გავაზში ახალი სკოლის აშენება შემოგვთავაზა. ეს უდიდესი საჩუქარია ჩვენი სკოლისთვის“, – ამბობს გავაზის სკოლის დირექტორი პაატა ბერიაშვილი.

ქეთი ჭიპაშვილი, *ყვარლის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი:* „გავაზის სკოლა ერთ-ერთი აქტიური სკოლაა არამარტო ყვარლის მუნიციპალიტეტში, არამედ მთელს რეგიონში. მის მიერ განხორციელებულმა FFG პროექტმა მთელი ქვეყნის მაშტაბით ჩართო მოსწავლეები სოფლის მეურნეობის შესწავლის საქმეში. სწორედ ეს არის ამ პროექტის არსი – სიახლე არ უნდა დარჩეს ჩაკეტილი, არამედ უნდა განზოგადდეს და სოფლის მეურნეობის შესწავლის ინტერესი უფრო მეტ მოსწავლეს უნდა გაუჩნდეს“.

რესურსცენტრის ხელმძღვანელი ამბობს, რომ გავაზის სკოლა ერთერთი თვალსაჩინო მაგალითია იმისა, თუ როგორ შეიძლება სასწავლო პროცესის წარმართვა მოსწავლეების ინტერესებისა და ადგილობრივი სპეციფიკის გათვალისწინებით.

გაკვეთილი ორმხრივი მოძრაობით

ავტომობილი, შუქნიშანი და „ზებრა“ გადასასვლელზე – საგზაო უსაფრთხოების წესები მათთვის, ვისაც მართვის მოწმობა ჯერ არ სჭირდება

ირაკლი კოპალეიშვილი

რაზე ფიქრობს თვალდახუჭული მოსწავლე გაკვეთილზე? ზარის დარეკვაზე ოცნებობს, სწორ პასუხს იხსენებს, ან უბრალოდ ეძინება. ვარაუდები არასწორია, ვითარება კი განსხვავებული – ეს ბავშვი ახლა ავტომობილია და მძღოლის ნიშანს ელოდება. ეს 9 წლის ავტომობილი კლასში მარტო არ არის – გაკვეთილზე ასეთი რამდენიმეა. 24-ე საჯარო სკოლის მესამე კლასში საგზაო უსაფრთხოების წესებს სწავლობენ.

ბავშვებმა იციან, რომ ავტომობილი ხმას გამოსცემს, სიგნალი აქვს, ქალაქის ქუჩებში დადის და მას მძღოლი მართავს. გაკვეთილზე ყველა ავტომობილს მძღოლი ჰყავს. მძღოლებმა იციან თავისი უფლება-მოვალეობები: უნდა შეიკრან ღვედები, ყურადღება მიაქციონ და დაემორჩილონ საგზაო ნიშნებს და ავარიის თავიდან ასაცილებლად მანქანა ყურადღებით მართონ. კლასში არიან ფეხით მოსიარულეებიც და შუქნიშნებიც. როლები დანაწილებულია, ყველა მზადაა და მოძრაობა იწყება, დატვირთული და თანაც ორმხრივი. ეს როლური თამაშია, ლია ბედინაძე კი ამ კლასის დამრიგებელია. გაკვეთილზე ის საგზაო მოძრაობის ზედამხედველის ფუნქციას ითავსებს და ბავშვებს როლებს უნაწილებს.

ინტერაქტიული მეთოდი და სასწავლო თამაშები პატარებს განსაკუთრებით მოსწონთ და მცირე ასაკის მიუხედავად, ისინი საგნის მნიშვნელობას კარგად აცნობიერებენ:

9 წლის ალექსანდრე დანელია: „მე ყოველთვის ვიყენებ აქ ნასწავლ წესებს, განსაკუთრებით მაშინ, როცა ზებრაზე გადავდივარ, ან როცა შუქნიშანი ანთია. ეს თამაშები უსაფრთხოებას ეხება და ჩვენ ვხვდებით, რა არის ცუდი, არასწორი და რა არ უნდა გავაკეთოთ“.

ალექსანდრე და მისი თანაკლასელები საპილოტე პროექტის „უსაფრთხო გზები“ მონაწილეები არიან.

ლია ბედინაძე, *24-ე საჯარო სკოლის მასწავლებელი, კლასის დამრიგებელი:* „საგზაო უსაფრთხოების კურსი ბავშვებს ძალიან მოსწონთ. ჩვენ ვასწავლით მათ ფეხით მოსიარულეთა ვალდებულებებს, საგზაო მოძრაობის წესებს, აგრეთვე – რა არის შუქნიშანი და როგორ უნდა მოვიქცეთ ქუჩაზე გადასვლისას. საგანი ინტეგრირებულად ისწავლება და სახელმძღვანელოც მესამე კლასის ბავშვებისთვის მარტივად დასაძლევია“.

საქართველოში საგზაო უსაფრთხოების პრობლემის გადაჭრას თანმიმდევრული და სისტემური მიდგომით სახელმწიფო და არასამთავრობო სექტორი ერთობლივად ცდილობს. არასამთავრობო ორგანიზაცია „პარტნიორობა საგზაო უსაფრთხოებისათვის“ განათლების სამინისტროსთან ერთად ამზადებს სახელმძღვანელოს, რომელიც ეხმარება მასწავლებლებს საგზაო უსაფრთხოების წესების სწავლებაში. ეს სახელმძღვანელო ეფუძნება ევროპული ქვეყნების გამოცდილებას და ადაპტირებულია ქართული რეალობისთვის.

> „მე ვფიქრობ, რომ უსაფრთხოების წესების დაცვა აუცილებელია იმისათვის, რომ არ დავშავდეთ. პირველ რიგში, საჭიროა ქვეითად მოსიარულემ იმოძრაოს სწორად. ღვედიც აუცილებლად უნდა შეიკრა, მნიშვნელობა არ აქვს, წინ ზიხარ თუ უკან. თორემ ავარიის დროს შეიძლება რამე დაიზიანო. მე მოძრაობის წესებს ჩემს პატარა ძმასაც ვასწავლი, რომელიც სამი წლისაა“.
>
> ლუკა ვერულაშვილი, 9 წლის

> „მე გაკვეთილზე დავწერე, რა არ შეიძლება გავაკეთოთ: ავტობუსს არ უნდა შემოვუაროთ არც წინიდან და არც უკანა მხრიდან. ავტობუსში არ შეიძლება ავიდეთ წინა კარიდან. აუცილებელია, ავიდეთ უკანა ან შუა კარიდან. 12 წლამდე არ შეიძლება ავტომობილში წინ ჯდომა. მიწისქვეშა გადასასვლელით უნდა გადავიდეთ მაშინაც, როცა გზაზე მანქანა არ მოძრაობს. ეს ყველაფერი ვისწავლე ჩემი წიგნიდან „ჩვენ ვიცავთ საგზაო წესებს“.
>
> სალომე გულორდავა, 8 წლის



ტროსთან ერთად გასული წლის ნოემბრიდან ახორციელებს საპილოტე პროექტს „უსაფრთხო გზები“. პირველ ეტაპზე ჩატარდა პედაგოგების, ძირითადად კლასის დამრიგებლების ტრენინგები, შემდეგ კი დაიწყო საგზაო უსაფრთხოების კურსის პილოტირება სკოლებში. საქართველოს მასშტაბით, პროექტში 48 სკოლის 10 000 ბავშვია ჩართული. სკოლები კი, სადაც ახალი საგანი ისწავლება, ექვს დიდ ქალაქში შეირჩა (თბილისი, რუსთავი, თელავი, გორი, ქუთაისი და ბათუმი). ჩვენს ქვეყენაში მსგავსი პროექტი პირველად ხორციელდება.

ლიტერატურა და თვალსაჩინო მასალა, რომლითაც სკოლებში სწავლება მიმდინარეობს, უცხოური გამოცდილების გათვალისწინებით, ქართველი ბავშვებისათვის სპეციალურად მომზადდა. სახელმძღვანელოში მარტივად არის ახსნილი თუ როგორ უნდა იმოძრაონ მოსწავლეებმა როცა სახლიდან სკოლაში მოდიან და უწევთ გზის გადაკვეთა იქ სადაც ტრანსპორტი მოძრაობს, ბავშვისთვის გასაგებ ენაზე განმარტებულია თითოეული საგზაო ნიშანი. სასწავლო კურსი თოთხმეტი გაკვეთილისაგან შედგება, კვირაში ერთხელ ტარდება და სხვა საგნებთან ერთად, ინტეგრირებულად ისწავლება.

ეკატერინე ლალიაშვილი, *პროექტის ხელმძღვანელი:* „უსაფრთხო მოძრაობის კულტურა, უსაფრთხოების წესების დაცვა საზოგადოების თითოეული წევრისათვის ჩვეულებრივ ყოველდღიურობად უნდა იქცეს. ჩვენს ქვეყანაში ეს კულტურა ფაქტობრივად არ არსებობს. ადეკვატურად არ ვაფასებთ იმ რისკს, რომელიც ავტოსაგზაო შემთხვევის დროს ჩნდება. ჩვენი მიზანია ადრეულ ასაკში უსაფრთხოების წესების სწავლება, ამ კულტურის დანერგვა, რათა მოზარდები ინფორმირებულნი იყვნენ და სწორი ქცევა ჰქონდეთ შეთვისებული. მონიტორინგმა აჩვენა, რომ ბავშვები ადვილად ითვისებენ საგანს“.

პროგრამის მსვლელობის პარალელურად მოხდა პარტნიორი ორგანიზაციების ერთ სტრუქტურულ ერთეულად ჩამოყალიბება. ორგანიზაციის „პარტნიორობა საგზაო უსაფრთხოებისათვის“ ინიციატივით შეიქმნა ალიანსი „უსაფრთხო გზებისთვის“, რომელშიც თერთმეტი საერთაშორისო, სახელმწიფო, არასამთავრობო და კერძო ორგანიზაცია გაერთიანდა: ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტო (USAID), BP-საქართველო, განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრი, „პარტნიორობა საგზაო უსაფრთხოებისათვის“, ნიდერლანდების სამეფოს საელჩო საქარველოში, აშშ-ს საელჩო საქართველოში, ჟურნალი “AutoBild – საქართველო”, გადაცემა „საიმედო ავტო“ და საქართველოს საავტომობილო ფედერაცია. პროექტის მხარდამჭერია საქართველოს პირველი ლედი სანდრა ელისაბედ რულოვსი.


სიმონ ჯანაშია, *ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრის დირექტორი:* „ბავშვებს ვასწავლით, თუ როგორ უნდა მოიქცნენ მანქანით მგზავრობისას ან ფეხით გადაადგილებისას. პროექტი საინტერესოა იმითაც, რომ ხელს უწყობს მოზარდების სამოქალაქო განვითარებას და მათ პასუხისმგებელ მოქალაქეებად ჩამოყალიბებას. ამ ბავშვებს არ აქვთ მანქანები და არ მართავენ, მაგრამ მნიშვნელოვანია, რომ მათ აითვისონ და თავადაც გაავრცელონ უსაფრთხო მოძრაობის კულტურა – უფროსებსაც მისცენ სწორი მაგალითი და თუნდაც შენიშვნები“.

პროექტი საპილოტეა და წარმატების შემთხვევაში, სხვა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებშიც დაინერგება. ორგანიზაცია „პარტნიორობა საგზაო უსაფრთხოებისათვის“ გეგმავს ახალი ლიტერატურისა და თვალსაჩინოებების მომზადებასაც.









მოგზაურობა ოცნებიდან რეალობაში

„გზა ზუგდიდიდან მესტიამდე ძალიან გაგვიგრძელდა, მეგონა ვეღარ ჩავაღწევდით. კითხვაზე: „მალე ჩავალთ?“, პასუხი ერთი იყო: „ნახევარ საათში“. გზის ბოლოს ულამაზესი სანახაობა გველოდა – მესტია! გარშემო უზარმაზარი მთები, წინ დათოვლილი ბანგურიანი, დალაყორა, სვანური კოშკები, მდინარე მესტიის ჭალა, ბეთქილისწყარო. სვანეთი მართლაც შესანიშნავია!“ – წერს ვივიანა ბაბილაშვილი

სვანეთამდე კი იყო გზა ტაო-კლარჯეთისაკენ.

22-ე საჯარო სკოლის მოსწავლეებისა და მასწავლებლების მოგზაურობის შესახებ სკოლის დირექტორი გულიკო ხორბალაძე და ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი გიული ჩაგელიშვილი მოგვითხრობენ.

„თანამედროვე პედაგოგს, წარმატების მისაღწევად, მოზარდის ფსიქოლოგიის, მისი ინტერესების შესატყვისი მიდგომების გამოყენება მართებს. ამიტომაც ვცდილობთ, ისეთ ინდივიდუალურ გზებს მივაკვლიოთ, რომლებიც მოსწავლეებს აქტიურობისა და ინიციატივის გამოჩენისკენ უბიძგებენ, მოტივაციას აუმაღლებენ, ნებელობით ძალებს განუმტკიცებენ.

სასკოლო ინიციატივების განვითარებაში ძალიან დაგვეხმარა სკოლის ავტონომიური უფლებების გაზრდა, რაც ფინანსური დამოუკიდებლობის მოპოვებაში გამოიხატა. უკვე ორი წელია, ჩვენს სკოლაში უფროსკლასელ მოსწავლეთა შორის გუნდური პროექტების კონკურსი ტარდება. 2007 წლის ივნისში, საქართველოს ისტორიისა და საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრის მხარდაჭერით (ხელმძღვანელი და პროექტის თანაავტორი მ. ზაქარიაშვილი), ჩატარდა პირველი კონკურსი: „ფიქრები ტაო-კლარჯეთზე“. რაიონის მეწარმეებსა და მშობლებთან თანამშრომლობით გამარჯვებულთა წასა-



ხალისებლად საჭირო თანხაც გამოიძებნა. კონკურსის ფარგლებში სამი ეტაპი გამოიყო: კვლევის, პრეზენტაციისა და მოგზაურობის. ასე რომ, მონაწილეებს სამი სხვადასხვა დავალება უნდა შეესრულებინათ:

პირველ ეტაპზე მოსწავლეები მკვლევარები იყვნენ. მათ თემები შეარჩიეს და მუზეუმების, საჯარო ბიბლიოთეკის რესურსისა და ინტერნეტის გამოყენებით ტაო-კლარჯეთის შესახებ საინტერესო მასალა შეაგროვეს. წარმოდგენილ ნამუშევრებს შორის იყო: „ტაო-კლარჯეთის გეოგრაფიული მდებარეობა და ეკოლოგია“, „ქართველთა სამეფოს ჩამოყალიბება“, „დიდი სამონასტრო მშენებლობა“, „ისტორიულ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ბედი XX საუკუნეში“, „ქართული მიწა თურქეთის შემადგენლობაში“ და სხვა. ნაშრომებს თან ერთვოდა მოსწავლეთა მიერ შესრულებული ილუსტრაციები.

მეორე ეტაპზე მოზარდებმა საკუთარი ნაშრომები ჟიურის წარუდგინეს, რომლის შემადგენლობაშიც სკოლის პედაგოგები და მოწვეული ექსპერტები შედიოდნენ. კონკურსის გამარჯვებულმა საუკეთესო ათმა ავტორმა, საქართველოს საპატრიარქოს დახმარებით, ტაო-კლარჯეთში იმოგზაურა. მოსწავლეებმა მოიარეს: ოშკი, ხანძთა, პარხალი, ბანა, იშხანი, შატბერდი. გრიგოლ ხანძთელის, მისი მოწაფეების, აშოტ კურაპალატის მიერ აღორძინებული მთელი რეგიონი. წიგნებიდან კარგად ნაცნობ ტაძრებს ისინი ხელით ეხებოდნენ, აღტაცებულნი იყვნენ მათი არქიტექტურით და წინაპართა ხელოვნებით.

პროექტის გაგრძელება იყო კონკურსი: „ფიქრები სამეგრელო-ზემო სვანეთზე”, რომელიც 2008 წელს ქართული ენისა და ლიტერატურის პედაგოგების გიული ჩაგელიშვილის, მარინა თითბერიძის და ციცინო მჟავანაძის ხელმძღვანელობით ჩატარდა.

უფროსკლასელ მოსწავლეებს ახალი დავალება უნდა შეესრულებინათ – შეესწავლათ სამეგრელოსა და სვანეთის ისტორია, გეოგრაფია, კულტურა, ეკოლოგია, და ფოლკლორი. მათ გუნდური პრინციპით შეარჩიეს სასურველი თემები. წინა პროექტისგან განსხვავებით, კონკურსში მონაწილეობის მსურველთა რაოდენობა გაორმაგდა. რეგისტრაცია 100-ზე მეტმა მოსწავლემ გაიარა.

სასკოლო ჟიურიმ თემების შეფასების კრიტერიუმები შეიმუშავა და მოსწავლეებს გააცნო. დასკვნით ეტაპზე 15 გამარჯვებული გამოვლინდა, რომლებიც სკოლამ სამეგრელოსა და ზემო სვანეთში ოთხდღიანი მოგზაურობით დაჯილდოვა.

მოგზაურობის პროგრამის შედგენაში დიდი დახმარება გაგვიწია ტურისტულმა ფირმამ („ბიგ ფუტი“), აგრეთვე ზუგდიდის მე-2 საჯარო სკოლის დირექტორმა ქალბატონმა მარინე ქიცხიამ და ქალბატონმა ნატო ნავერიანმა. დავგეგმეთ საინტერესო შეხვედრები ზუგდიდისა და მესტიის საჯარო სკოლების მოსწავლეებთან ერთად, ასევე ერთობლივი ექსკურსია-ლაშქრობაც.

მოგზაურობა 19 ივნისს ზუგდიდის მატარებლით დაიწყო. 20 ივნისს დილის 7 საათზე რკინიგზის სადგურში ზუგდიდის №2 საჯარო სკოლის მასწავლებლები და მოსწავლეები დაგვხვდნენ და სკოლაში მიგვპატიჟეს. შევისვენეთ, თან იქაურობა დავათვალიერეთ. ზუგდიდელებმა საკუთარი თეატრის რეპერტუარი გაგვაცნეს. სტუმრებმა და მასპინძლებმა ერთად მოვინახულეთ დადიანების სასახლე, ბოტანიკური ბაღი, ზუგდიდის ცენტრი. იმავე დღეს მიკროავტობუსით გავუდექით გზას სვანეთისკენ. მოვიარეთ უზარმაზარ მთებში დაკარგული სვანეთის სოფლები: ჯორკვალი, ლახამულა, ქვედა ლუხა, ფარი, ეცერი, ბეჩო, ლატალი, ლენჯერი, მულახი, იფარი და კალა.

მოგზაურობამ ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. ყოველი დღე ახალი აღმოჩენებითა და საინტერესო თავგადასავლებით ივსებოდა. მოგზაურობიდან დაბრუნებულმა პროექტის მონაწილეებმა საკუთარი ხელით შექმნეს ეკლესია-მონასტრების მაკეტები, თვალსაჩინოებები, ფოტო და ვიდეო მასალა, რომელთა გამოყენებაც კიდევ უფრო შინაარსიანს გახდის გაკვეთილებს.







ასწავლე და...

აჩვენე ისტორია

უძველესი ქართული ხელნაწერი წიგნების გაცნობა მოსწავლეებს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში შეუძლიათ

„მინიატურებზე ოქროსფერი საღებავი მართლა ოქროსია?“, „ვინ იყო ის კაცი, ვინც წიგნის გადაწერა პირველმა მოიფიქრა და დააფინანსა?“ – ამ კითხვებს სკოლის მოსწავლეები ხელნაწერთა ცენტრში მათთვის გამართულ საჯარო ლექციებზე სვამენ. ეს სწორედ ის ადგილია, სადაც ისინი ისტორიას არა მხოლოდ სწავლობენ, არამედ საკუთარი თვალით ხედავენ და ეხებიან. ხელნაწერთა შექმნა, გადაწერა და შემკობა – რას უამბობენ უძველესი ქართული ხელნაწერი წიგნები თანამედროვე მოსწავლეებს?

გელა ჩეკურიშვილი

უფროსკლასელები საინტერესო და უჩვეულო გარემოში აღმოჩნდნენ. საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის განათლების დეპარტამენტმა სკოლის მოსწავლეებისთვის საგანმანათლებლო პროგრამები ერთი წლის წინ შეადგინა და ბავშვები ხელნაწერთა ცენტრში მიიწვია. აქ გაკვეთილებსა და ლექციებს დიალოგის ფორმა აქვს, დეპარტამენტის მიერ მომზადებული პრეზენტაცია კი მოზარდებს ინფორმაციის აღქმას უადვილებს. „ცოდნის მიწოდების გარდა, ამ პროგრამის



მიზანია, ახალგაზრდები იმ პროფესიებით დააინტერესოს, რაც წიგნის კვლევას, დაცვას, ექსპერტიზასა და რესტავრაციას უკავშირდება. დღევანდელ პრაგმატულ ეპოქაში ეს არაპოპულარულ პროფესიებად ითვლება“, – ამბობს ხელნაწერთა ცენტრის განათლების დეპარტამენტის ხელმძღვანელი ნესტან ჩხიკვაძე.

ქართული ხელნაწერი წიგნები ინახავენ ცოდნას ასტროლოგიის, მედიცინის, გეოგრაფიის, ქიმიისა და სხვა საინტერესო სფეროების შესახებ.

ნესტან ჩხიკვაძე, ***ხელნაწერთა ცენტრის განათლების დეპარტამენტის ხელმძღვანელი:*** „ამ საუბრების დროს ახალგაზრდები აცნობიერებენ, რომ წიგნი მხოლოდ დაწერილი ფურცლები არ არის და იგი ქვეყნის კულტურასთან კავშირში აღიქმება. ჩვენი პროგრამა განკუთვნილია სასკოლო პროგრამის დასახმარებლად, ლიტერატურისა და ისტორიის უკეთ შესასწავლად და გასააზრებლად“.

ცენტრის მიერ მომზადებული საგანმანათლებლო პროგრამების მაგალითია „ტაო-კლარჯეთი“, რომლისთვისაც დეპარტამენტს ფოტომასალა ხელნაწერთა ცენტრის დირექტორმა ბუბა კუდავამ მიაწოდა. ორნაწილიანი პროგრამა ძეგლების დათვალიერებით იწყება და ლექციას სლაიდშოუც ახლავს. მოსწავლეები აგრეთვე ეცნობიან ხელნაწერთა ისტორიას – ვინ რომელი წიგნი შეიძინა, რომელი წიგნი როდის და სად დაიკარგა და ა.შ. ყოველი გაკვეთილი დიალოგით სრულდება. მეორე პროგრამა, რომელიც „ვეფხისტყაოსნის“ ასტროლოგიურ და ასტრონომიულ ასპექტებს ეხება, 21-ე სკოლის პედაგოგის, ნინო იმნაიშვილის წინადადებით მომზადდა. პროგრამის ავტორი ამბობს, რომ „ავთანდილის ანდერძი“ საკმაოდ რთული თავია „ვეფხისტყაოსანში“ და მისი აღქმა მოსწავლეებს უჭირთ. ხელნაწერთა ცენტრის მიერ მომზადებული პროგრამით ბავშვები ვიზუალურად ეცნობიან ასტროლოგიური შინაარსის ხელნაწერებს და ციური მნათობების ამსახველ მინიატურებს, იღებენ ინფორმაციას იმის შესახებ, თუ საიდან გაჩნდა ასტრონომიული ცოდნა საქართველოში და როგორ აისახა იგი ქართულ ფოლკლორში, ხუროთმოძღვრებასა და სასულიერო კრებულებში.

ხელნაწერთა ცენტრმა მოამზადა პროგრამები ქართველ კორიფეებზეც. ყურადღება გამახვილდა ივანე ჯავახიშვილისა თუ კორნელი კეკელიძის ცხოვრების ისეთ დეტალებზე, რომლებიც ბავშვებს მათ მიმართ ინტერესს გაუღვივებდა: როგორი მოსწავლე იყო ივანე ჯავახიშვილი, როგორ დადიოდა არქეოლოგიურ გათხრებზე, როგორ უყვარდა სიძველეების ქექვა და შეგროვება... დეპარტამენტის თანამშრომელმა, ნესტან ბაგაურმა ბავშვებს ნუსხის სახით ჩამოუწერა, რამდენი რამ იცოდა ივანე ჯავახიშვილმა. პირადი წერილებისა და ფოტომასალის გამოყენებით შედგა პროგრამა კორნელი კეკელიძესა და ექვთიმე თაყაიშვილზეც.

ნესტან ჩხიკვაძე: „ელექტრონული ფოსტით დავუკავშირდით მასწავლებლებს და შევთავაზეთ, მოგვწერონ წინადადებები: როგორი პროგრამა სურთ, რისი მოსმენა იქნება აქტუალური მოსწავლეებისათვის... ასევე მოგვაწოდონ ბავშვების ნაწერები, ნაშრომები. მასწავლებლების ინიციატივაზე ბევრი რამ არის დამოკიდებული“.



ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ დაწვრილებითი ინფორმაციისათვის იხილეთ:
http://www.manuscript.ge/index.php?m=447

მასწავლებელი ფერეიდანში

ფერეიდუნშაჰრის ისპაჰანის უნივერსიტეტის ფილიალის პროფესორმა საიდ მულიანმა იგივე გიორგი მულაშვილმა, ქართული „დედაენის“ ანალოგი შექმნა და ფერეიდნელ ქართველებს ქართულად წერა-კითხვას ასწავლის.

გელა ჩეკურიშვილი



ფერეიდანი ირანის ცენტრალური ზეგნის, ბახთიარის შიშველ მთებში მდებარეობს და ადმინისტრაციულად ისპაჰანის ოლქს ექვემდებარება. ოთხი საუკუნის წინ საქართველოდან ტყვედ წაყვანილი ქართველების შთამომავლებით დასახლებულ სოფლებს ქართული სახელები დღემდე შემორჩა: ზემო მარტყოფი, ქვემო მარტყოფი, ჩულურეთი (ჩოღიურეთი), აფუსი (რუისპირი), სიბაჯი (ვაშლოვანი). აქ ახსოვთ წინაპართა გვარებიც: გუგუნაშვილი, გოგოჩაშვილი, ასპანიშვილი, იოსელიანი, ხუციშვილი, მოლაშვილი, ზუბიტაშვილი, ონიკაშვილი, ასლანიშვილი, მიქელაშვილი, ბათიაშვილი. დღეს ისინი მეტწილად სპარსულ გვარებს ატარებენ და საქართველოში მოგზაურობაზე ოცნებობენ.

ფერეიდანი ერთადერთი ირანული რაიონია, სადაც იძულებით გადასახლებულმა ქართველობამ ენა და ქართული ადათ-წესები შეინარჩუნა. აქ იმ სიტყვებსაც გაიგონებთ, რომლებსაც საქართველოში აღარავინ ხმარობს. მათი ენა ძალიან ჰგავს ძველი ჰერების ენას, დღეს რომ ინგილოურ დიალექტს ვეძახით. ამ



ხალხისთვის ქართული რელიქვიად არ ქცეულა – ენას ისევ ქართულად იდგამენ. ეთნიკური ქართველები ფერეიდნის 14 სოფელში ცხოვრობენ, აქედან 10 სოფელში კი ისინი უმრავლესობას წარმოადგენენ. მათი საერთო რიცხვი 15-30 ათასს აღწევს.

საიდ მულიანი, *ისპაჰანის უნივერსიტეტის ფერეიდუნშაჰრის ფილიალის პროფესორი:*

ქართული ენის და ტრადიციების მიმართ ინტერესი მაშინ გამიმძაფრდა, როცა ისპაჰანის უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტის სტუდენტი ვიყავი. ჩემი დისერტაციის თემა იყო ქართველთა როლი ირანის ისტორიაში, კულტურასა და ცივილიზაციაში. ეს იყო 200 სანდო წყაროზე დაყრდნობილი ნაშრომი და დიდად დააფასეს ირანელმა ისტორიკოსებმა.

შემდეგ ის წიგნადაც გამოვიდა და ქართველთა და ირანელთა ყურადღება მიიპყრო. სამწუხაროდ, ეს ნაშრომი ქართულად თარგმნილი არ არის, რომ ყველამ იცოდეს ირანში მცხოვრებ ქართველებს როგორი მნიშვნელოვანი ადგილი ჰქონიათ საუკუნეების მანძილზე. ამ წიგნმა დიდი როლი ითამაშა ირანში მცხოვრებ ქართველებში ეროვნულობის გაცოცხლების საქმეში. იმისათვის რომ ხალხმა ქართული წერა-კითხვა ისწავლოს, საჭიროა ჰქონდეთ ძალიან ძლიერი მოტივაცია, უნდა გაიგონ, ვინ ყოფილან, ვინ არიან და ვინ უნდა იყვნენ. სწორედ ამის შემდეგ გახდა შესაძლებელი ქართულ-სპარსული თვითმასწავლებელი დედაენის შექმნა, რაც ძალიან რთული იყო, რადგან ქართული ენა თავადაც კარგად არ ვიცოდი. ამიტომ ჯერ ერთი წელი თვითონ ვისწავლე, როგორც შემეძლო.

როდის დაიწყეთ ამ „დედაენაზე“ მუშაობა და რამდენ ხანს გაგრძელდა ეს პროცესი?

ეს იყო 2003 წელი. გავაკეთე იაკობ გოგებაშვილის „დედაენის“ საფუძველზე და ქსეროქსით გავავრცელეთ. ეს საკმაოდ რთული საქმე იყო, ერთი მხრივ, ეკონომიკური მდგომარეობის გამო, მეორეც, ქსეროასლების უხარისხობის გამო. მაგრამ ამაზეც კი ძალიან დიდი მოთხოვნილება იყო.

დაინტერესდნენ ფერეიდნელი ქართველები ამ წიგნით? კითხულობენ?

2004 წლიდან 2008 წლამდე მქონდა საზაფხულო ქართული ენის სკოლა, რითაც ძალიან ბევრმა ისწავლა ქართული წერა-კითხვა. მაგრამ საჭირო იყო კარგი თვითმასწავლებლის შექმნა. ძველ გამოცდილებაზე დაყრდნობით, ახალი მეთოდებისა და ცნობების მიხედვით და ჩემი ძმის, კახას დაჟინებული თხოვნით და დახმარებით შევქმენი ახალი ქართულ-სპარსული „დედაენა“.

იაკობ გოგებაშვილის წიგნიდან რა დატოვეთ და რა შეცვალეთ?

თვითმასწავლებელი, ირანული წესისამებრ, იწყება ციტატით ყურანიდან ალაჰის სახელით და ქართულ ანბანს სპარსულიც მისდევს. სპარსულში არ არსებობს ასო-ბგერები: კ, პ, ტ, ღ, ც, ჟ, წ, ჭ, ამიტომ ამ ასოებს იქვე მიწერილი აქვს სიტყვები. მაგალითად, წ-ს – „წიწილა“, როგორც სპარსულად, ასევე ქართულად. მოცემულია აგრეთვე განმარტებები, თუ როგორ უნდა წაიკითხო ეს ასო-ბგერები. თვითმასწავლებელი ქართული ანბანის გარდა მოიცავს მცირე გრამატიკას, ანდაზებს და სასაუბროს: მისალმება-გაცნობას, წელიწადის დროებს, კვირის დღეებს, საათს, მგზავრობის თემას. შესულია რამდენიმე ლექსი და პატარა ლექსიკონიც.

თვითმასწავლებელი ძირითადად იაკობ გოგებაშვილის „დედაენის“ საფუძველზეა შედგენილი, მაგრამ ტექსტში ბევრი რამ არის შეცვლილი – ირანული შინარსისაა, რათა უფრო გასაგები ყოფილიყო. ამ წიგნზე მუშაობისას ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანი იყო, რომ როგორმე პატრიოტიზმი და საქართველოს მთლიანობის იდეა ჩამედო. მაგალითად, რამდენჯერმე იხსენიება ტექსტში სოხუმი, აფხაზეთი, ცხინვალი და ბევრი სხვა ასეთი გეოგრაფიული სახელი.

როდის გამოვიდა წიგნი და ვისი მხარდაჭერით?

ეს წიგნი 2008 წელს გამოსცა საქართველოს დიასპორის სამინისტრომ და თავისი სრულყოფილების და მაღალი ხარისხის გამო მალე გავრცელდა ფერეიდანში და ძალიან დიდი მოთხოვნილებაა მასზე. მართალია, კულტურული საქმის კეთება ძალიან ძნელია, განსაკუთრებით ჩემს ვითარებაში, მაგრამ თავს ბედნიერად ვგრძნობ, რომ შემიძლია ვემსახურო ჩემს ენას და ერს, თუნდაც პატარა ნაბიჯებით. ჩემი ცხოვრების უბედნიერესი წამი მაშინ იყო, როცა ქუჩაში სახლის საფეხურთან ვნახე 8 წლის ბავშვი, რომელიც ჩემი გაკეთებული თვითმასწავლებლით სხვა ბავშვებს ასწავლიდა ქართულ ენას.

რესურსები მასწავლებლებისთვის

გამომცემლობა „დიოგენე“




ნუგზარ მუზაშვილი
„ლიტერატურული კომენტარები“
დიდ დახმარებას გაუწევს XII კლასის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლებს.



პირველად საქართველოში სამაგიდო წიგნი მოსწავლეებისა და მასწავლებლებისთვის!

თამარ ბეროზაშვილი
„ქართული ენის სასკოლო განმარტებითი ლექსიკონი“
ლექსიკონი დაეხმარება მოსწავლეებს სხვადასხვაგვარი ლიტერატურული ტექსტების აღქმასა და გაგებაში, გაუმდიდრებს მათ ლექსიკურ მარაგს და განუვითარებს მშობლიური ენის გრძნობასა და სიყვარულს.

გამომცემლობა „ლოგოს-პრესი“











მასწავლებლის წიგნში წარმოჩენილია მოსწავლის სახელმძღვანელოს შესაბამისობა საგნობრივ პროგრამასთან, მოცემულია თითქმის ყველა გაკვეთილის სანიმუშო სცენარი მნიშვნელოვანი საკითხების კომენტარებითა და სავარჯიშოების პასუხებით, სავარჯიშოების კრებულის აქტივობების პასუხები, აღწერილია გაკვეთილზე გამოსაყენებელი ინტერაქტიული მეთოდები, წარმოდგენილია შეფასების სარეკომენდაციო ფორმები და მოდელები, ბიბლიოგრაფია და სხვა დამხმარე მასალა.

გამომცემლობა „ინტელექტი“











გამომცემლობა „ლეთა“



კრებული შედგენილია ავტორთა ჯგუფის მიერ (ეკა ქორიძე, ბაია ახალაია, ირაკლი კაკაბაძე) სამუშაო რვეულის პრინციპით. მასში წარმოდგენილია ქართული ენისა და ლიტერატურის საგამოცდო ტესტის ნიმუშები: ასქულიანი ტესტის ვარიანტები (თან ერთვის პასუხების ფურცელი), უცნობი მხატვრული ტექსტები წერითი დავალების (მათ შორის ინტერტექსტუალურის) შესასრულებლად, ასევე მითითებები საქმიანი ქაღალდებისა და სამოტივაციო წერილების შესაქმნელად.
კრებული განკუთვნილია პედაგოგებისათვის, რათა დაეხმარონ აბიტურიენტებსა და უფროსკლასელებს უკეთ მოემზადონ ერთიანი ეროვნული გამოცდებისათვის.

საქართველოს ეროვნული სწავლების ცენტრი

www.tpdc.ge